სამეცნიერო-პედაგოგიური ⁄ სალიტერ. ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლება

(წელიწადი მეხუთე)

X დეკემბერი 1912 წ.

ფასი

შინაარსი: 1) რა უნდა მოგვცეს ახალმა ჰედაგოგიკამ, **ლ. ბოცვაძისა.** 2) ჩიგიენა, (წყალი) **ილ. ალხაზიშვილისა.** 3) თავისუფალი საწერი საკუთარის დაკვირვებიდან, **ს. ა—ძისა.** 4) მოკლე საუბარი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან, **ექ. ევგ. ლოსაბერიძისა.** 5) ნიკოლოზ ბარათაშვილი, **ილ. ფერაძისა.** 6) ბუნება ქართული ენის ეტიმოლოგიურ შენობისა, **მ. ქ. ყიფიანისა.** 7) დღის მგოსანი, **გელასი.** 8) ვალიდა, **მიხეილ ბოჭორიშვილისა.** 9) გვრინვა, **ვაჟა-ფშაველასი.** 10) ჰედაგოგი **პ — ლ ი მ — ნი.** 11) ბუნების ელვარებაში, **ს. აბულაძისა.** 12) უცხოეთში, **ვარლამ იმერელისა.** 13) სტუდენტის ცხოვრების ნაწუვეტი, **დ. თურდოსპირელისა.** 14) შობა, **ლადო გეგეჭკორისა.** 15) დამსხვრეული ბედნიერება, **ს. ბაირონიშვილისა.** 16) ჩემი სტრფო, **ლადო გეგეჭკორისა.** 17) † არისტო ქუთათელაძე 18) სიტყვა, არისტო ქუთათელ. დაბ. **კ. ცინცაძისა.** 19) წერილი სოფლის მასწავლებლების მიმართ. 20) უცხოეთი — **კოტესი.** 21) ბიბლიოგრაფია. 22) შინაარსი 1912 წ. 23) განცხადებანი.

ყოველ-დღიური სპორტიკო და სალიტერატურო

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მეოთხე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეეულ

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1913 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **ორ წიგნს**: 1) **უცხოეთის მწერლები**, ეს წიგნი ზომით იქნება არა ნაკლებ 400 გვერ. და დაურიგდებათ იანვრის დასასრულს. 2) **ქართველი მწერლები**, ეს წიგნი ზომით 500 გვ. დაურიგ. ენკენისთვეში.

რედაქცია დიაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1913 годъ

на газету

„Закавказская Рѣчь“

Годъ изданія пятый.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

„ полгода. . . . 3 руб. 50 коп. 4 р. 50 к.

„ 3 мѣсяца . . . 2 руб. — коп. 2 р. 25 к.

„ 1 мѣсяцъ. . . — 70 коп. — 75 к.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“ Дворцовая ул., домъ Д. З. Сараджева.

Для телеграммъ: *Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.*

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მეხუთე)

X დეკემბერი 1912 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 2 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომრის ფასი 35 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში" და „ნაკადულის" რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Боцвадзе.**

პროფ. ლუდვიგ გურლიტტი

რა უნდა მოგვცეს ახალმა პედაგოგიკამ?

IV

ათის წლის წინად გერმანიის ყველა სკოლებში დიდი ცვლილება მოხდა. ამ დროიდან ბავშვების აღზრდაში ფსიხოლოგებმა უფრო ძლიერი მოთხოვნილება წამოაყენეს. ეს ფსიხოლოგები სრულს პეშმარიტებას ღაღადებენ, როცა ამტკიცებენ, რომ ბავშვზე ყოველგვარ ფსიხიურ ზემოქმედებას და გავლენას საფუძვლად ბავშვის სულის შეგნება უნდა ჰქონდესო. ასეთმა შეგნებამ ისეთივე სამსამსახური უნდა გაუწიოს პედაგოგს, როგორსაც უწევს ანატომიის ცოდნა ექიმს. ჩვენ უფლება არა გვაქვს ოპერაციები მოვახდინოთ ჩვენთვის უცნობს ობიექტებზე და ისიც დაჟანგებულის იარაღებით, უვარგისის საშუალებით. ეს მეცნიერული შეცდომაა და სამართლიანად ეწოდება კაცთმოძულეობის სახელი. ამ სახით, ვინც თავისი მრავალ წლის საკუთარის საფუძვლიანის დაკვირვებით არ შეისწავლის აზროვნების სახეს, გრძნობებს და შეგრძნებათ, არ ეცოდინება ბავშვის სულის ზრდის ვითარება, იმას არც შეუძლია და არც შეიძლება აღმზრდელობა იკისროს. ასეთი უვიცი აღმზრდელებია უმრავლესობა დღევანდელის გერმანელ მშობლებისა. მაგრამ ამ ნაკლს ავსებს მშობლის სიყვარული თავისის შვილებისადმი. ეს სიყვარული იფარავს მშობლებს იმ სისასტიკისაგან, რასაც იჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენს ბავშვებთან პედაგოგი, რომელიც გამსჭვალულია თავისი სამსახურის მოვალეობით და ყურადღებას არ აქცევს ბავშვის განსაკუთრებულ თვისებას. დედების ბუნებრივი ინსტინქტი იმ სარწმუნო საშუალებასაც უკარნახებს, რომლითაც შეიძლება უფრო ნაყოფიერად და წარმატებით იმოქმედონ ბავშვებზე, და უკეთესიც იქნება, თუ დედები ნაკლებ ყურადღებას მიაქცევენ პასტორებისა და მასწავლებლების რჩევას. მხოლოდ ერთი მაგალითი: დედა, რომელსაც საალმზრდელო ჭეშმარიტებად შთააგონეს ძველი სიბრძნე ისო ძისა ზირაქისა, რომ მშობელთა სიყვარულის ძლიერება ყველაზე უფრო წკეპლის საშუალებით მტკიცდებაო, მოკლებულია ყოველგვარს სიკეთეს, რაც კი დედაკაცს აქვს მინიჭებული ბავშვების აღზრდაში. ბავშვს არასოდეს არ უნდა სცემონ, რადგან მას ცემა არ დაუმსახურნია. ბავშვების დანაშაულობა და შეცოდებანი, რაც ჩვენ ცოდვად მიგვაჩნია, მხოლოდ მათი სისუსტისა და გამოუცდელობის ნაყოფია. ბავშვის ცემა იმის გამო, რომ უცაბედად ჭიქა გასტეხა, სისულელეა და მხოლოდ დედის უძლურებასა და სიბრიყვეს ამტკიცებს. საიდან უნდა იცოდეს ბავშვმა, რომ ჭიქა დასამტვრევი საგანია. საიდან იცის, რომ ჭიქას ფასი აქვს? წინად დედა ხშირად კენჭებს აძლევდა ბავშვს ხელში და იცინოდა, როცა ბავშვი საწოლიდან გადისროდა ამ კენჭებს. ბავშვებმაც ამ გამოცდილებით შეიგნეს, რომ გადაგდებული საგნები ხმაურობას იწვევს და ეს ძლიერ სასიამოვნოა. შემდეგშიაც ისე იქცევა, როგორც გამოცდილებამ ასწავლა—და უცებ მოწონების მაგიერ—ცემა! როგორ შეუძლია ბავშვს ამ ცემაში დაინახოს კეთილისკენ მისწრაფება? რა მოჰყვება ყველა ამას?—ბავშვის სულში სიმართლის გრძნობის, სიყვარულის, ნდობისა და სიმხიარულის მოშლა.

ბავშვის აღზრდა იმას ნიშნავს, რომ იგი ახალს უცნობს ქვეყანაში შეიყვანო: ჩვენ მოზრდილებიც რომ ერთბაშად მიგვიყვანონ ჩინეთში, ყოველს ნაბიჯზე ისეთს საქციელს ჩავიდენთ, რომლის გამო სასჯელის ღირსნი შევიქმნებით, და როცა არავითარი ეჭვი გვექნება და არხეინადაც შევდივართ ღია ტაძარში, სიკვდილით დასჯაც მოგველის. ასეთს მოპყრობას მეტის მეტად უსამართლოდ ჩავთვლით. რისთვის გვსჯიან იმ საქციელის გამო, რომელშიაც ჩვენ არავითარს დანაშაულობას არა ვგრძნობთ და არ ვხედავთ. ასევე უნდა სჯიდეს ბავშვი, რომელსაც სასჯელი გადაუწყვიტეს. მაგრამ რაკი ბავშვი ვერ გებულობს სასტიკი აღმზრდელის ამ გვარს მოპყრობას, ამის გამო დასჯას განცვიფრებაში მოჰყავს იგი, იწვევს ბავშვში შიშსა და განძვინებას.

შვილის მოყვარული დედა, რომელსაც შეგნებული აქვს თავის შვილის ბუნების ვითარება და კარგად ესმის შვილის მთელი უძლურება, მოკლებულია ასეთს და მისს მსგავს შეცდომებს. მაგრამ დედა თავისი დაკვირვებისა და ცდის სიმართლეში იმდენად მტკიცე და დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ შეეძლოს მხარი დაუჭიროს და დაიფაროს ბავშვი ყოველ გვარ საალმზრდელო თეორიებისა და სკოლისაგან. ის, რასაც აწინდელი აკადემიური ფსიხოლოგია აცნობებს მას, თუ გინდ ახალ-ახალი სამეცნიერო დასკვნა იყვეს, ვერ გააკვირვებს, რადგანაც იგი ამტკიცებს მხოლოდ საკუთარ დაკვირვებათა. რა სარგებლობა გვაქვს ჩვენ პედაგოგებს იმისგან, რომ ათი ათასი დაკვირვებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცდით მეცნიერულად დამყარებული იქნება ბავშვების გონებითი შრომის გამო მოქანცულობის საზღვარი. მთქნარება, მოდუნება, ხმა, პირისახე და მისი გამომეტყველება ყველაზე უკეთ გააგებინებს დედას შვილის დაღლილობას. იმას უფრო დავთარს აუბნევს, თუ სხვისი ბავშვებისადმი დაკვირვებას მეტად დააფასებს, ვიდრე საკუთარს ბავშვებზე მომხდარ ცდას, ხელახლად ჩავარდება განსაცდელში მიჰმართოს სამეცნიერო პედაგოგიას, რომ მისი რჩევა საქმის დროს გამოიყენოს. მთელი ჩვენი აწინდელი ჰიგიენა უნდა უფრთხილდეს, რომ არ გაიმეოროს ძველი პედაგოგიკის შეცდომები და არ მოჰყვეს რომელსამე საეჭვოდ ზრდელო თეორიების ჩარჩოში და მით არ გახდეს მწვალებელ ძალად. მთელი საკითხი მოწაფეთა სკამების შესახებ, რამაც ამდენი მითქმა-მოთქმა და საყვედური გამოიწვია, სამწუხარო პალიატიური ზომაა. მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ ყველაზე უკეთესი ისეთი სკამია, რომელზედაც ბავშვთ იშვიათად მოუხდებათ ჯდომა. თუ ხანგრძლივი ჯდომა მავნებელია ჯანმრთელობისათვის, საჭიროც არ არის ახალი საუკეთესო სისტემის სკამების შემოღებაც, უკეთესია მოისპოს ხანგრძლივი ჯდომა. ისეთი განათლება, რომელსაც ფიზიკური სიმახინჯე მოსდევს, უარესია გაუნათლებლობაზე. ცხოვრების მიზნად — ცხოვრებისათვის მახინჯად მომზადება — არ ითვლება ის, რაც თვით ცხოვრებისათვის გამოუსადეგარია. მთელი ჩვენი აღზრდა, სჩანს მრუდე გზით მიდის, თუ ამდენს ფიზიკურად მახინჯს არსებას — ბეცებს სისხლ-ნაკლებულებს, სუსტ გულმკერდიანებს, ნერვებ აშლილებსა და ბრაზიან არსებათა გვაძლევს. და ყველაფერი, რაც გვაიძულებს ამ გზით სიარულს ხალხის ცხოვრებიდან ძირიან ფესვიანად უნდა ამოიფხვრას.

როგორღაც ჩვენს დროში ისეთი რწმენა არსებობს, რომ განათლებული კაცისათვის აუარებელი სხვა და სხვა გვარი ცოდნაა საჭირო, და ამ ცოდნას ჭაბუკი შვიდი-რვა საათის განმავლობაში ოთახში ჯდომით და მეცადინეობით შეიძენსო. ნეტავ როდის შეიგნებენ, რომ ამ გვარი ცოდნა თეორიულადაც საეჭვოდია? საჭიროა მხოლოდ მოვიშოროთ ის ცოდნა, რაც დღეს საჭიროდ მიგვაჩნია და ის ჩვენთვის არ იარსებებს. მიეცით ჩინელს ასეთი კითხვა: რა არის საჭირო ჩინეთში განათლებული კაცისათვის? ამაზე გიპასუხებენ, რომ იქ სამოცდა ათს წლამდის ყოველ წელს გამოცდაზე უნდა მივიდნენ, რომ შეისწავლონ მთელი ჩინური სიბრძნე და შემდეგ ჩაითვლებიან სრულ განათლებულ კაცად. და ყველა ის, რაც იქ საჭიროა, აქ ჩვენოვის ევროპიელებისათვის უმნიშვნელოა, ჩვენ გვგონია ჩინელები უკეთესად მოიქცეოდნენ, რომ დაეხურათ ყველა მაღალი სასწავლებლები და ყმაწვილებისათვის ნება მიეცათ თვალყური სჭეროდათ და მონაწილეობაც მიეღოთ სხვა ხალხის ცხოვრებაში. მათთვის იმაზე უკეთესი არა იქნებოდა რა, რომ დაევიწყნათ თავიანთი ტრადიციები და ცდილიყვნენ დამოუკიდებლად, საკუთარის ძალით განეცადათ ახალი ცხოვრება. ჩვენშიაც ბევრი რამ არის ჩინური, ბევრი ხერხი და წესი ჩინურის მონათესავეა, ჩვენ მხოლოდ ამას ვერ ვიგნებთ, ან არ გვინდა შევიგნოთ. რა საქმე აქვთ, მაგალითად, ჩვენს შვილებს ეკლესიის მამათა რელიგიოზურს განხეთქილებასთან, რაც ქრისტეს დაბადების მეორე საუკუნიდამ დღემდის გრძელდება? რა საქმე აქვს ბავშვებს ძველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძენთა პოლიტიკის ან ძველ რომაელთა რესპუბლიკის ისტორიის განვითარებასთან. წინად ეგონათ, რომ კაცი განათლებული არ შეიქნებოდა, თუ საკმარისად არ ეცოდინებოდა ბერძნულ-რომაული მოთოლოგია და ძველი ლირიკული პოეზია. შილერის ეპოქაში მთელმა პოეზიამ აზრი და მხატვრობა ოვიდიუსის მეტამორფოზიდან ისესხა. ახლა ჩვენს დროში ვის აქვს საქმე დაფნებთან, ხლოებთა, ფელიცებთან და სხ. პოეტიურს სახელებთან, თითქმის ლირიკულ პოეზიამაც კი დაივიწყა ისინი, ახლაც ზედმეტი უგემოვნებაა მზის ღმერთზე, ოქროს ქოჩრიან ფებზე ლაპარაკი და წერა,—მხოლოდ ისტიტუტკები საკლასო ნაწერებში და იუმორისტული ჟურნალების მელექსეები იგონებენ მათ.

ახალი პედაგოგია ყოველთ უწინარეს მას უნდა ცდილობდეს, რომ არ გადაიქცეს იმად, რის მიდრეკილებასაც იჩენს ე. ი. სისტემად. ამის თავიდან ასაცილებლად, ახალი პედაგოგიკა განსაკუთრებით უნდა დაემყაროს ბავშვების ბუნებისადმი დაკვირვებაზე; ამ დაკვირვებიდან და ბავშვის ზედმიწევნით შესწავლიდან უნდა გამომდინარეობდეს ბავშვის აღსაზრდელი სახელმძღვანელო აზრები და ცოდნა, რომ ბავშვი ჩაყენებული იქმნეს ცხოვრების საღ პირობებში. ამნაირად, უმთავრესია ბავშვისადმი წესიერი დაკვირვება. ამისათვის სასარგებლოა გაცნობა და შესწავლა ბიოლოგიის ძირითადის კანონებისა. საჭიროა ცოდნა იმისი, თუ რა არის თავისთავად ადამიანი, რომ ახლად დაბადებული ბავშვი არ არის ახალი დასაწყისი, არამედ იგი წინაპართა მთელი გრძელი მოდგმის მემკვიდრეობითი ძალთა დაუსრულებელი განვითარების გვირგვინია. ბავშვის ფიზიკური ფუნქციის შეგნება, სხეულისა და სულის ურთიერთ მოქმედებისადმი დაკვირვება, მისი თვითშეგნების თანდათანობითი გამოფხიზლება, მისი გონებრივი ცხოვრების თანდათანობითი განვითარება—ყველა ესენი უნდა შეიგნოს და შეისწავლოს მან, ვისაც მართლა სურს ბავშვის განვითარებაზე გავლენა იქონიოს.

ჩვეულებრივად „წესიერ ხელმძღვანელობაში“ ბავშვის ყველა სურვილების დაკმაყოფილებას გულისხმობენ. მაგრამ, რასაკვირველია, კრიტიკა გვამცნევს, რომ ბავშვის ნება მასწავლებლის ნებაზე უნდა შეიცვალოსო. რამდენისამე სიტყვით ვერ გადავწყვეტთ ამ ძირითად საკამათო საკითხს, ამიტომ მას შემდეგშიაც არა ერთხელ დავუბრუნდებით. ეს არის აღზრდის უკანასკნელი შედეგი, ამაშია ძველი და ახალი პედაგოგიის განსხვავება; ძველი პედაგოგია შეურყეველად სდგას საავტორიტეტო პრინციპზე, ახალი პედაგოგია კი ბავშვების უფლებას ჰქადაგებს. ახლა ჩვენ უნდა პასუხი გავსცეთ ასეთს კრიტიკას, რომელიც, ჩვენის აზრით, გონიერს აზრს გაზვიადებით სისულელედ ჰხდის, ჩვენ უკვე ვიცით პასუხი ჩვენის მოწინააღმდეგეგებისა და შეგვიძლიან წინდაწინვე ჩამოვთვალოთ: ბავშვი რომ დედას კალთაში უჯდეს და მოისურვოს მესამე სართულიდან ფანჯარაში გადახტომა, ბავშვის ასეთს თავისუფალს ნებიჯს წინ არ უნდა აღუდგეთო; თუ ბავშვი ცეცხლის შეხებას მოისურვებს, არ უნდა ეწინააღმდეგოთ ბავშვის ამ წმინდა ნებასო. ახლა მარტო მშობლები უნდა აღვზარდოთ,—ბავშვები ხომ, რასაკვირველია, ყოველთვის მართალნი არიან და მათი ნება კანონიაო.

ცხადად წარმოდგენილი მყავს ეს შეურაცხყოფილი დარაჯები ავტორიტეტისა,

ეროვნული

რომელთაც ვერ მოუნელებიათ ის აზრი, რომ უთხრან, და ისიც თავიანთ შვილებთან, მართალნი არ არიან და არც შეუძლიათ სხვებისთვის მაგალითს წარმოადგენდნენ. ჩვენ არ შევიბრალებთ მათ და დავამტკიცებთ მათის აზრის უსაფუძვლობას.

არა, ბავშვს ნება არ უნდა მისცეთ ფანჯრიდან გადავარდნისა, მაგრამ ძლიერ სასარგებლოა ბავშვისთვის თუ სწორ იატაკზე რამდენჯერმე წაიქცევა. ყველა ბავშვი ვარდება ძირს, არ არის გამონაკლისი ამ წესიდან, მაგრამ ამ მისთვის ძლიერ საგრძნობელ ცდაზე ბავშვი პირველად შეიგნებს მიმზიდველობის კანონს. ბავშვმა ხელიც უნდა დაიწვას, ყველა ჩვენგანს თავს გადახედია ასეთი ამბავი, მაგრამ მშვიდობიანად გადავრჩენილვართ და კიდეც გავზდილვართ. ბავშვმა ცდის საშუალებით უნდა შეიგნოს, რომ ბუნებაში არის ისეთი კანონები, რომლის წინააღმდეგ ვერ წახვალ და ვერას გახდები. ცხოველებმა კარგად იციან, როგორ უნდა იცხოვრონ, ან რა არის სიცოცხლე, მაგრამ მათ არასოდეს არ ჰყოლიათ გუვერნანტკები და არც სკოლებში უვლიათ. საიდან იციან მათ ყველა ეს, ან სად შეუსწავლიათ? ისინი ისე გონივრულად ცხოვრობენ, რომ კიდეც შეარცხვენდნენ მოზრდილ ადამიანს. ისინი არ სჭამენ და არ სვამენ იმას, რაც მავნებელია. ისინი ალკოგოლით და ნიკოტინით არ იშხამებიან, თავისუფლებაში გულის სიმსუქნით და ღორმუცლობით არ იხოცებიან. ნუ თუ ადამიანს, თუ ხელოვნური აღზრდის საშუალებით დამახინჯებული არ არის, არ უნდა შეეძლოს იმ გვარისავე ნიჭით თავისუფლად გზა გაიკვლიოს ცხოვრებაში და სიცოცხლისაკენ!

ამნაირად, აღზრდაში წესიერი ხელმძღვანელობა—ნიშნავს მიეცეს ბავშვს შეძლება ცდის შეკრებისა, ჩვენ ამ შეძლებას ვანიჭებთ ბავშვს, როცა მას ნება აქვს იცხოვროს ხალხში წესიერის საზოგადოებრივის ცხოვრებით, უფრო კი ტოლ-ამხანაგებში. ისინი ამავე დროს სხვების ცდაზედაც სწავლობენ და რაც უმთავრესია თავიანთ სრულ უფლებიან კერძო ნებას სხვების ამგვარისავე ნებას შეუფარდებენ. ეს ის არის, რასაც ცხოვრების საშუალებით აღზრდას ვუწოდებთ. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს იმისი, რომ აწინდელს კულტურულს ცხოვრებაში ყმაწვილი თავის განვითარებისათვის ვერ იპოვის საკმარისს წაქეზებას, წახალისებას და ქალაქისა და სოფლების მრავალ მცხოვრებთა შორის ველურად აღიზრდება, ან გასულელდება. პირიქით ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიზრუნოთ იმაზე, რომ ახალგაზდობა ძლიერ არ ისჯებოდეს ერთურთი ცხოვრების უწყალო დაჩაგვრით და აღზრდილი მასსის ინსტიქტებითა და ნებით შეუმჩნევლად არ ჩაეფლას უძირო მორევში. ჩვენი სასკოლო აღზრდა მიისწრაფვის ჯარისკაცებივით ერთგვარად მოკაზმონ და გამოაწყონ მოწაფეები. შინაური აღზრდა, რომელიც, სამწუხაროდ, ამასვე მხარს უჭერს, უფრო ვალდებულია შეებრძოლოს პიროვნების გამქარწყლებელ გარემოებას, შეირჩინოს თავისებრივი ოჯახური სული, ენერგიულად წინ აღუდგეს პიროვნების მომსპობ გარეგან ძალას.

ჩვენმა აწინდელმა პედაგოგიკამ ხელი უნდა შეუწყოს აღმზრდელის ძალას და ასწავლოს მას, თუ რა საშუალებით და წესით შეიძლება გაუღვიძოს და განუმტკიცოს ბავშვს რაც ყველაზე უსაჭიროესია ცხოვრებაში, სახელდობრ საკუთარ თან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყოლილ ბუნებისადმი რწმენა და საკუთარ ბუნებრივ ძალთა განვითარება. რადიკალური ინდივიდუალიზმობა ჩვენთვის სასაყვედურო კი არა, საქებარია. მიტომ, რომ „რიდიკალობა“ ნიშნავს „საფუძვლიანობას“, ინდივიდუალიზმი კი —„პიროვნების კულტს“. სწორედ ჩვენ გერმანელები არაფერს ისე არ ვსაჭიროებთ ეხლა, როგორც პიროვნების კულტს. ეს უნდა სწამდეს ყველას და ჩვენი მადლობელნი უნდა იყვნენ ისინი, ვინც კანკალებს დემოკრატიის წინაშე და თავისი თავისისხლითა და გონებით არისტოკრატად მიაჩნია. ამიტომაც ჩვენს ახალ პედაგოგიკას მიზნად აქვს დასახული ხელი შეუწყობს ჩვენს ხალხში მიძინებულ ყველა პირად თვისებათა და გონების ძალთა თავისუფალ განვითავარებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობას გზა გაუხსნა არისტროკრატობისაკენ, მაგრამ ამასთანავე ეს ნიშნავს უსაჭიროესის აღსარებას, რადგან ის არის ბუნებრივი წოდებრივი განსხვავება. ბუნება ხომ დემოკრატიული არ არის: იგი ჰქმნის ყოველგვარ გონებრივს ძალას და ზრუნავს იმაზე, რომ მაღაროს მთხრელის შვილი გახდეს, როგორც დამფუძნებელი ახალის თავისა, უმაღლეს მეფეებისა და პაპებისა; რომ პურის მცხობელის ოჯახიდან გაიზარდოს და განვითარდეს შილერის არისტოკრატიული სული. ყველა უნდა მიხვდეს და უმთავრესად ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ჩვენი ხალხის სულიერ ძალთა ჯამი ბუნებრივი სიმდიდრეა და გაცილებით მეტად ღირს, ვიდრე ფულის კაპიტალი და ქვეყნის ყველა მატერიალური ძალა და ცუდია ის ეროვნული ნაციონალური ეკონომია, რომელიც ხელს უწყობს და ნებას აძლევს, რომ ამგვარი კაპიტალი მკვდრად იდვას, ან შეუფერებელის ხმარებით ნაკლები ღირებულება ჰქონდეს. ამ სახით აღზრდა ფრიად უსაჭიროესი საკითხია, დიდ მნიშვნელოვანი ამოცანაა არა მარტო კერძო პირისათვის, რომელსაც ზრდიან, არამედ ყველა ხალხისთვისაც და მაშასადამე კაცობრიობისთვისაც. იქ, სადაც უწესო სწავლა აღზრდა იკიდებს ფეხს, იტანჯება არა მარტო მთელი რიგი ახალთაობისა, ტანჯვას წამებას განიცდის მთელი კულტურა და მასთან ერთად ყველა ნივთიერი მხარე ხალხის მდგომარეობისა. ამის გამო არ არის არც ერთი კაცი, რომელიც აღზრდის საკითხით დაინტერესებული არ იყვეს და არც არავინ არის ისეთი უფლებიანი, რომ არ მიუშვას ვინმე სააღმზრდელო საქმეში სამუშაოდ.

მეტად დიდი შეცდომა წარსული საუკუნისა ის არის, რომ მთელი პასუხის მგებლობა გადაეცა განგებ დანიშნულ სამოსწავლო მთავრობის მოხელეებს. ამ მთავრობას არასდროს არ შეუძლიან ამის შესრულება, რადგანაც მთავრობას არასოდეს არ შეუქმნია კულტურა და არც უზრუნვია ამის შესახებ. სააღმზრდელო საქმე მეტად მრავალმხრივია, მეტად რთულია, და არც შეიძლება მარტო ერთის მხრით მისი განხილვა, ერთის თვალსაზრისით ხელმძღვანელობა.

ისეთი საქმე, რომლის რიგიანი შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ხალხის ყველა ძალების მონაწილეობით და რომლის საუკეთესო ნაწილი თვითეულმა კერძო ოჯახმა უნდა შეასრულოს, ვერ მიენდობა სხვას იმ იმედით, რომ თითქოს მოხელეები უკეთ შეასრულებენ მას. სწორედ მაღალსა და უმაღლეს მთავრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასთან ამ საპირფერო ნდობის წყალობით გერმანელი ხალხი გადაეჩვია დამოუკიდებლად მონაწილეობა მიიღოს საალმზრდელო საქმეში ე. ი. ცხოვრების ერთს უსაჭირიესს დანიშნულებაში. და ეს შეცდომა ადვილი გასასწორებელი არ არის. ერთად ერთი გზა არის ბრძოლა ძალად შეიარაღებულს ავტორიტეტთან, ცხადი და ყოველის საბუთებით შეიარაღება მათი უვარგისობისა და შეცდომათა წინააღმდეგ, აგრეთვე დაუცხრომელად შეგულიანება ხალხისა ამ საკითხებში, რაც სახალხო საკითხს წარმოადგენს და მართლაც მხოლოდ სახალხოა. ერთი უმთავრესი მიზანი ახალი პედაგოგიისა არის ხალხის ამ საქმეში შეგულიანება ახსნა-განმარტება და გათვითცნობიერება.

ლ. ბოცვაძე.

ჰ ი გ ი ე ნ ა

(წერილი მეორე)

წ ყ ა ლ ი

(დასასრული)

IV

სამკურნალო მინერალური წყლები.

მადნეულ რამ წყარო ხალხი ადვილად სცნობს—ან ფერზე ატყობს წყალს, ან გემოზე. როდესაც დედამიწის სიღრმიდან წამოსულ წყალს გზა და გზა დაუხვდება რაიმე მარილი, მიწალი, ანუ რაიმე ლითონი მაშინ წყალი გზაში შეხვედრილ მარილს თუ მიწალს ადვილად ხსნის და ამიტომაც სხვა გვარ თვისებას იძენს. თუ რომ გოგირდ გახსნილი წყალი, დედამიწის სიღრმიდან წამოსული, გზაში სადმე გახურებულ კედელს და ქვებს შეხვდა, მაშინ გარედ გამოხეთქავს ცხელ წყარო გოგირდიანს. საკმაო გვიხსენოთ თბილისის და აბასთუმნის ბუნებითვე ცხელი გოგირდიანი აბანოები, რომელნიც მთელ ქვეყანაზე არიან განთქმულნი.

სამკურნალო მიზნით მადნეული წყალის ხმარება ამ ყამად ძლიერ არის გავრცელებული ძველსა და ახალ ქვეყნებში: ზოგს სასმელად ხმარობენ, ზოგში ბანაობენ და სხვ...

დავასახელოთ მადნეული წყაროები:

1) **ნახშირმჟავიანი წყალი.** როცა წყაროში მეტად სჭარბობს ნახშირმჟავა გაზი, ამის წყალი მაჭარივით წინწკლებს ისვრის, შიშინებს და სასიამოვნო მაგრილებელი, მომყავო გემო აქვს, ვირს ხუხამს. სამკურნალოდ იხმარებიან ნარზანი, სპრუდელი და სხვ...

2) **ხაშურიანი ნახშირმჟავა წყალი.** თუ რომ ნახშირმჟავიან წყაროს ხაშური რამ ნივთიერებაც ურევია, ამას უფრო მეტი სამკურნალო მნიშვნელობა აქვს. განთქმულნი არიან: ვიში, ბორჯომი, ზალცბრუნენი და სხვ...

3) **ხაშურიანი წყალი.** როცა საჭმელი მარილი სჭარბობს წყალში, ამასაც სამკურნალო მნიშვნელობა აქვს; ცნობილ არიან: ბუსი,

ეროვნული

დრუსკენიკი, კრეიცნახი, ბადენ-ბადენი და სხვ...

4) **მარილ-ხაშურიანი წყაროები** არიან: ესენტუკი № № 17 და 18, ემსი, ბორჯომი (ეკატერინეს წყარო) და სხვ. ზოგან ამათში ზედ მეტად გლაუბერის მარილიც ურევია: ესენტუკი № 4, გორი, კარლსბადი, მარიენბადი და სხვ.

5) **გოგირდის წყარო** ეწოდება როცა წყალი ჭარბად შეიცავს გოგირდ წყალბადს, რაიც ადვილი საცნობია, რადგან დაუე კვერცხის სუნი უდის: ცნობილ არიან ბიატიგორკი, თბილისი, აბასთუმანი და სხვ.

6) **რკინის წყაროებს** მელნის გემო აქვს, მწკლარტეა. ამისთანა წყაროები ხვდება ბოლიუსტრავში, შვალბახში, ლიშეცკში და სხვ.

7) **რკინა — ხაშურიანი წყაროები** — ფრინცესბადი, ჟელეზნოვოდსკი და სხვ.

8) **რკინა-მარილიანი წყაროები**: ზელტერსი, სტოლიბინში და სხვ...

9) **რკინა-კირიანი წყაროები**: ბირმონტი, კრინიცი, ურაველი, წადვერი და სხვ...

10) **რკინის აჯასპიანი წყარო** — ბიატიგორკში და სხვ...

ასე და ამნაირად რო მივეგეთ ყველა ნაირად შეზავებული წყარო ბევრი მოიბოვება ბუნებაში. ესენი თითქმის ყველა სამკურნალოდ იხმარებიან. ამ ბოლოს დროს მეცნიერება იმ დასკვნას დაადგა. რომ ბუნებრივ სამკურნალო წყაროებში უეჭველად რადიუმიც ურევია. ჰო და სწორედ ეს ახლად აღმოჩენილი ელემენტი აძლიერებს სამკურნალო ძალას ზემოდ დასახელებულ წყაროებში. — სიტოცხლის მაძლიერებელი, ცხოველთ მოქმედი რადიუმი ჯერ კიდევ ბევრგან იჩენს თავს, შემოქმედებითი უნარს, სასწაულთ მოქმედებას.

ამ ბოლოს დროს ძლიერ გახშირდა მადნეულ წყაროთა სამკურნალო მიზნით ხმარება. რუსეთში მხოლოდ კავკასიის წყაროებით იქებს თავს — ბორჯომის და ესენტუკის წყალი არამთუ მთელს რუსეთში, საზღვარ გარეთაც იხმარება, მეტადრე ბორჯომის წყალმა ახლა ამეთიკაშიაც კი დიდი ბაზარი მოიბოვა. მაგრამ დიდი ძალი, (მიდიონობით) ბოთლებით შემოაქვთ რუსეთში საზღვარ გარეთიდან (ევროპიდან) სამკურნალო წყალი: ვიში, ემსი, კონტრექსევილი, ჭუნიადი-იანოში, ფერინტიოსები, ლეგიკო, კარლსბადი და სხვ. და სხვა.

ჩვენი სამშობლო მეტად მდიდარია ამ გვარ წყაროებით, მაგრამ ჯერ ცოდნას და კაპიტალს ელის. აგრეთვე მრავალია სამკურნალო ბუნებრივი აბანოები. სასმელი სამკურნალო წყაროები არიან: ბორჯომისა, უწერისა (ზემო რაჭაში), ურაველისა (ახალციხის მაზრაში), წადვერისა, სურამისა და სხვ...

სამკურნალო აბანოები: თბილისისა, აბასთუმნისა*), ასპინძისა, ციხიჯვარისა და სხვა.

გარდა ამისა ტალახის აბანოებია: ახტალა

---

*) ჩვენ რო თბილისის და აბასთუმნის აბანოთა ბუნებრივი სიცხე (30—40%) გვაკვირვებს, არიან ამათზე უფრო ცხელი წყაროები. მაგალითად ისლანდიის გეიზერების წყალს ასი გრადუსი (100%) სიცხე აქვს და ზოგს უფრო მეტიც (120%). ამისთანავე ცხელი წყაროები ხვდება ჩრდილო ამერიკაში, საზოგადოთ უფრო იქ ამოუხეთქია, სადაც ვულკანების მუშაობა უეცველად ყოფილა. ამ გვარად, როცა წვიმის წყალი დედამიწაში ჩადის, იქ ნაკადულად გროვდება და თავქვე მიისწრაფის. ამ დროს, თუ სადმე ვულკანისაგან გაცხელებულ კლდეებს და ქვებს შეხვდა თითონაც ცხელდება. მერე ეს მდუღარე წყალი იმავე წესით გარეთ გამოხეთქს, როგორც ყველა წყარო. და თუ რო მიწის სიღრმეში გოგირდის მადანიც დაუხვდა, მაშინ ხო გოგირდსაც გახსნის და გოგირდის ცხელ აბანოთ გარდაიქცევა, როგორც თბილისის და აბასთუმნის აბანოებია და სხვ...

ეროვნული

ანუ ვეძა (გურჯაანში), გოგიდო (თბილისში), ხვედურეთი და სხვ...

ჩვენი ხალხი ძალიერ ეტანება სამკურნალო წყაროთ-ბანოებს. სადაც კი იპოვის, ბირველად თითონ სცდის და როცა წყაროს სახელი გაუგეთდება, საქვეყნოდ ხდება.

—

V

ზღვის წყალი.

არამც თუ დიდი მდინარე წყალი, მთის ნაკადულიც კი, მეტადრე დიდ წვიმა-ნიადგრის დროს, გზა და გზა თავის კალაპოტს სთხრის, რეცხავს—იხსნება შიგ წყალში ათასნაირი შიწა, მიწალი, მარილი და ზოგიერთა ლითონის მადნიც-კი, ამ გვარად მდინარეებს დაყინებით, დღე და ღამე ზღვაში ჩაქვთ ურიცხვი ლამი, ქვა და ქვიშა და წყალში გახსნილი მადნეულობა, მზე აცხელებს ზღვის წყალს და ისევ ცაში ორთქლად, ღრუბლად აქვს აყარებელი წყალი. ხოლო ორთქლი იგივე ხალასი წყალია—არავითარი მადნეულის ანუ მარილის რამ ნაწილი ორთქლს თან არ ასდევს და ვერც აჰყვება, რადგან რაც მძიმეა ზღვაშივე რჩება—ეს გადაუვალი კანონია ბუნებისა. მაშასადამე მარად ყამს ზღვას აკლდება ხალასი წყალი და სამაგიეროდ კი დანაკლისის ადსადგენად მდინარენი უმატებენ მარილიან წყალს. აქედგან ადვილ წარმოსადგენია რაოდენი მინერალური ნივთიერებანი, ხაშური და მტუტე რჩება ზღვის წყალში.

ეხლანდელს დროში მეცნიერება გამოუკვლევია ადარაფერს სტოვებს. ქიმიურმა გამოკვლევამ კი ზღვის წყალში ადმოაჩინა შემდეგი მარტივნი სხეულნი ბუნებისა: მყავბადი, წყალბადი, ხლორი, ბრომი, იოდი, ფტორი, გოგირდი, ფოსფორი, აზოტი ნახშირბადი, ტალი, ბორი, ვერცხლი, სპილენძი, ტუვია, თუთია, კობალტი, ნიკელი, რკინა, მარგანეცი, ალუმინი (თიხის ფუძა), მაგნი, კალცი, სტრონცი, ბარიუმი, ნატრი და კალი. ამ ელემენტების გარდა ზღვის წყალში აკი ოქროც ადმოაჩინეს და ელემენტი რადიუმიც უეჭველად იმეოფება ზღვის წყალში. ამ გვარად ზღვა წარმოადგენს ცისა და ქვეყნის საკუჭნაოს, აუარებელ მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლით სავსეს და მინერალთა ადსავსე ბუნების საზინას, ადურიცხველ სიმდიდრეს.

—

ზღვის წყალი დასალევად არ ვარგა. მომწარო-მლაშე გემოსია, რადგან ყველაზე მეტად გახსნილია შიგ მაგნის და ნატრიის მარილები. მეტად ჭარბად ურევია ზღვის წყალს ჩვენი ოთვეულდიერი საჭმელი მარილი, რომელსაც ქიმიურად ხლორიანი ნატრი ჰქვიან, რადგან შესდგება ამ ორ მარტივ სხეულისაგან (ელემენტი) ხლორისა და ნატრისაგან. ერთს ტონა [1]) ზღვის წყალში 60 ათას გირვანქაზე მეტი საჭმელი მარილი (Nacl) ურევია. გარდა ამისა 6 გირვანქამდე ხლორიანი მაგანი, გოგირდმყავა მაგნი, გოგირდ-მყავა კალცი, ხლორ-კალი და მცირეოდე ნაწილი ნახშირ-მყავა და ფოსფორ-მყავა კალცი, ტალიანი მიწალი, თანაც **ლითონიდები**: ბრომი და იოდი [2]) მლაშე არ არი, რადგან მდინარე ზღვაში რო ჩადის, მტუტეს აქრობს, მაგრამ სასმელად მაინც არ გამოდგება. ზღვის შუა გულში კი საშინელი მლაშე წყალია—4% მარტოოდენ ჩვენი საჭმელი მარილი ურევია.—ამიტომაც დიდ გემებზე გამართუ-

---

[1]) ტონა ფუთია.

[2]) ეს ორი ლითონითი ბრომი და იოდი ძლიერ ბევრი იხმარება სამკურნალო მიზნით. ზღვის მცენარენი (წყალთ მცენარენი) შეისვამენ ხოლმე, მერე მცენარეებს სწვამენ და მათი ნაცრიდან ქიმიურად ამზადებენ იოდს და ბრომს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი აქვთ ზარეუშიანი ქვაბები (კუბი) და ზღვის წყალს არაყივით ხდიან — ხალასი წყალი გამოდის დაკლაკნულ გაცივებულ მილებიდან. მეტადრე ოკეანოს დიდს ხომალდებს, ორთქლ-მავალ გემებს, დიდძალი მტკნარი წყალი უნდებათ რადგან მოგზაურნი და მოსამსახურე შეზღვაურნი ათასამდე არის ხოლმე. ჭო და იანგარიშეთ ლონდონიდან ბირდაბირ ნიუიორკში რო გემით მიდიან 15—20 დღეს უნდებიან ზღვის გზას.

ამ ბოლოს დროს აღმოჩნდა რომ მტკნარი წყალის ორთქლმა საშინელ სისწრაფემდე განავითარა გემთა მსვლელობა. ამიტომაც ეხლა საუკეთესო გემებზე უშვლელელი მანქანა— ქვაბები დადგეს ზღვის წყალიდან მტკნარი წყალის მოსამზადებლად.

დიდი ხნის შოუკალავი სამოვარი კედლებზე ნადულს ლექს მოიკიდებს ხოლმე. ასევე ემართებათ გემის ქვაბებს, რომლებშიაც ზღვის წყალს ადუღებენ ორთქლ მავალ მაშინისთვის. სწორედ ეს ლექია იმის მიზეზი, რომ სისწრაფეს უკლებს გემის მსვლელობას, ისიც ხშირად მომხდარა, რომ ამ ლექის მიზეზით ქვაბი უალაგო-ალაგას გამსქდარა და შუაგულ ზღვაში ხალხი დადუხულა. ახლა-კი რა გემზედაც მტკნარ წყალს ხდიან, ყველაფერით წინ მიდიან.

ბაქოს ოდენა ქალაქს სასმელად კასპის ზღვიდან მაშინებით ადორთქლვით (ოხრეს ნიტელი) უმზადებენ მტკნარ წყალს.

— —

ამ ყაშად ძალიერ არის გავრცელებული ზღვაში ბანაობა სამკურნალო მიზნით. აგრეთვე დიდი ძალი ზღვის მარილი იხმარება შინ აბაზანებისთვის (ვანებისთვის). ეს ორიოდე წელიწადია ბარიზში ერთი ბროფესორი საგანგებოდ იკვლევს ზღვის წყალის მოქმედებას ცხოველთა და ადამიანის სხეულზე. ამ მეცნიერს თითქმის იმის იმედი აქვს, რომ ზღვის წყალი სისხლის მაგიერობას იზამსო.

ის ხო დიდიხანია დამტკიცებულია, რომ სიცოცხლე ჯერ ზღვაში გამოჩნდა და მერე ხმელეთზედაც ამოვიდა. ჩვენ ზღვის შვილები ვართ. ჩვენი სისხლი და ხორცი შესდგება იმავე ელემენტებით, მარილებით, რომელთაც ზღვის წყალი ასე ბლომად შეიცავს. მაშასადამე თუ კი ზღვის წყალი შესძლებს ჩვენი სხეულის მოცვეთილ უჯრედების აღდგენას, სისხლის გახალასებას, მაშინ სიბერეც ადრ გვეწვევა, მათუსალას ხანგრძლივი სიცოცხლე გვექნება. ამასვე წინასწარმეტყველობს განთქმული ბროფესორი მეხიკოვი, რომელიც ორასი წლის სიცოცხლეს გვპირდება.

VI

მღვრიე წყალის დაწმენდა.

მდინარე წყალი ხშირად იმღვრევა ხოლმე როცა წვიმისა და თოვლის ნაკადული-ნიადაგარი (ხევი) ემატება. თუ არ დიდი გაჭირვება, მღვრიე, დამიანი წყალის დალევა ყველას როდი შეუძლია. ჯერ რო თვალს არ იამება და მეორეც იმდენი ტალახის ჩაყლაპვა ტეუილა როდი ჩაივლის. მეცნიერმა შოსსუმ მტრედებზე სცადა, ხოლო ბუსენგმა ლორებზე. აღმოჩნდა, რომ ლორის სხეულმა სამი თვის განმავლობაში შეითვისა მღვრიე წყალის სმით 46 გრამმი (16 მისხალი) კირი—ძვალსა და რბილში გაუჯდა. აქედან 52 გრამმი ძვლებში აღმოჩნდა და 12 გრამმი ხორცში (ეუნთების ქსელში).

რადგან ასე ადვილად ითვისების ცოცხალი სხეული მინერალურ (ლითონიურ) ნივთიერებას, აშკარაა ადამიანის ჯანმრთელობაზე ავად იმოქმედებს მღვრიე წყალის ხშირად სმა.

რათა? რაზე გავიჭირეთ საქმე, როდესაც მღვრიე წყალის დაწმენდა საძნელოს არას

შეადგენს. აი რამდენიმე ხერხი: 1) ზოგჯერ საკმაოა დაცალოთ ხოლმე ჭურჭელი და თითონვე დაიწმინდება. (თიხის ჭურჭელი სჯობს). 2) თუ ეს არ კმარა, მაშინ შაბით უნდა დაწმინდოთ: აიღეთ დანაყილი შაბი ერთი ჩაის კოვზი და ვარაუდით ათ თუნგ წყალში ჩაყარეთ და სუფთა ჯოხით მოურიეთ, დაანებეთ თავი. შაბი თან ჩაიტანს სიმღვრიეს, დაიდექვს და წყალი მშვენივრად დაწმდება. 3) სამოვარში თუ მღვრიე წყალი აადუღეთ, მერე ჩააქრეთ და ცოტა დაცალეთ, დაწმდება, ჩაისათვის შეიძლება იხმაროთ. თუ რო გაციებამდე დაცლით, დასალევათ ამას წყალი არ შეედრებარა. წყალში, სიმღვრიესთან ჭირის რამ ბაქტერია თუ ერია, მდუღარეში დაიხოცებოდა და ახლა უშიშრად შეგიძლიათ სვათ. 4) თუ სამოვარში ადუღებული მღვრიე წყალი იმ წამსვე გინდათ ჩაისათვის იხმაროთ—ერთი ან ორი კვერცხის ცილა ბარკით ჩაჭეიდეთ სამოვარში—საკმაოდ დაწმდება. 5) სადაც საჭირო იყოს ბევრი წყალის დაწმენდა, უხმარი თეთრი შალის ბარკი შეკერეთ, საკმაოთ დიდი და წოწოტინა (შაქრის თავივით), მერე სუფთად გარეცხეთ, ბოძზე ჩამოჭიდეთ და შიგ გაწურეთ მღვრიე წყალი; მხოლოდ ბარკი ხშირად უნდა გარეცხოთ ხოლმე ცხელ წყალში. 6) ამ გვარსავე ბარკში ჩაყარეთ რიგი ქვიშა და რიგი დამტვრეული ნახშირი. მერე გაწურეთ შიგ მღვრიე წყალი. ბირველად მღვრიე ჩამოვა, ამის მერე შეუდგით ჭურჭელი და მიიღებთ მშვენივრ ანკარა წყალს, წყაროსავით გემრიელს.

ორიოდე დღის ხმარების შემდეგ საწურავი ბარკი მდუღარე წყალში გარეცხეთ და შიგ ხელახლავ გამოცვალეთ ნახშირიც და ქვიშაც. თუ ასეთის ეურადღებით არ მოექეცით, ნახშირში წყალი ვედარ გაატანს, რადგან ფოსოები დამით ამოეგსება, ლორწო მოეკიდება და მიკრობებიც შიგ ადვილად გაჩნდებიან, მათ შორის ხოლერის და სხვა ჭირის ბაქტერიებიც ითუთუნებენ.

ამ ყამად ბაზრებში ჰყიდიან საგანგებოდ გამართულ წყალის საწურავ ფილტრებს. საუკეთესო ფილტრებად ითვლება ვილკენფელდისა და ბასტერ-შამბერლენდისა. ამ ბოლოს დროს ინყენერმა ბრეიერმა გამოიგონა შესანიშნავი ფილტრი—ისე სწმენდს წყალს, რომ ოდენად ანკარა, უმწიკვლო და უმანკო ხდება. ვისაც შეძლება გაქვთ უეჭველად საჭიროა ამ ფილტვებიდან რომელიმეს შეძენა ოჯახში სახმარებლად. თვითვეულ ფილტრს დარიგება თან ახლავს როგორც უნდა იხმაროთ.

მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ჯერ იმისთანა ფილტრა არავის გამოუგონია, რომ ჭირის ბაქტერიაც მოკლას და წყალიც სუფთა, ანკარა მოგაწოდოთ.

VII.

დასკვნა.

მაშ რა წყალი უნდა ვსვათ!?

საქართველოში ეს საკითხი ჯერ-ჯერობით ისე არ არის გამწვავებული. ნახევარზე მეტი ხალხი მშვენიერ მთის წყაროებით სარგებლობს, ხოლო დანარჩენი ნახევარი საუკეთესო თვისების მდინარე წყალსა სვამს. მეტადრე ჩვენი მდინარენი ისეთის სისწრაფით დადგა გარბიან, ქვიდან ქვაზე დახტიან, რომ ერთს ადგილას ვერაფერი უწმინდურება ვერ გაჩერდება. საშიშია მხოლოდ ას ადგილი სადაც მდინარე მდორეთ იძვრის: ალაზანი კახეთში, გორში და თბილისში მტკვარი, ქუთაისში და ორპირში რიონი, ცაგერში ცხენის წყალი, ახალციხეში ოცხე და სხვ...

—

„ღმერთმა გადმოხედა და სთქვა:
„ე რამთვენი მკვდარი ძევს ჩემი უნებურიო“
(ხალხ.)

საზოგადოთ, წყალში მცხოვრებ მიკრობ-განიზმებთა შორის უმთავრესი ჩვენი ყურადღება უნა მივაქციოთ ჭირის ბაქტერიებს, რომელნიც წყლის საშუალებით ავრცელებენ სხვა და სხვა გადამდებ ჭირს და მოარულს, მეტადრე ხოლერას, მუცელკეთილს და სოფლე სახადს. არამთუ დღეს, ამ ორმოცი წლის წინეთ იყო დამტკიცებული, რომ ხოლერა და სახადი წყლის საშუალებით ჩნდება, ვრცელდება. მაშინვე გამოითქვა მეცნიერთა ის აზრი, რომ მარტოოდენ წყლის გაწურვა-გაანკარება ვერ დაგვიხსნის ჭირისაგან. ხოლო ერთად ერთი საიმედო წამალი და საშუალება ნადუღი წყალი არის. წყალი უნდა დიდხანს ვადუღოთ, დავხოცოთ შიგ მოფი ოფველიგე ჭირი და მავნე და მერე გაცივებული ვიხმარეთ: სასმელად, ხელ-პირის საბანად, ჭურჭლის სარეცხად (მდუღარე) და სხვ. და სხვ...

მთელი ქალაქისთვის და სოფლისთვის რასაკვირველია ძნელია ნადუღი წყალი მიდებით მივაწოდოთ, მაგრამ ყველა ოჯახს კი ადვილად შეუძლია სახლში ოფველთვის ნადუღი წყალი იქონიოს სასმელად და სახმარებლად. მეტადრე მაშინ თუ რო თქვენს სოფელში ანუ ქალაქში ჭირი რამ გაჩნდა, უმთავრესად კი ხოლერა, სოფლე და მუცელ კეთილა.

თუ გინდ ეს ჭირიც არ იყოს, წყალში ხშირად ხვდება მუცლის ჭიის კვერცხები, რომელნიც ჩვენს წელებში დაიწყებენ ხოლმე ზდას და ფუფუნებას. გარდა ამისი ოფველ ზაფხულს იფლისა და მარიამობის თვეში ძრიელ ბევრი ბავშვები იხოცება ფაღარათობისაგან. მართალია უმწეფარი ხალი ხიბა-ხუბა აჩენს ფაღარათობას, მაგრამ წყალი უფრო აძლიერებს ჭირს. ამიტომ დიდად საჭიროა მთელ ზაფხულს მხოლოდ ნადუღი წყალი ასვათ ხოლმე ბავშვებს.

ბოლოს და ბოლოს, სწორედ რო მოვალენი ვართ დვთისა და მეცნიერების წინაშე უეჭველად ნადუღი წყალი გამოუღებლად ახალ-ახალი ვიქონიოთ სახლში—სასმელად ხელ-პირის საბანად და სხვ...

აი მხოლოდ ამ ხერხით შეგიძლიანთ თქვენი თავი და მთლად ოჯახი გადარჩინოთ უგუნურ სიკვდილს, ათას ჭირს და ვარამს, გვერწმუნეთ ბრიყვული მსხვერპლი არც დმერთის მოსაწონია და არც კაცისა.

ბონიერ ადამიანის მოვალეობაა გამოცდილებით და მეცნიერებით ნადვაწი მოპოვებული და საუკეთესო საშუალებად ადიარებული ზომები, აუცილებლად შეიგნოს, დაუბრკოლებლივ უსათუოთ ადასრულოს. ასე უნდა მოვიქცეთ საკეთილდღეოთ მოუვსისა და ჩვენის თავისა.

ილ. ალხაზიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი საწერი

საკუთარის დაკვირვებიდან

ერთს უმთავრეს მიზანს სახალხო სკოლისას წერა-კითხვა შეადგენს. ეს მიზანი იმდენად დიდია, რომ სხვა მიზნებში ცხადათ ირჩევა. წერა გულისხმობს დალაგებულ გადატანას აზრებისას ქაღალდზე, რომ რასაც ფიქრობს კაცი, იმისი სიტყვებით გამოხატვაც შეიძლოს. ამას დიდი პრაქტიკული გასავალი აქვს ცხოვრებაში და ჯეროვანადაც არის დაფასებული. წერა აბამს ლოკიკურად აზრებს ერთმანეთზე, არკვევს, და შეაქვს კაცის სულში მკაფიობა. ბედნიერია ის ადამიანი, რომელმაც თავის ბუნდოვან, ოდნავ გამჩნდარ აზრს ხორცი შეასხა, ხელ შესახებად გახადა. ამგვარი ადამიანი არ მიეცემა გამოურკვეველ სევდას და ცხოვრების ჭეშმარიტს გზას არასოდეს არ გადაცდება. ყველას არ შეუძლია იქნეს პოეტი. მაგრამ თავის აზრ-გრძნობათა გამოთქმა ყოველთვის მოსახერხებელია, თუ რომ ეს ნიჭი არის განვითარებული ადამიანში ბავშვობიდანვე. წერით ადამიანი ეცნობა თავის მოძმეს. ბიუფონი ამბობს: სტილი იგივე კაციაო. ვიღაც ბრძენმა სთქვა: რამდენი დავიდარაბა ასცდებოდა ქვეყანას, რომ ადამიანებს შეეძლოთ მკაფიოდ თავის აზრის გამოთქმა და სხვისი აზრის წაკითხვაო. პრაქტიკულ ცხოვრებაშიაც ის უფრო არის დახელოვნებული სხვა და სხვა მოსაგებ საქმეებში, რომელიც დაჩვეულია. თავისი აზრები ძალდაუტანებლად გამოხატოს. ლიტერატურაშიაც ის უფრო ძვირფასია, ვინც ღრმა აზრებს, მარტივ სამოსელში გამოახვევს, რადგან ყოველივე დიდებული ამასთანავე ყოველთვის უბრალოაო, ამბობს ტოლსტოი. წერა-კითხვის ესეთი მნიშვნელობა არავისთვის სადაო აღარ არის, სწავლის მთელი სისტემა ამ მიზნის მისაღწევად არის აგებული, სხვა საგნების შესწავლაც ხელს უწყობს, როგორც საჭირო ცოდნით გამამდიდრებელი.

მაგრამ რამდენად აღწევს დღევანდელი სკოლა ამ მიზანს? თვით რუსულ სკოლებშიაც თან გადაყოლილი არიან მხოლოდ ორთოგრაფიულ და სინტაქსიურ სისწორეს და საკუთარ აზროვნებას მოწაფისას ყურადღებას არ აქცევენ. უღეჭვენ ათასნაირად პატარა მოთხრობებს და ლექსებს, გეგმებს უდგენენ, კითხვებს აძლევენ, უთვალავჯერ ამეორებინებენ და შემდეგ აწერინებენ განსაზღვრულ ფარგლებში. ბავშვის აზრს არ აქვს თავისუფალი საძრაობა, ბავშვს ხალისი, და ამის ბრალია, რომ სახალხო სკოლა გამოვლილი პატარა რუსები ორ აზრს ვერ შეაკოწიწებენ ხეირიანად. რად ხდება ეს? მე მგონია მიზეზი აზრის განუვითარებლობაში იმალება. თუ აზრი ნავარჯიშევი არ არის თავისით, ვერასოდეს ენის გრამატიკულ და სინტაქსიურ კანონების ცოდნა ვერ მოიტანს აღთქმულ ნაყოფს. მხოლოდ თუ აზრია ძლიერი და დედა-ენაზე წესიერად მომუშავე, ის გადალახავს ყოველივე დაბრკოლებას ენის კანონების უცოდინრობისგან გამოწვეულს და გამოითქმება ვრცლად, მკაფიოდ და საამურად. ბევრს უკიჟინებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგოლს ენის უცოდინრობას; ყაზბეგი და ნინოშვილი ხომ ენაში მოიკოჭლებენ, მაგრამ მათმა ძლიერმა აზრმა მაინც შესაწყნარებელი გამოხატულება მიიღო. ამით ის კი არ მინდა ვთქვა, რომ არ არის საჭირო გრამატიკის და ენის კანონების შესწავლა, მხოლოდ ხაზს ვუსვამ აზრის თავისუფალ ვარჯიშობის დიადს მნიშვნელობას.

თუ რუსული სკოლები რუსის ბავშვებსაც ვერ ასწავლის ხეირიანად წერას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჩვენი „ქართული“ სკოლები ხომ ამ შემთხვევაში დიდათ მოიკოჭლებენ. არ იცის კაცმა, რას ემსახურება ახლანდელი „ქართული“ სკოლა? აზრის გავარჯიშებას თუ წერის შესწავლებას? რომ დაუკვირდეთ, არც ერთს ემსახურება და არც მეორეს და გამოდის სრული უმიზნობა. რუსული ენა ვერ ისწავლება იმდენად, რომ აზროვნება შეიძლოს ყმაწვილმა იმ ენაზე, საგნები ღრმაკვალს არ სტოვებენ ბავშვების გულში, ქართული ენა კი მინაბურებულია. კურს დამთავრებული პატარა ქართველი არის ენა დამბული რუსი, აზროვნების ნიჭს მოკლებული და ისეთი ქართველი, რომელსაც ქართული ლაპარაკიც ბუნებრივად აღარ ეხერხება. ამ ჭირს ღრმა ისტორიული საფუძველი აქვს და აქედან წარმოსდგა სწორედ ჩვენი ხალხის ერთი ნაწილის, ე. წ. პოლუინტელიგენციის აზრის უბადრუკობა და სიდუხჭირე. რა ეშველება ამ საქმეს? მე მგონია, ჩემამდინაც ბევრი მასწავლებელი ჩაუფიქრდებოდა ამ მდგომარეობას. მე იმათი აზრი არ ვიცი, მაგრამ ჩემ თავად გადავწყვიტე, რომ ოფიციალ პროგრამასთან ერთად მთავარი კურდღელიც დავიჭირო, ე. ი. ბავშვებს შევასწავლო „წერა-კითხვა“ დედა-ენაზე, რაც უნდა შრომა გადამხდეს.

ამ მიზნით ვაძლევ თავისუფალ საწერებს, რომელშიაც ბავშვებს შეუძლიათ სწერონ, რაც ენაზე მოადგებათ, სწერონ უშიშრად, რადგანაც არავინ არ დაისჯება. ზოგი გამოიჩენს ფანტაზიას, აზროვნების ნიჭს, ზოგი—გონების სიბეჩავეს, ორივეს ცოდნა მასწავლებლისთვის დიდათ მოსახმარისია. ჩემ სასწავლებელში მესამე განყოფილებაში ჯერ ვაწერინე შელოცვები, ხალხური ზღაპრები. მოწაფეები გატაცებით ასრულებდენ მიცემულ საწერს. სხვათა შორის მე შემდეგი აზრი მქონდა: ბავშვები დაუკვირდებიან დიდების ლაპარაკს, დაისწავლიან ზეპირად ზღაპრებს და იმ სახით გადაიტანენ ქალალდზე, ვითომ ზეპირად ჰყვებოდნენ. ბავშვებს განუვითარდებათ დაკვირვების ნიჭი, მეხსიერება, ფანტაზია და შეეჩვევიან წერას. როცა მრავალი ზღაპარი და ლექსი დავაწერინე ამნაირად, მაშინ შევუდექით სხვა მოვლენების აღწერას. აქ სახეში მქონდა ერთი დიდი მიზანიც, სახელდობრ: ბავშვების მიერ მკაფიო ცოდნის შეძენა თავისით. ადამიანი მდიდრდება ცოდნით მხოლოდ გრძნობის ორგანოთა საშუალებით და, როგორც ამბობს უშინსკი, რამდენადაც ცოდნა მეტი ძაფებით არის მიბმული სულთან, მით უფრო ხანგრძლივია იგი; ობობა თავისი რვა ფეხით უფრო ეკიდება ჭერის ფიცარს, ვინემ ერთი ფეხი რომ ჰქონდეს. ცნებას „შაქარი“ მაშინ უფრო შეისისხლხორცებს ბავშვი, თუ შეხედვასთან ერთად ხელშიაც გააშინჯვინებ და გემოსაც აგემებ. ორივე შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა დაკვირვება, ურომლოდაც წარმატება წარმოუდგენელია. თვითეული აღმოჩენა მეცნიერება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში თუ ხელოვნებაში არის ჯამი ხანგრძლივი და მრავალფეროვანი დაკვირვებისა. საგნები და მათი ურთიერთობა სახავს ჩაბეჭდილებას ადამიანის ტვინში და ავსებს მას აურაცხელი ცოდნით ბუნებისა და ადამიანის შესახებ. მაგრამ როგორც დაკვირვებისთვის უსაჭიროესია ცნობის მოყვარეობა — თანდაყოლილი თვისება, აგრეთვე დაკვირვების შედეგის შესათვისებლად აუცილებელია ხალისი, რომელიც კირივით შეადუღებს ჩვენს სულთან დაკვირვების ფარგალში მოყრილ საგნებს; რადგანაც მხოლოდ ასეთი ცოდნა, დაკვირვებაზე და ხალისზე დამყარებული, მოგვცემს სასურველ ნაყოფს, ამიტომ უნდა ვეცადოთ ამ გზით ვავარჯიშოთ ახალგაზდათა ყურადღება. აქ დიდ სამსახურს გამიწევდა საბავშვო ექსკურსიები, მაგრამ ბავშვების სიმრავლის გამო ჩემ სასწავლებელში ეს არ მოხერხდა.

ამიტომ გადავწყვიტე, რომ ბავშვების თვალში ყველა მოვლენას და საგანს მივცე მიმზიდველი ელფერი, აღვნიშნო მათი სხვა და სხვაობა და ამასთანავე საოცარი ჰარმონიაც და მივაქცევ ბავშვების ყურადღება. ხშირად ვებაასებოდი ბუნების მოვლენებზე, ხალხის ჩვეულებებზე, დღესასწაულებზე, ჩიტების დევნაზე, ღვინის სმაზე, თუთუნის წევაზე და ვარკვევდი ამ მოვლენათა ზარალს თუ სარგებლობას ხალხისთვის. ამნაირად შემზადდა ერთნაირი ნიადაგი, რომლითაც შემეძლო გამეგო სულის სწრაფვა თვითეული ბავშვისა, მისი შინაური ცხოვრება და ცხოვრება იმ საზოგადოებისა, რომელშიაც სკოლა იმყოფება.

პირველად ბავშვები უხერხულად გრძნობდნენ თავს, თემას რო მივცემდი, არ იცოდნენ, რა დაეწერათ. მე ვეტყოდი: გაიხედ-გამოიხედე, ღვთის გაჩენილი ქვეყანა დიდია, თვალი გაქვთ, ყურები... რასაც მოჰკრათ თვალი, რაც გაიგონოთ, რაც გაგახსენდეთ, რამაც გაგაბაროსთ, შეგაწუხოსთ, ყველაფერი, ყველაფერი გამოდგება საწერ მასალად! ბავშვები გათამამდნენ და დასწერეს რამდენიმე თემა; ზოგი მათგანი ნამდვილ ესტეტიურ სიამოვნებას იწვევდა ჩემ გულში. როცა ყოველ დღე ხუთი მძიმე გაკვეთილის შემდეგ ას ორმოცდა ათს რვეულს უნდა მოვჯდომოდი გასასწორებლად, ჰატარა „მწერლების“ რვეულებს განგებ ბოლოსთვის ვინახავდი გასასწორებლად, რომ დანარჩენებისგან გამოწვეული უსიამოვნება წაეშალათ და თბილი სხივები შეეტანათ ჩემი სულის გაცივებულ კუნჭულებში. რვეულების ღირსება მხოლოდ ამით არ განისაზღვრებოდა, ბავშვის ერთი კალმის მოსმით ჩემთვის ცხადი იყო იმის სულის ვითარება და ის პირობები, რომელშიაც იგი იყო აღზრდილი. ხშირად ისეთი ბავშვები, რომლებიც არავითარ ნიჭს არ იჩენდნენ სწავლაში, გაცილებით მაღლა მდგარი აღმოჩნდენ გონებით თავის ამხანაგებზე. ნაწერი სარკეა სულისა, მით უმეტეს ბავშვის ჰასაკში, როცა არ არის არავითარა ძალდატანება; მხოლოდ ბავშვის სული სარკეა იმ ჭრელი ვარემოებისა, რომელშიაც ბავშვი იზრდება, ჩემი ბავშვები მესამე განყოფილების მოწაფეებია სოფლის ორკლასიან სასწავლებელში. ნახევარ წელიწადში გადაიკითხეს ყველა მოთხრობა „ბუნების კარში“ და კითხვას შეეჩვივნენ, დასწერეს მრავალი ზღაპარი და წერაშიაც დახელოვნდენ.

ცუდი ამინდია, გარეთ სწვიმს და ტალახია. საწერს ვაძლევ მესამე განყოფილებას: რა გინდათ, რას დასწერთ? „გლახა ამინდს!“ მომაძახეს აქეთ იქიდან. „ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც არ გინდათ, „ნიკორას ჩივილი“ გადმოიწერეთ „ბუნების კარიდან“. ყველას „გლახა ამინდი“ დაუწერია. აი ერთი რას სწერს: „დღეს ძალიან ცუდი ამინდია. წვიმს და ქარი ქრის, ამის გამო წულები დიდდება და ხიდებს წაიღებს ხოდმე. ხალხი ძალიან კადის წყალში. ამ დროს პატარა ბავშვები მოვდენ წულის პირას; ძალიან ეწუინებათ, მაგრამ რა გაეწყობა. ზოგიერთი გულმაკარი ბავშვი ჩადგება წყალში და გამოვა ისე. მაგრამ ვაი მის უბედურებას, თუ ქვა მოხვდა ფეხზე, მაშინვე წყალში წაიქცევა და დაიწყებს ფორთხვას“. მეორე დღეს კარგი ამინდია. ბავშვებმა თვითონ ამოირჩიეს საწერი თემა. იგივე ბავშვი სწერს; „კაი ამინდში ბავშვები სკოლაში ძალიან მხიარულად არიან, ზოგი ბურთაობს და ზოგი ჭიდაობს; კაი ამინდში, მთელ ქვეყანაზე რო გაიხედ-გამოიხედო, გული გაგიმხიარულდება. ჩიტების ყდურტული ჩვენ ძალიან გვსიამოვნებს. ამისთვის ჩვენ ჩიტი არ უნდა მოვკლათ, ბუდე არ დაუშალოთ და პირიქით უნდა მოვეხმაროთ“.

მეორე სწერს: „დღეს კარგი ამინდია, მზე ამოსულა, ფოთლები და ბალახი გაშლილია, ჩიტები დაფრენენ, ბუზებს იჭერენ და მხიარულობენ კაი ამიდით. სასწავლებელში მოვდივართ, არ ვაკლდებით; მართალია ხიდები წაიღო, მაგრამ ვიღებთ დიდ ქვებს და ვაგდებთ წყალში. ფეხები მაინც გვისველდება, ისე ვწვალობთ!“

მესამე სწერს: „დღეს კარგი ამინდია, ჩიტები მხიარულად დაფრინავენ, ჩირგვიდან ბუზები გამოდიან. ამ დროს მერცხალი გამოუქროლებს და უცებ გადაულაპავს მწერს. ფუტკარი მიზუზუნებს ყვავილისკენ თაფლის მოსაგროვებლად. ბავშვები გარეკავენ ხარებს მინდვრად, ამ დროს ბოროტი ბავშვი მიატოვებს საქონელს შუა გზაზე და დაიწყებს ტეში ბუდის ძებნას“.

რამდენიმედ ანალოგიური აზრებია გამოთქმული „გაზაფხულის დილა“-შიაც. ბავშვი ფო—ძე სწერს: „გაზაფხულზე მზე ადრე ამოდის, ყოლიფერს აღვიძებს, ჩიტები გალობენ. პირველი სხივი წამოვიდა, დაეცა კურდღლის ბაჭიას. კურდღლის ბაჭია წამოვარდა ზეზე, გაიქცა ღელეზე პირის დასაბანად. ამოტანცალდა ღელიდან და დაუწყო ნამიან ბალახს ძოვნა. მეორე სხივი მინდორს დაეცა, გაიღვიძა მინდორმა და დაიწყო შრიალი. კაცმა გახედ-გამოხედა, დარდი გულზე გადაეცალა, სასოებამ ფრთა გაშალა, გულსა ჭერა და აუძგერა“... აქ აკაკის ლექსიც კი ჩაურთვია ამ ერთი შეხედვით „ყოვლად უნიჭო“ ბავშვს და „დილის მზის სხივებიც“ თავის ფანტაზიაში გაუტარებია. სურათის დასამთავრებლად მოვიყვან კიდევ ერთი ბავშვის ნაწერს: „დილაზე ამოვა ხოდმე მზე და ჩიტები მიაშვერენ გულს იქითკენ. ადამიანი მოწყვიტავს ვარდს და ჩაიმტნევს გულში. შაშვი ლოცულობს კაი ენით. ჩიტებს უხარიათ, შვილები ეზრდებათ და თავზე დასტიკეტიკობენ: დმერთო, გაგვიზარდე ჩვენი შვილებიო, ეხვეწებიან. მაგრამ სულელი ბავშვები არ უყენებენ ბუდეს“.

როგორც ხედავთ, ბავშვები რაღაც სიხარულს გრძნობენ ბუნებაში და თავის აზრის გამოთქმას არ ერიდებიან. „რაც უნდა მოწყენილი იყო, გული გაგიხალისდება“. ამბობს ერთი. „ისეთი მშვენიერი იყო ბუნება, რომ თავი დამავიწყდა, გამოვლენილიო“, ამბობს მეორე. ერთი დიდ თავა მოწაფე სწერს: „ადმოსავლეთით რადაცა გაწითლდა, მივაჩერდი, მივაჩერდი და ამოგორდა ჩემი თავის ხელა მზე“ო.

ზამთარში დასწერეს „ახალწელიწადი“. ფო—ძე სწერდა: „ახალწელიწადს დამეს არ დაგვეძინება, დილაზე ავდგებით ხოდმე და მოვიტანთ წყალს და ერთმანეთს უკვლევთ გოზინაყებს. მაშინ რომ ვიჩხუბოთ, დაგვებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება“. არ—ძე სწერს: „დიდაზე ადრე ვდგებით, ვიდებთ ნაფრეკს და ტეტხლს უჩხიკინებთ: ამდენი ბური, ამდენი დვინო! სავსე დოქს ვატრიალებთ და ვლაპარაკობთ: მოვიდა ახალი წელიწადი, წავიდა ძველი წელიწადი“!

ძალიან კარგი იყო ერთი ბავშვის დაწერილი „აღდგომა“, მაგრამ, სამწუხაროდ, იმის რვეული დამეკარგა. შედარებანი კი ჩამრჩენენ გონებაში: „აღდგომის დამეს, რომ საფლარს გახედო, გეგონება, ტეტხლი მოკიდებია და იწვისო“, „საფლარში და მის გარედ ისეთი გუგუნი ისმის, რომ გეგონება საფლარი თავზე მენგრევაო“.

„ქორწილი“. „ქალი რომ გათხოვდება, მზადებას დაიწყებენ და ასუფთავებენ სახლებს. მაშუალი დადის. როცა მოვა, რომ არ იყოს, ხუთი იმდენად აქებს, გააკეთებს საქმეს და მოიყვანს ქალს. დაკლავენ ძროხას, ინდაურს ბატს, დორებს, ცხვრებს; ხაჭაპურებს გააკეთებენ. დვინოს იყიდიან, ზურნას უკრავენ, ოამაშობენ. დვინოს ბევრს სვამენ დათვრებიან და ჩხუბი მოდისთ. ზოგი კვდება და ზოგი რჩება.

„ეგზამენები“. „როცა ეგზამენების დროა, მოწაფეები გულმოდგინეთ იმეორებენ ხოდმე გაკვეთილებს. მიგების დროს ბავშვები სულ ძიგძიგით ამბობენ სიტყვებს. მაგრამ ზოგი კი გადავა და სულ სიცილით წამოვა სახლში, ზოგი ჩარჩება და დაიწყებს ტირილს. მაგრამ რაღას შეეფარება? მაინც წამოვა სახლში. მამა მისი ეტყვის: „რა ქენიო“?..—რა ვქენი და, იმ ოხერმა გამოტყდელმა ჩამარჩინაო. რათა შვილო?—რათა და მასწავლებელი რო ხუთს მოიწერდა, ის კი ორად გადააკეთებდა! „წადი, დაიკარგე აქედან, შენ რო გაკვეთილი არ იცოდე, გამოტყდელის რა ბრალია“?..

ამ ზაფხულზე ბავშვებმა შეადგინეს „მაისის კავშირი“. ამ „კავშირის“ გავლენა თავისებურად გამოიხატა ბავშვების თავისუფალ საწერში ამ თემაზე „როგორ ვსდევნიდი ჩიტებს?“ აი რამდენიმე ნიმუში ამწერილისა: ქეთო მა—ნი სწერს: „ერთხელ გამბრიუვეს მეზობლის ბატარა გოგოებმა, ჩვენს თივის ბულულში ბევრი ბოლოქანქალა არის, წამოდი დავიჭიროთო. წავედით, დავიჭირე ერთი საწყალი ჩიტი. ისიც არ დამეჭირა ნეტავი! ისეთი საწყალად ჭეიპინებდა, რომ გული შემიწუხდა. სულ თავზე დაგვტრიალებდა საწყალი დედა-მისი. მე შეგეხვეწე ამ გოგოებს: „გაუშვათ დაიკ ეს ჩიტი!“ იმათ მითხრეს: „თუ სულელი ხარ, სახლში წაეთრიეო“. მე ვედარ დავდექი იქ და წამოვედი“. ივანე კი სწერს: „ბატარაობისას წავედი ტუეში, ბევრი ვეძები ჩიტის ბუდე, მერე ერთს წიფელაზე ვიპოვნე წრიპის ბუდე. შიგ იყო ოთხი ბარტყი, ჩაგები ბაწრით ოთხივე. მესამე დღეს მივედი წასაყვანად; დავინახე, რომ ოთხივე ბუდეზე გადმოგიდებულიყო“. ვარლამ მა—ნი გვიამბობს: ერთხელ ბატარაობისას მეკერჩხლიდან გადმოვსხი ოთხი ყარანას ბარტყი. ერთი მიუყვანე ჩემს ბატარა ძმას. როცა ხელში ათამაშებდა, ეს დაინახა კატამ, გამოგლეჯა და შესჭამა! მე გული მომიგიდა. მივვარდი და ვუყვირე კატას: „რად შეჭამე, მე ეგ გასაზრდელად მინდოდა“-მეთქი. ერთი ორი თავში ვტეხე და დავიწყე ტირილი“. ვარლამ კო—ლი ამბობს: „ბატარაობისას ძალიან მოსისხლე ვიყავი ჩიტების, ზოგს ბუდეს ვუშლიდი, ზოგს კვერცხებს ვუმტვრევდი, ზოგს ბარტყებს ვუსხამდი. ერთხელ დავინახე სკვინჩის ბუდე ოდიხზე. ამ ბუდეში იყო ოთხი ბარტყი. ეს ბარტყები ჩავები ფეხით და ოთხივე მოვკვდარიყო. ერთხელ კიდევ ვაშლის ფოდოში მანჭიას ცხრა ბარტყი გამოჩეკა. ამ ფოდოში ხელი არ მეტევოდა, ამიტომ ნაჯახი მოვიტანე და გამოვხეხე, ბარტყებს დედა ადარ მიკარებია, და ბარტყები შიგ ჩალეხა“.

ო—ნი სწერს: „ყველა უგუნური ბავშვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტების მტერია. მეც ბავშვი ვიყავი, რომ ვსდევნიდი ჩიტებს. შემდეგ კი შევიგნე და დავანებე თავი ჩიტების დევნას და ვცდილობ, რომ გავაგებინო ჩემს ამხანაგებს, როგორი სარგებლობა მოაქვსთ ჩიტებს და როგორი ცოდვა არის ჩიტის ბუდის მოშლა და ან ჩიტის მოკვლა: ერთხელ შევედი ხეზე და ბუდურა ჩიტს ბუდე მოუშალე და ბარტყებიც ამოუსხი. გაიგო თუ არა ამ ბარტყის დედამ, ყლივილ-ჩხივილით მოვარდა გამწარებული და კიდამ თვალები ამოგვკენკა. ცდილობდა როგორმე გამოეხსნა თავის შვილები, მაგრამ რას იზამდა“!

„ეგზამენების“ დამწერი მოგვითხრობს: „ერთხელ მივდიოდი წყარზე. გზაზე იყო ერთი ფოდოიანი თხმელა, რომელზედაც მანჭია-ჩიტს ბუდე გაეკეთებინა და ოთხებოდა პატარა ჭუკები ჩაუსხამს ფუდურაში შეთქი. მერმე ვიფიქრე, მოდი ჩავიხედავ, თუ თავხი იხდიურიც შიგ არის. მართლაც ჩავიხედე და დავინახე პატარა ჩიტები, რომლებიც შიმშილისაგან წუწუნობდენ. მე ისე გამეხარდა ჩემ გულში, რომ თუ გინდა სულ ოქროებით გამევსოს თუნგული. მაშინვე ამოვიყვანე და მინდოდა გამეხარდა, მაგრამ იმ დღესვე უვულანი მომიგვდენ. რამდენჯერ მიწვალებია ჩიტის ბარტყები, მაგრამ რადი ბავშვების კვშირი კი შევადგინეთ, მასუკან კი ადარ გამიცია ხმა ჩიტებისათვის“.

პატარა ბუ—ლი სწერს: ერთხელ მე ძალიან მინდოდა ჩიტის დაჭერა, მაგრამ ტყეში ვერა ვიპოვე რა და წამოვედი დადონებული სახლში. გზაში ბარდში გამოვარდა შაშვის ბარტყი, გამოვეკიდე და დავიჭირე. მოვიყვანე და ჩავსხი გალიაში. ორი დღის შემდეგ, გალიის კარი ღია დამრჩენოდა, შაშვს ედროვებია და გამოსულიყო. ხეს კატა ეოთილიყო მოთარებული, სცემოდა ბარტყს და სულ კაებდდვნა. მე ძალიან გული მოგმივდა, მივვარდი კატას და გავლახე. გალიას წიხლი დავკარი და სულ ნაწილ-ნაწილად დავამტვრიე. ეხლა კი როცა ჩიტების კვშირში ხელი მოვწერე, ჩიტებს არა თუ ვიჭირავ და ვკლავ, არამედ მეგობრობას ვუწევ და ჩემ სახლთან ჩიტებს სულ გრიგა აქვსთ ხოლმე“.

„რის მეშინოდა ბავშვობაში?“ მსურდა გამეგო, როგორ ხალხში გაიზარდა ესა თუ ის მოწაფე. ერთი სწერს: „მე პირველად არაფრის არ მეშინოდა. მერმე სთქვეს: ჭინკამ ერთი ბავშვი წაიყვანოო, ერთმა ქალმა სთქვა, იმ ჩემი ცოდვით სავსემ: გუშინ ჩამოვიდა ჭინკაო. მერმე დადამდა: სახლის თავზე კაკალი გვქონდა. თურმე კატას დაუნახავს თაგვი და გამოკიდებია, გაქცეს კაკალს ჩხრიალი. მე ვიფიქრე: არიქა ჭინკები წაიკიდა სახლის თავზედ შეთქი“. მეორე სწერს: „ერთხელ გამაგზავნეს ჭურის თავზე: დვინო ამოიღეო. რომ ვიდებ დვინოს, ამ დროს გაათავინეს რადაცამ. დავუგდე ყური: არ დამიჭირონ შეთქი და სახლში მოვკურცხლე, ჭურთავი ღია დავტოვე. მიველი სახლში აქლოშინებული და მოვეყვი ჩემ გაჭირვებას. მითხრეს: ის ნამდვილათ ეშმაკი იქნებოდაო. და მასუკან ვფიქრობ, რომ ეშმაკი არის“. მესამე გვიამბობს: შემოდგომის სალამოს მეზობლიდან მოვდიოდი. ტყიდან გამოვიდა ვიღაც ბავშვი და სიმიდებში შლიგინი დაიწყო. ჩემი ბალანი ულუზე ადგა და გამოქცევა დავაპირე, მაგრამ კიდევ არ გამოვიქეცი, ერთი ორჯელ მივაძახე: ვინ ხარ შენ მეთქი! მაგრამ იმან ხმა არ გამცა; იმან მაინც არ შესწყვიტა სიმიდების შრიალი. ხმა რომ ადარ გამცა, მე ძომეტებულად შემეშინდა და სახლისკენ გამოვსწიე, ჩქარა მოვიჭერი სახლში გულათფორთქებული“. მეოთხე მოგვითხრობს: „მე პატარაობისას ძალიან მეშინოდა. ეზოში რომ გამოვიდოდი, დავინახავდი ჯირკს ან ქვას, შემეშინდებოდა და ვიწყებდი პირჯვრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერას: წმინდა გიორგი მიშველე მეოქი. იქნამდი ვიწერდი ბირჯვარს, სანამ მაძებარი არ გამოიდგებოდა. ახლა რადა თავი შეგაწუინო, ბატარაობისას კი არა, ახლაც ძლიერ მეშინია. ერთხელ თუნგულით წყარიზე წავედი და დავინახე გზაზე რადაც; ქვის მაგივრად თუნგული ვესროლე და, წყალი რომ უნდა მომეტანა, ატირებული დავბრუნდი სახლში".

ზოგიერთები დარწმუნებულან, რომ შეცდომით უჭამიათ ხოლმე შიში. აი ეს წერილებიც: „ერთხელ გზაზე დამადგმდა. დავინახე მინდორზე ვიდაცას გაუშლია ხელები. ძლიერ შემეშინდა, უკან დაბრუნება მინდოდა. მაგრამ ვფიქრობდი: ვაი თუ უკან გამოიკიდოს მეოქი! ისევ წავედი, მივედი ახლოს. ვნახე, დამწვარ ჯირკს ტოტები აქვს გაშლილი". ო—ნი სწერს: „გამიგონია, რომ ქაჯი ხშირად ხვდება ღამე კაცს. მე ეს მჯერდა და ძალიან შეშინოდა ღამე გავლის. ერთხელ წავედი ქალაქში, რადგან საქმე მქონდა, იმავე დღეს უნდა წამოვსულიყავი. დაბრუნებისას გზაზე დამიდგმდა და სულ ვფიქრობდი: ვაი თუ ქაჯი დამხვდეს გზაზე! შორს დავინახე, რომ გზის ბირზე რადაცა წამოჯდარა. ძალიან შევშინდი, უკან ვედარ დავბრუნდი და მივეცი ისევ გულს სიმაგრე და წამოვედი ამ საშიშროების ბირდაბირ. რო დავუახლოვდი ფეხ აკრეფით, შევამჩნიე, რომ უურები ძალს უგავდა და თავ-ტანი კაცს. დავდგინდი. მაგრამ რას ვიზამდი? შემდეგ გავბედე და მივედი და მუხის ჯირკი შემრჩა ხელში".

რომ უფრო შემეზიზღებინა ბავშვებისთვის ღვინის სმა, ვჰკითხე „როგორ აქცევს კაცს ღვინის სმა?" უნდა დაეწერათ ჩვეულებრივად „ნახულ-გაგონილი". ბუ—ლის რვეულში სწერია: „მე ბევრჯელ მინახავს გზებში ტალახში გასვრილი კაცი, უგრძნობლად წაქცეული. ეს არის ღვინისგან. არის კიდევ ბევრი ღვინისგან დასნეულებული კაცი და ამიტომ კაცმა არ უნდა დალიოს ბევრი ღვინო. ერთხელ ქალაქიდან მოვდიოდი, დავინახე დამთვრალი კაცი. ხანჯლის სუსური დამიწყო, ძალიან შემეშინდა და დავიმალე. მერე ადარ იყო და სახლისკენ მხიარულად წამოვედი. გავიარე იმ ადგილს და შევხედე, რომ კაცი წაქცეულიყო და ეძინა". კა—ლი სწერს: „კაცი რომ დათვრება, ვედარაფერს გაიგებს, თუნდა კლდეზეც გადავარდეს. ერთხელ მივდივარ გზაზე, შემხვდა მთვრალი კაცი. იქით აქეთ ტორტმანობდა. დამიძახა: „მოდი, შენ, მამაძაღლო, მოგიდე ხელი!" მივედი, მოვკიდე ხელი, დავინახე, რომ წელქვეით სულ გათხუბნული იყო ტალახით. მოვკიდე ხელი, წამოვიყვანე და გზაზე ბირში ღვინის სული ამოდიოდა. მერე მოგაწვა და ორივე ტალახში ჩავვარდით".

მკითხველო, თუ რამე მოგეწონა ამ სტრიქონებში და იმდენად მატერიალისტი არ ხარ, რომ ეჭვის თვალით ან დაცინვით შეხედო ჩვენს ნაშრომს, მოგახსენებ, რომ ყოველი საღი აზრი, ბავშვების მიერ გამოთქმული, შეითვისეს მათ მხოლოდ და მხოლოდ დედა-ენაზე. იკითხავ, სად არის დრო სახალხო სკოლაში, რომ ქართული ენა ჯეროვანად შეისწავლონ ბავშვებმაო? მართალია; მე ამას ანგარიშს ვუწევ, მაგრამ ის ოთხი-ხუთი გაკვეთილი კვირეში. აგრეთვე ზოგიერთი წუთები გაკვეთილებს შუა, ზაფხულის თვეები ჩვენს ხელშია და „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევა". ძნელია დღევანდელი მდგომარეობა, სკოლას სული ეხუთება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ცხოვრება არ შეიცვლება, სანამ სხვა პირობებთან ერთად ადამიანებიც არ გაუმჯობესდებიან. როცა შეგნებულ ადამიანებთან გვექნება საქმე სოფელ-ქალაქად, როცა ჩვენ აზრს მიიღებენ და თავისას გადმოგვცემენ გლეხკაცები, მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელზე უფრო შესაძლებელი იქნება, იმედი ვიქონიოთ უკეთესი მომავლისა. მანამდი კი ამ პირობებში უნდა ვიმუშაოთ და მის გამხრწნელ გავლენას არ დავემორჩილოთ და არ დავამახინჯებინო ჩვენი ხალხის იმედი—ახალთაობა. ჩემთავად დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სასწავლებლის მოწაფეები ქართულ ლიტერატურას შეიყვარებენ, წიგნებს შეიძენენ, ცხოვრებაში შეგნებით მოიქცევიან, სოფლად სამკითხველოს და თეატრს დაარსებენ და მოითხოვენ საგნების დედაენაზე სწავლებას, როგორც ჭეშმარიტ პედაგოგიურ საშუალებას.*)

პავლე ა—ძე.

*) სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ სტატიას, როგორც საუკეთესო ნიმუშს ერთის ჩვენებურის სახალხო სკოლის გამოცდილებიდან და ამ სკოლის სულის ჩამდგმელის—საუკეთესო სახალხო მასწავლებლის შრომის ნაყოფს. ბავშვების მიერ თავისუფალი წერა ახალი ბედაგოგიკით აუცილებელ საკვარეშოს შეადგენს. გურნალ „განათლებას“ ამ საკითხისათვის არა ერთხელ მიუქცევია ყურადღება შემდეგს სტატიებში: „ხელოვანი მასწავლებელი“ 1909 წ. № 1. „მზიანი სკოლა“ 1910 წ. № 6, „სამხიარულო სწავლება“ 1911 წ. № 10. და სხ. ჩვენი უბედურება ის არის, რომ სახალხო სკოლის მასწავლებლების უმრავლესობა იმდენად უვიცია, რომ არა თუ ახალის, ძველი პედაგოგიისაც არა გაეგებათ რა და მათ ხელში რომ ჩვენი სახალხო სკოლები სულს ჩაბერავენ, ამას მრავალი თვალი მოწმობს. ვიმედოვნებთ, რომ **პავლე ა—ძეს** ნამდვილი მიმბაძველები ადმოუჩნდებიან სახალხო სკოლის მასწავლებლთა შორის.

რედ.

მოკლე საუბარი

ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან

(დასასრული)

X.

ჩვენი საუბრების დასასრულს მინდა მკითხველის ყურადღება ერთ მნიშვნელოვან საგანს მივაქცია, აქ ბატარა ხანს შევაჩერო. ეს არის ჩვენი კბილების შენობა, დანიშნულება და მათი მოვლის წესი-რიგი.

კბილები ადამიანს ორჯერ ამოსდის. ერთი ბავშვობისას, რომელსაც ძუძუთა კბილები ჰქვიან და რომელსაც მეშვიდე წელზე იცვლის და მეორე ამის შემდეგ. სრულ წლოვან ადამიანს კბილი 32 აქვს. თექვსმეტ თექვსმეტი თითო ყბაზე. კბილები ყველა ერთი სახის და მოყვანილების არ არის, იგინი სხვა და სხვანაირია. მაგ. ადამიანს წინა აქვს ოთხი, საგანგებოდ მოყვანილი, ბრტყელ თავიანი კბილები, რომელთაც წინა კბილებს ეძახით. მათ აქეთ და იქით გვერდზე მიხუტებული აქვთ თითო კბილი, რასაც ეშვები ეწოდებათ. ეშვების იქით მოთავსებულია ექვსი უფრო თავმრგვალი კბილი, რომელთაც საძირის ბატარა კბილები ჰქვიანთ და იმათ უკან კი ოთხი უფრო დიდი საძირის ან სიბრძნის კბილები. სიბრძნის კბილი ამათ იმიტომ ჰქვიანთ, რომ იგინი ადამიანს გვიან, ვაჟკაცობაში ამოსდის, მაშინ როდესაც ჭკუით, გონებით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილობით იგი შედარებით უფრო დაბრ-
ძენებულია. გარეგნული შეხედულებით კბილებ-
ში რამოდენიმე ნაწილს არჩევენ. იმას, რომ-
ელიც ზევით არის გამოშვერილი და ყველა
ჩვენგანი კარგათ ხედავს, კბილის ტანი ეწო-
დება. ის ნაწილი, რომელსაც დრძილები ეკვ-
რიან, კბილის ყელს წარმოადგენს და ის, რო-
მელიც ებებშია ჩამჯდარი და კბილებს იმაგ-
რებს, კბილის ძირი ან ფესვი. მაგრამ კბი-
ლის ამბავი ამითაც არ თავდება. იგი მარტო
ერთნაირი ნივთიერებისგან კი არ არის შედ-
გენილი, მასში რამდენიმე შემადგენელი ნივ-
თიერებაა. ყველაზე უმთავრესს ამათში შეად-
გენს თვითონ კბილის ნივთიერება, რომელიც
შუაშია მოთავსებული და რომლის სიბევრე-
ზეა დამოკიდებული კბილის სიმსხო და სი-
მაღლე. გარედგან მას გადაკრული აქვს მინა-
ქარიგით თეთრი, ძლიერ მკვრივი და მაგარი
ნივთიერების აპკი, რომელსაც ემალი ეწოდება.
ეს ემალი კბილს სიდამაზეს აძლევს და გა-
ფუჭებისაგან იფარავს. მაგრამ იგი მთელს
კბილს რადი აქვს გადაფარებული—მხოლოდ
კბილის ყელამდი უწევს. აქ კი კბილს, დრძი-
ლებ ქვეშ ცემენტის აპკი აქვს გადაკრული;
შიგნიდგან კბილის ნივთიერებას აკრავს კბი-
ლის გული, სადაც თავს იყრის კბილის ნერ-
ვები და სისხლის სადენი მიდები, რასაკვირ-
ველია ერთობ წვრილი და თვალით უხილავი.
ფესო ყველა კბილებს ერთნაირი რადი აქვს.
ზოგს იგი ერთი აქვს, ზოგს ორი და ზოგ-
საც მეტი.

კბილების დანიშნულება ყველამ კარგად ვი-
ცით. იგინი საჭმელს ამტვრევენ, აჭრიან,
ღეჭვენ, ფქვავენ და ანამცეცებენ და ამით
უადვილებენ ჩვენს სხეულს მიდებული საჭმლის
მოსარშავს და მონელებას. თუ ვინიცობაა კბი-
ლებმა თავის მოვალეობაზე უარი სთქვეს—
იგინი გაფუჭდნენ, მაშინ სხეული შეუმზადე-
ბელ საჭმელს მიიღებს, რასაც კუჭი და ნაწ-
ლევები აგრე ადვილად ვერ მოერევიან მათ,
მით მონელება გაუძნელდებათ—და ამი-
ტომ მთელს სხეულსაც უფრო ცოტა მასაზრ-
დოებელ ნივთიერებას გაუგზავნიან. და სხეულ-
მა თუ ცოტა საზრდო მიიღო, იგიც ვერ იხეი-
რებს, მოიშლება და ავადმყოფობას დაიწყებს.
ახლა შენც კარგათ მიხვდები მგონია თუ რა
დანიშნულება ექონიათ ჩვენს კბილებს და რა
სარგებლობის მოტანა შესძლებიათ ჩვენთვის
იმათა. ამიტომ ყოველი ადამიანი უნდა ცდი-
ლობდეს, რომ კბილების მოვლა-პატრონობას
ჯეროვანი ყურადღება ექცეოდეს, რომ იგინი
არ გაფუჭდნენ. კბილები კი ადვილად გაფუჭ-
დებიან 1) თუ მათ გაზის მაგივრად ვიხმართ,
მათის საშუალებით ძლიერ მაგარი საგნების
მოძრაობას და დამტვრევას მოვინდომებთ; 2)
თუ სითბო და სიცივე უცებ სცვლიან ერთმა-
ნეთს მაგ. როდესაც ძლიერ ცხელ საჭმელს
ძლიერ ცივს ასმელს დავაყოლებთ. ამ დროს
კბილის ემალი ვეღარ ასწრებს დროზე გაცი-
ვება-გათბობას და იბზარება, სკდება. გაბზა-
რულ ემალში კი ყოველგვარი ავადმყოფობა
იბუდებს ხოლმე. განსაკუთრებით იბუდებს აქ
სხვა და სხვა გვარი ბაქტერიები, რომელებიც
მრავლდებიან და თავის ცხოველთმყოფელობის
ნამყოფით, რაშიაც სხვა და სხვა სიმყავეც
ურევია, აფუჭებენ კბილს. 3) თუ სხვა და
სხვა სიმყავეს ვხმარობთ, მაგ. მარილის სიმ-
ყავეს და სხვას, რაც ადვილად შლის ემალს
და აფუჭებს კბილს და 4) თუ კბილებს და
პირს ჯეროვნათ არ ვისუფთავებთ. საჭმლის
მიღების შემდეგ კბილებში რჩება ხორცი და
სხვა და სხვა ნამცეცები, რომელიც პირში
მყოფი ბაქტერიების წყალობით მალე დაპება
და ახდენს კბილებს. ამიტომ ყოველი ჩვენ-
თაგანი აუცილებლად უნდა ერიდოს ყველა
ზემო ჩამოთვლილ პირობებს და კბილები
რაც შეიძლება სუფთად შეგინახოთ. მიგიღებთ
თუ არა საჭმელს, კბილის სახიჩქნით დავიწმინ-
დოთ კბილთა შუა ადგილები და გამოვირეცხ-
ოთ პირი რაიმე სითხით, თუნდაც თბილი

წელით. ერთხელ მაინც დღეში, უკეთესია საღამოთი, დავიფერცხოთ კბილები ცარცით და რბილი ჩოთქით. თუ გინიცობაა კბილმა მაინც კიდევ გაფუჭება იწყო, დრეზე მივმართოთ კბილის ექიმს, რომ მან თავიდგანვე საჭირო ზომების მიდებით კბილები შეგვანარჩუნოს.

მე გავათავე. თავს ბედნიერად ჩავთვლი ჩემი მეგობარო, თუ ჩვენი საუბრებიდგან შენ ცოტაც არის რამეს დამახსოვრებ და შეგნებულად ხელს შეუწყობს იმ დიად საქმეს, რასაც სადი ადამიანის სიცოცხლე და არსებობა ჭქვიან; თუ როგორ და რანაირად უნდა ადასრულო ესა, ვეცდები ამაზედ შემდეგში გამოგესაუბრო.

ექიმი ევ. გ. ლოსაბერიძე.

ზოგიერთ სიტყვათა ახსნა.

მკვრივი	Компактный.
ფუხვიერი	Губчатый
კორძი	Бугоръ
ნასვრეტები	Поры
ჩონჩხი	Скелетъ
თავის ქალა	Черепъ
შუბლის ძვალი	Лобная кость
საფეთქლის —	Высочная кость
თხემის —	Темянная —
კეფის	Затылочная
ბლანდი	Шовъ
ეიფლიბლანდი	Длиный шовъ
ებები	Челюсти
ცხვის მსგავსი ძვალი	Рѣшетчатая к.
ხრტილი	Хрящъ
ქიმი	Отростокъ
მძივები	Позвонки
წენი	Поясница
მენჯი (კავა)	Тазъ
კუდუსუნი	Копчикъ
ნეკნები, გვერდის წკნელები, წიბოები	Ребра
კაკნატელა	Хрящъ
ცრუ მძივი	Ложный позвон.
ბორცვი	Холмъ возв.
ტქინტი	Отростокъ
ტაბუხი	Головка бедр. кости
მუხლის კვირისტავი	Колѣнная чашечка
ტერფი	Стопа
ფერა	Гребень
დავიწი (კიბეკიბა)	Ключица
წერთის ძვალი	Локтевая кость
მაჯის ძვალი	Лучевая кость
ხელის ჩონჩხი	Кисть. руки
ხმელი ძარღვი	Сухожилье
წრბოლი	Слизь сероз. жидкость
კუთი	Мускулъ, мышца
შემაერთებელი კანი	Соединит. ткань.
სიფრიფანა	Тонкая очень
არდიგარდმო ზოლზოლი	Поперечно полос.
სადა	Гладкій
კანი	Кожа
ჯირკვლები	Железы.
ცხოველმოფელობა	Жизнедѣятельн.
მუწუკი	Язва
სატკბური	Мокнущая экзема
სირსვილი	Лишай
ქაჩალი	Колтунъ
მხოტრავი	Алопеція
ხაო	Сосочки
ენის კლიტე	Язычекъ
სასა	Небо
აგლისინებს	Дѣлаетъ скользкими.
აგუბთავებს	Собираетъ въ комокъ
საყლაპავი მილი	Глотка
ალმაცრათ	Косо
ალსა	Діафрагма грудо. брюшн. пер.
ტეირში, ელენთა	Селезенка
ღვიძლი	Печень
კუჭქვეშა ჯირკვალი	Поджелуд. железа
ნაოჭები	Складки
კეცებეცად	Послойно
ლორწოიანი კარსი	Слизистая об.
მაჭიკი	Сычужекъ
მარილის სიმჟავე	Солянная кислота
ნაწლევები	Кишки
ცხრა ბატარძალი	12 перстная кишка
ნაღველი	Желчь
ბრეტიანი წელი	Слѣпая кишка
სიღრუე	Полость.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯრდიგარდმო	Поперекъ
ბუსუსები	Ворсинки
თირკმლები (ჭაჭები)	Почки
თართუშა (ბადე ქონი)	Сальникъ
მოტიმტიმე გარსი	Мерцательн. эпит.
საშვილოსნო	Матка
ხახა (ხორხი)	Дыхательное горло
ეიპ	тоже
თილტვების კუნჭულები	Доли легкихъ
მრავალ ჭევლიანი გარსი	Многосл. эпит.
ირიბულათ	Косо
გულძონძის სიდრეკ	Полость гр. клѣт.
მკვრივი	Плотный упругій
ორუბოვანი	Двуполостный Двуслойн.
მყავბადი	Кислородъ
ნახშირის სიმყავე	Углекилота
წინგული	Предсердіе
კოჭობი (ივ. გომართული)	Желудочекъ
გულის სიმები	Мышечные тяжи сердца
ენები (ხუფები)	Заслонки клапаны
დრეკვენა	Полая вена
სისხლის მიმოქცევის მოკლე შარა	Малый кругъ Кровообращен.
სისხლის მიმოქცევის გრძელი შარა	Большой кругъ Кровообращенія
ბირთვები	Шарики
სორსლები (გომართული)	Шарики
გამწევი	Эластичный
სისხლის წით. სორს.	Красные кр. шар.
— უფერ.(თეთ.)სორს.	Бѣлые кр. шар.
ტრუფეხები	Ложненожки
ნაპრალი	Разсѣлина, Борозда
ნახევარ სფერონანი	Полушаріе
ხრტულები	Борозды извилины
მგრძნობელობის ნერვი	Чувствит. нервъ
მოძრაობის ნერვი	Двигательн. нервъ
ქუთუთო	Вѣко
ბარკი	Сумка, слезное озеро
გამსჭვირვალი	Прозрачный
რქის გარსი	Роговица, роговая обол.
ჭურჭლის გარსი	Сосудистая обол.
გუგა	Радужка, радужная обол.
ბაია	Зрачекъ
ბადე, ცხრილი,	Сѣтчатка
ყვითელი ტალი	Желтое пятно
ბროლის მსგავსი სხეული	Хрусталикъ
მინის მსგავსი	— Стекловидное тѣло
ყურის ბუკი	Барабанная перепонка
ჩაქუჩი	Молоточекъ
გრდემლი და უზანგი	Наковальня и стремя
დოლოვინის ხოვერ. დახვ. მილი	—Улитка
წინა კბილები	Рѣзцы
ეშვები	Клыки
ძუძუთა კბილები	Молочные зубы
კბილის ტანი	Коронка зуба и вѣнчикъ
კბილის ყელი	Шейка зуба
კბილის ძირი ფესო	Корень зуба.

შენიშვნა. ამ საუბრების შედგენის დროს ვხელმძღვანელობდი ლეიტმანის ანატომიით და ტიგერშტეტის: ფიზიოლოგიით. **ავტ.**

შეცდ. გასწორება: ,,მოკლე საუბარი'', ევ. დოსაბერიძისა შემდეგი უმთავ. კორ. შეცდ.

| | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ბარათაშვილი

(1816—1845 წ.)

ცხოვრების აღწერითი ცნობები

(შემდეგი)

6. ბარათაშვილის პოეზიის უმთავრესი კილო. ამ კილოს შეიძლება ვუწოდოთ სევდის კილო... მის გულში დაბუდებული იყო, როგორც თვითონ ამბობს, „მოწყინება“. მისი მუზის ასეთი კილო ცხადად გამოსჭვივის მის შემდეგს ლექსში, რომლის სათაურია. „ჩანგურს“.

„შენნი მოთქმანი, კაეშნის ხმანი,
ხანცა ოხვრანი, ხანც ამოსკვნანი
წარსულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრე-
ბდი ჩანგურო, ნეტავი ოდეს. [ბენ.
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,
რომ უკუმუროდეს მე სევდიანსა გულისა სენი.
მაგრამ სად ვნახო შენი დიმილი,
სიხარულითა გამოჩენილი?
მე შენგან მესმის მოკლული გულის ოდენ ჩივილი!“

ეს ლექსი დაწერილია 1837 წელსა, როდესაც პოეტი 21 წლის იყო. პოეტის ჩანგური (მისი მუზა) მხოლოდ მოსთქვამს (მოთქმით სტირის)—და გამოსცემს კაეშნის (ძლიერ სევდის) ხმებსა,—ოხვრას და კვნესას. ამასთანავე ჩონგური ამ ხმებთან ერთად მოაგონებს პოეტს წარსულს დროსა და მის სულს ღრმად დააფიქრებს. ჩანგურს არასოდეს არ გამოუცია სამხიარულო ხმები, რომ მით გაფანტულიყო, მოსპობილიყო მის მტანჯავი გულის სენი (ავადმყოფობა). ამაოდ ეკითხება პოეტი ჩანგურს: „სად ვნახო შენი ღიმილი სიხარულითა გამოჩენილი“ ო?—„მე შენგან მესმისო მოკლული გულის ოდენ ჩივილი“... აქედგან ცხადად სჩანს, რომ ცხოვრებამ პოეტს გული მოუკლა... დანაღვლიანებული, დასევდიანებული გული სხვას რას დაამღერებდა ჩონგურს თუ არ ნაღვლით სავსე ხმებს!?... სტიროდა პოეტის გული, და მისი ჩანგურიც სტიროდა... მისი მუზა იყო მუზა მოწყინებისა, მუზა სევდისა... არასოდეს მას პოეტი ტკბილი ხმებით არ გაუხარებია... აწმყოში ცხოვრების მიერ მწარედ დაჩაგრულს პოეტს ჩანგური წარსულსაც მოაგონებს, რასაკვირველია არა შორეულს, არამედ ახლო წარსულს, სულ რამდენისამე ათის წელის წინ მოხდარ საქმეს.

ეს საქმე, ეს წარსული, ჩვენის აზრით, ის სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებაა, რომელიც საქართველომ განიცადა რუსეთთან შეერთების შემდეგ... აწმყო ცხოვრების მიერ გამოწვეული კაეშანი, ოხვრა და კვნესა გადახლართულია წარსულის მოგონებასთან და პოეტის სულს აფიქრებს. ეს დიდი რამ არის თუ ალ. ჭავჭავაძემ ეს ფიქრი სამშობლოს აწმყოისა და წარსულის გამო სიცხადით და თამამად ვერ გამოთქვა, მისმა თანამედროვე ნიკ. ბარათაშვილმა კი ის საკმაოდ განმარტა, ოამდენადმე ცხად ჰყო ქართველი საზოგადოებისათვის. ამ ლექსში გამოხატულია პოეტის ლექსთა მთელი შინაარსი, რომელიც ტრილებს ორი საკითხის გარშემო: ა) საქართველოს **წარსულის** და ბ) აწმყო პოეტის თანამედროვე ცხოვრების შესახებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გამოიწვია „მოწყინება“ პოეტის გულში, რა ასაზრდოებდა მის სევდას? ამ საკითხის პასუხი ზემოდ-თქმულში **რამდენადმე** ნაჩვენებია. პოეტი კი თავის დროის კაცებთან შედარებით მეტად განვითარებული იყო; მის გონებას გამორკვეული ჰქონდა საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალები, რომელთ შინაარსს არ ეთანხმებოდა ქართველთა თანამედროვე ცხოვრება... არა თუ არ ეთანხმებოდა, არამედ პირდაპირი უარყოფა იყო ამ იდეალებისა... მისი მოწყინების მიზეზების გამოსარკვევად ამას გარდა საჭიროა მხედველობაში მივიღოთ მისი პირადი, სუბიექტივური გრძნობებიც. როგორც ვიცით, პოეტს ძალიან სურდა სამხედრო სამსახურში შესვლა, მაგრამ ფიზიკურმა (სხეულის) ნაკლულევანებამ ხელი შეუშალა მისთვის სანატრელ სამსახურში შესვლას... ეს ერთი... მეორე მიზეზი პირადის თვისებისა ის იყო, რომ პოეტს სურდა სწავლის შეძენის აღძრული წყურვილი უნივერსიტეტში შესვლით, და მეცნიერებათა წყაროზე დაწაფებით დაეკმაყოფილებინა. მამის სნეულებამ და მშობელთა უსახსრობამ არ მისცეს პოეტს ნება—ეს თვისი გულითადი სურვილი შეესრულებინა... ამასთანავე არც თუ მდიდარი მონათესავეები, რომელთაგან ზოგი უშვილიც იყო, უმართავდნენ ხელსა... ნივთიერს სახსარს მოკლებულს მგოსანს სამშობლოს გარეშე აძლევენ დაწინაურებას... მაგრამ დიდს ხანს არ მოუხდა მას ყოფნა სამშობლოს გარეშე, სულ რაღაც წელიწად ნახევარი თუ იყო, რის შემდეგ უცხო მხარეს გარდაიცვალა... ამ პირადი თვისების მიზეზებმა უსათუოდ შეამზადეს მის გულში ნიადაგი „მოწყინებისა“, სევდიანობისა... მაგრამ პოეტის დასევდიანებული გული იმყოფებოდა მისი განვითარებული გონების ზედგავლენის ქვეშე... მისი დაკვირვების ნიჭი ძლიერად მუშაობდა: ის ცხადად ამჩნევდა ქართველი საზოგადოებრივის სხეულის წყლულსა... იცოდა ამ წყლულის სიმძიმე, მისი მომაკვდინებელი შედეგი... ზეგარდმო მადლით ცხებული მისი გონება იმორჩილებდა იმის გულსა და ათბობდა მას იმ იდეალთა ცხოველ-მყოფელი შუქით, რომელნიც მას ჰქონდა გამორკვეული... პოეტის გულსა და საზოგადოების გულს შორის გაება თანაგრძნობის და წრფელი სიყვარულის ძაფები: მისი გულის ძგერა საზოგადოების გულის ძგერა იყო... ის მწვავედ გრძნობდა თანამედროვე ქართველი საზოგადოების სიდუხჭირეს და მისს იარებს, მტკიცედ გული შესტკივოდა მისთვის და იწვევდა საზოგადოებას გამოფხიზლების და განახლების გზისკენ... ძლიერი იყო მის „მოწყინების“ საზოგადოებრივი ხასიათის მიზეზები: ა) იმ დაწესებულებაში, სადაც ნ. ბარათაშვილი მსახურებდა, მოხელეები არ იყვნენ ცნობილი თვისის ზნეობით. პოეტს მათს წრეში მოუხდა ყოფნა, ტრიალი და ცხოვრება. გულისმისაზიდი მათს ცხოვრებაში არა იყო რა... ეს გარემოება რანდენადმე ზრდიდა მის „მოწყინების“ გრძნობას; ბ) თანამედროვე ქართველი საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა საზოგადოდ ისეთი იყო, რომ პოეტს არ შეეძლო მოწყინება არ ეგრძნო... ჯერ ერთი, რომ მას საქმე გაჭირვებული ჰქონდა ქალაქ ტფილისის **ჭორიანობით**, როგორც თვითონ სწერს. ჭორიანობა ხომ უსაქმო პირთა საქმეა, ფუქსავატი განუვითარებელი ადამიანების ხელობაა.. „დიდი დაძგერებანია ქალებისა, დიდი აყალ-მაყალი; დიდი ტირილი; დიდი ღამისთევანი, დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვალებანი, ერთმანეთის ჯავრით... დაწვრილებით კვლავ იყოს... ამ ამბავს დიდი აწერა უნდა“—სწერს პოეტი გრიგოლ ორბელიანს 1841 წელსა... პოეტის ცით მონაბერი სული აღშფოთებული იყო იმ გარემოებით, რომ თანამედროვე ქართველობა, ეს გმირთა ჩამომავალობა, ისე დაქუცმაცებული იყო, რომ არა ჰქონდა რა ცხოვრებაში სათაყვანო საგანი ღვინისა, ქეიფისა და მეჯლისების გარდა... ყოველივე ეს დაგვირგვინებული იყო ძლიერის ჭორიკანობით, რომელიც თამამად დასეირნობდა თბილისის კეთილ შობილთა სახლებში და აძლიერებდა უიმისოდაც დაქვეითებულ ცხოვრების სიძნელესა. ასეთს საზოგადოებაში ბედის მიერ გაჩენილი და აზრდილი პოეტი თვისი განვითარებული გონების და ფაქიზი გრძნობის ზედ-გავლენით რას იტყოდა, თუ არ შემდეგ სიტყვებს: „გუშინ წინ იყო „ვეჩერი“ შინაური, მაგრამ ძალიან მხიარული. მე მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოველოდი. მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს; შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. სიცოცხლე მომძულებია ამდენი მარტოობით. შენ წარმოიდგინე სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაც ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერავის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში. ვინც მაღალი გრძნობების მექონი მეგონა იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ განსჯა ჰქონია; ვისიც ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა. სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი? ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული“, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული. ასე სწერს პოეტი 1842 წელსა.

III.

პოეტის განვითარებული გონება გაბრწყინვებული იყო მსოფლიო საერთო, საკაცობრივო იდეალებითაც; ის იცნობდა ფილოსოფიურს და სალიტერატურო საკითხებს, რომელნიც ამოძრავებდნენ თანამედროვე კაცობრიობას. ამის გამო მისი გულის ძგერა კაცობრიობის გულის ძგერას აძლევდა პასუხს: იტანჯებოდა მისი ტანჯვებით და იხარებდა მისი სიხარულით.

განვიხილოთ პოეტის ლექსები, რომლებშიც გამოთქმულია მსოფლიო ვაება, გადანასკული მის პირადს გრძნობებთან: პირადი ვაება პოეტის გულში წარმოშობდა ისეთს სულიერს განწყობილებას, რომლის მეოხებით ის შეეხებოდა მსოფლიო ვაებასაც, როგორც კერძო განვითარებულ, შეგნებულ და მგრძნობიარე პირთა ვაების წყაროს... მისი პირადი გრძნობა ერთსა და იმავე დროს მსოფლიო სევდის გამოძახილიცაა.

1. „ბულბული ვარდზე“... ბულბულს, რომელსაც სურდა თვალით ენახა ვარდის გაფურჩქვნა, ძილი მოერია.

„ადმობრწყინდა მთიებიც და ფრთოსანთ მხიარული
გალობა ჩუმეს ჩაერში, განადვიძეს ბულბული,

ნახა ვარდი ფურცვნილი და მეის მოუკვდა
გული!"

ფურცვნილი (დამჭკნარი) ვარდის ხილვამ ბულბულს თავზარი დასცა. ის უხმობს ფრინველთ:

„მოდით და შემოკრბითა,
მისმინეთ, შემიბრალეთ, ვის მიგმართო წყალულითა?
განთიადით დამემდე შევფრფინვიდი კოკრობასს,
არ ვზოგავდი სიცოცხლეს, უძილობასს, გალობასს;
მქონდა მტირე წადილი, ვერ მივხვდი კი ბნელობასს:
მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვფიქრობდი დაჭკნობასს!?

ამ ლექსის ფედა აზრი შემდეგია. სოფლად ბედნიერება არ არის. რაც უნდა ეცადოს ადამიანი, თავისი იდეალის განხორციელებას ვერ ეღირსება. სოფელი ადამიანის გუნებაზე არ იქცევა. ის თავის შეუცვლელს კანონებს ემორჩილება. ლექსი დაწერილია 1834 წ., როდესაც პოეტი 18 წლის იყო. მასში მოსჩანს იმ მოწყინების მიზეზნი, რომლითაც ჭაბუკი პოეტის გული მოცული იყო. ჭაბუკი მგოსანი შედის ცხოვრებაში იმ რწმენით, რომ მოელის გზა ეკლოვანი თვის იდეალთა განხორციელებისათვის. გრძნობდა რომ, მას მოელოდა ბულბულის ბედი, იმ ბულბულისა, რომელიც

"ეეფდა, ოდესა დამე ბნელი
მოიცვამდა ჭალებსა; ჭქრობდა ნიავი ნელი"

პოეტი ევლინებოდა თავისს სამშობლოს სწორედ იმ დროს, როდესაც მისი ცხოვრება შავი საფარით იყო მოცული, და ქართველთა ცხოვრებაში სამარისებული სიჩუმე იყო გამეფებული...

2. „შემოდამება მთაწმინდაზე" (1836 წ.). ამ ლექსში, რომელიც საუკეთესო ელეგიად ითვლება მთელს ქართულს პოეზიაში, პოეტი თავის თავს საღამოს (მწუხრს) ადარებს. ნაღვლიანს პოეტს უყვარდა მთაწმინდაზე ასვლა და სეირნობა მის ბილიკებზე.

„მახსოვს იგი დრო, სასმო დრო, როს ნადგელიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წუნარს სადამოს, ვით მეგობარს შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!"

3. „ხმა იდუმალი" (1836 წ.). პოეტს ბავშვობიდანვე ერთი რაღაც საიდუმლო ხმა სდევს თან. ეს ხმა ჩასძახის განუწყვეტლივ:

„ეძიე, ერმალ, შენი მხვედრი, შენი,
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი!"

მაგრამ პოეტი ვერ ჰპოებს თვის ხვედრს,— ვერ ხედავს თვისთა იდეალთა განხორციელებას და ამბობს:

„ვით კაეშანს ვერდა ვიშორებ"

პოეტი თვალს გადაავლებს თავის სიცოცხლეს და ვერა ჰპოებს მასში ცუდს რასმეს,—რომ ამის გამო საიდუმლო ხმა სვინდისის მსგავსად მას ამხილებდეს... მან არ იცის ამ ხმის საშუალებით ვინ საუბრობს მასთან... ამის გამო მიმართავს მას:

„ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი მატყუარი ჩემი;
ვინცა ხარ მარქვი, რას მოგმისწავებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ!?

შესაძლებელია, პოეტი აქ საუბრობს იმ შინაგანი ხმის შესახებ, რომელიც მას საუკეთესო ხვედრისკენ მიიწვევდა. ის აკი ამბობს ერთგან თავის წერილში: ,,ეს შინაგანი ხმა მიმიწვევს საუკეთესო ხვედრისკენ. გული მეუბნება: ნუ გძინავსო!"... მაგრამ პოეტს კაცი არ ჰყავდა, რომ მისთვის ხელი გაემართა, სწორს გზაზე დაეყენებინა, ნუგეში ეცა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ,,ფიქრნი მტკვრის პირას'' (1837 წ.). რაც დრო გადის, პოეტს სევდა უძლიერდება... ჩვენი ცხოვრება მას ეჩვენება ამაოებად მაშინაც, როდესაც ფიქრთ გასართველად მდინარის მტკვრის ნაპირს ზის და ყურს უგდებს მის ჩხრიალსა... ლბილს მდელოზე წამოწოლილი პოეტი ცრემლს აფრქვევს, და არე-მარეც მოწყენით მისჩერებია მას. ის მისჩერებია ცის ტატნობის დასასრულს ფიქრთა ზღვაში ჩაფლული... პოეტი ფიქრით გადადის წარსულში, გაითვალისწინებს მას, რომ მდ. მტკვარი მოწმეა მრავალთა დროთა... მის კიდეებზე იჭედებოდა საქართველოს ბედი, მისი ნაპირები განბანილია ქართველთა სისხლით...

იმავე დროს პოეტს თვალთ წინ ეხატებოდა თანამედროვე ცხოვრება, აღსავსე სიფუჭით და ამაოებით... ადამიანის არსებას თითქოს თან დაყოლილი აქვს ნატვრათა აუსრულებლობა.

„რა არის ჩვენი ყოფა—წუთისოფელი,
თუ არაოდენ საწყალული ადუკსებული!?"
ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ ადეკსოს,
და რაც მიეცოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს!?"

თვით მეფენიც კი იტყვიან:

«როდის იქნება ის (სხვა) სამეფოცა ჩვენი იყოს და ადიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!»

არც კეთილი მეფეა მოსვენებული... მისი ზრუნვაა:

„უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვისს სახელი შთამომავლობასს!"

პოეტის სულიერს ბუნებაში აზრი აზრსა ცვლის, ფიქრი ფიქრსა... ის ფიქრით ფრენს შორეულს მყობადში და—გაითვალისწინებს სოფლის დასასრულს, როდესაც დედამიწას, როგორც ერთს ცთომილს სხეულთაგანს, მოაკლდება მზის სითბო, და მასზე ცხოვრება მოისპობა. მაშინ ვილა შეაქებს კეთილ მეფეთა და ადამიანთა მოღვაწეობას, მაშინ

,,ვინ სადღა იყოს''.

ადამიანის ბუნების დაუსრულებელი წყურვილი სიკეთისა, ჭეშმარიტებისა და შვენიერებისადმი კარგად დახატულია ამ ლექსში.

5. ,,სული ობოლი'' (1839 წ.). შესაძლოა პოეტს ეს ლექსი რაიმე კერძო შემთხვევამაც დააწერინა, მაგალითად, სატრფოს მიერ უარყოფობამ; ცნობილია, რომ მას სიყვარულში ბედი არ ჰქონდა. მაგრამ ამ კერძო შემთხვევამ მის ქნარს საზოგადოებრივი საკითხების სიმწვავე გაახსენა, ქართველთა ცხოვრების მწარე სინამდვილე გაუთვალისწინა. მას გაახსენდა თვისი სულიერი ობლობა, განდეგილობა, მარტოობა თანამედროვე საზოგადოებაში. მართლაც, ძნელი იყო ის უსაგნო, ის ფუქსავატი ცხოვრება, რომელიც პოეტს გარს ერტყა და სულსა და გულს უხუთავდა. თუკი 1861 წელს, 22 წლის შემდეგ ,,სული ობოლის დაწერიდან, მეორე დიდებული ჩვენი პოეტი ილია ჭავჭავაძე, ეუბნება მამულს შემდეგს მწვავე სიტყვებს:

„....მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი, ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო, რომ შენს მიწაზე, ამდენს ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!»

რა იქნებოდა ნ. ბარათაშვილის დროს მეოცამოცე წლებში, როდესაც მის გარშემო იყო, პოეტის ალ. ჭავჭავაძის არ იყოს, მხოლოდ უდაბურება, მჩუმარება, არარობა. პოეტის აზრით, ფიზიკური ობ-

ლობა (დედ-მამის დაკარგვა) და უთვისტომოდ დარჩენა ისე ძნელი არ არის, როგორც სულის ობლობა:

საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელდა ჭეშვოს რა დაკარგოს მან ტოლი.
ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!..“

კერძო შემთხვევა (სწორის დაკარგვა) ადვილად მოსათმენი იქნებოდა პოეტისთვის, რომ საზოგადოების თანაგრძნობა ჰქონებოდა. სწორის დაკარგვამ პოეტს მწვავედ გაახსენა ის გარემოება, რომ ის სულით ობოლია, რომ მისი თანამგრძნობელი, მის მაღალ იდეალების შემგნები ძლიერ ცოტაა საზოგადოებაში. აი ამის გამო ამბობს:

„მეგობარნო, ნათესავთ მოკლებული,
ისევ ჩქარად ჭეშვების სანატვლოს გული,
მაგრამ ერთხელ დობდებული სული
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!..“

პოეტის სული დაობლდა ,,ერთხელ'' ე. ი. მას შემდეგ, რაც ის ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა, მიიხედ-მოიხედა თვის გარშემო და შენიშნა, რომ იქ ,,უდაბნო მდუმარებს'' და სხვა არაფერი. ამის შემდეგ დაობლდა პოეტი, და მას ეწვია „მარტოობა სულისა“. მის ნუგეშად დარჩა მხოლოდ ,,ოხვრა''...

6. ჭეშვეე ტაძარი (1841 წ.).

პოეტმა ჰპოვა ტაძარი თვის თავშესაფარად, სადაც მას, გულმოკლულს კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით, ციური სხივით წმიდა ლამპარი იხილა. პოეტი ამბობს:

„მაგრამ სასწუთრო განა ვისმეს დიდს ხანს ახარებს?
განჭქრა ტაძარი,--და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს;
მის ნატვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს.
ესრედ დამიხშო უკუდმართმა ნუგეშის კარი,
და დავად ობლად ისევ მწირი, მიუსაფარი.

ამ ლექსს მტკიცე კავშირი აქვს წინა ლექსთან... იგივე სულის ობლობა, იგივე სულის მწირობა, თავსაფარის უქონლობა, როგორსაც ვხედავ ლექსს: ,,სული ობოლ''-ში. შესაძლებელია, აქ ტაძრის ქვეშე იგულისხმება ,,გულის სწორი'', სატრფო, რომელიც მოიპოვა მოკლე დროით პოეტმა და ისევ მალე დაკარგა. აქაც განსაზოგადოებულია კერძო შემთხვევა პოეტის ცხოვრებიდან... პოეტი ამბობს, რომ გუნდრუკის მაგივრად იმ ტაძარში ,,შესწირავდა წმიდა სიყვარულს, რომლის საკურთხად დასდებდა სულსა და გულსა''... იმ ტაძარს (იგულისხმება სულიერი არსება) ,,მოსძაგდა სოფელი ცრუ და მუხთალი''... ამის შემდეგ პოეტის გულში სიყვარულმა ბინა ველარ გაიკეთა.

,,ვერდა ადმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად ადგანთე დაშთობილი მისი დამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუდმართმა ნუგეშის კარი,
და დავად ობლად, ისევ მწარი, მიუსაფარი!“

სიყვარულის საგნის დაკარგვამ პოეტს მწვავედ აგრძნობინა სულის მარტოობა, ობლობა,—განდეგილობა... პოეტმა შეიმუშავა, როგორც ვიცით, ცხოვრების იდეალები, მაგრამ მასზე დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ შესძლო მისი განხორციელება. მან ჰპოვა ტაძარი თვისთა იდეალთა... მაგრამ დაჰკარგა მათი რწმენა... ,,განქრა ტაძარი'', და აღიმართა მის თვალთ წინ უდაბნო უსასოებისა, მწვავის სინამდვილისა... გახდა ის ურწმუნო... სამარემდის გულმოკლული.

ი. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნება

ქართულ ენის ეტიმოლოგიურ შენობისა

წერილი V.

დიდი მარტივი ქართული გრამმატიკისა „ჰ“-აე.

ფონეტივი გამოთქმის ურთიერთობა ბგერა ჰ-აესი და სანისა.

ვიდრე გამოვაჰრკვევდე ეტიმოლოგიას მნიშვნელობას დიდებულ მარტივ ჰ-ესას სახელდობ ზმნის უღვლილებრივ ფორმებში, ჩემი მიზნის მისაღწევად საჭიროა მისი ფონეტივი ურთიერთობა გავითვალისწინოთ სხვა ბგერათა შორის.

როდესაც თანხმოვან დ, ჟ, ტ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ და ჯ-ანს ზენ წინ გამოჰითქმის სულთქმითი ხმა-ასო ჰ-აე, მაშინ ჰ-აე რთულად გამოითქმის: იწყება სულთქმივ ხმით და ზედ დ, ჟ ან ტ-თან გამოთქმაში „ს“-ად ჰბგერს: ჰ...სტირის, ჰ...სდის, ჰ...სტეხს, ჰ...სჩრის, ჰ...სცემს და სხვა, სულ ზემო ნათქვამ ცხრა ხმა-ასოსთან.

ხოლო იგივე ხმა-ასო ჰ-აე თრვამეტ თანხმოვანების ზედ-წინ, სახელდობ ხმა-ასოებისა ბ, გ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ, ნ, რ, ს, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ხ გამოითქმის ფონეტივ თავისიანად და არავითარს ხმა-ასო „ს“-ანთან შებანებას არ ჰსაჭიროებს: ჰ-ბანს, ჰ-გავს, ჰ-ვარდება, ჰ-ზრახავს, ჰ-თრთის, ჰ-კლავს, ჰ-ლამის, ჰ-ლოკავს, ჰ-ნამავს, ჰ-პენტს, ჰ-რევს, ჰ-სვამს, ჰ-ფენს, ჰ-ხრის, ჰ-ღვრის, ჰ-ყრის, ჰ-შლის; აქ რომ გინდოდეს, მაინც ფონეტივს გამოთქმას ჰ-აესას ვერ შეუჰბანებთ „ს“-ანსა.

წინად აქ ჩამოთვლილ (გან. 1) ცხრა ასო-ხმის ზედ წინ სახელდობ დ, ჟ, ტ, რ, ც, ძ, წ, ჭ და ჯ-ისა ბგერა ჰ-აე თვის ფონეტივ გამოთქმას ჰ-საჭიროებს ხმა-ასოს „ს“-ნის შებანებასა, თუმცა უამისოდაც ხალხურს გამოთქმაში თითონ მარტოდ იჰსმის, თუმცა მიმკრთალებითა და თითქმის მუნჯად: ჰ-დუმს, ჰ-ჟლეტს, ჰ-ტოებს, ჰ-ჩრის, ჰ-ცემს, ჰ-ძინავს, ჰ-წერს, ჰ-ჭრის, ჰ-ჯიჯგნის; ეს ასეა მეთქი ხალხურს გამოთქმაში.

მაგრამ აქ ამ გარემოებაში ფონეტივი ხმა ჰ-აესი ძველს მწერლობაში, ახალში და ზოგჯერ ახლად ახალშიც გამოიჰთქმის ხმა-ასო ს-ანის შებანებით და ერთად ორივე, ჰ-ს დუმს, ჰ-ს-ჟლეტს, ჰ-ს-ტოვებს, ჰ-ს-ჩრის, ჰ-ს-ცემს, ჰ-ს-ძინავს, ჰ-ს-წერს, ჰ-ს-ჭრის, ჰ-ს-ჯიჯგნის-ო და სხვა.

ასე ვიჰტყვი, რომ ს-ანი აქ მხოლოდ ბანს აძლევს ფონეტივს გამოთქმას ჰ-აესას, რომელიც ასე ვსთქვათ დინჯად, მხნედ, სუქან სმენად ისმის, თორემ როგორც ხალხურს კილოში (მეტადრე ქვემო ქართლულში) ვჰხედავთ, ხმა-ასო ს-ანის აქ ყოფნა, სრულებით უსაფუძვლოა, რასაც უფრო ცხადად დავიჰნახავ, როდესაც მარტივ ჰ-ას ეტიმოლოგიას უღელს გამოვიჰკვლევთ უღვლილების ფორმებში.

მხოლოდ ფონეტივ ბგერის მოთხოვნილებით უნდა აიჰხსნებოდეს ჰ-ესა და ს-ნის ერთად გამოთქმა და წერვა ცხრა ზემოდ ნათქვამ თანხმოვანების ზედ-წინ სახარების ტექსტში: ჰ-ს-ჯულ, ნ. ბარათაშვილის ნაწერებში და იშვიათად შიო არაგვისპირელისა'ში და სხვაგან. ნიჭი

ჰგრძნობს ენის ბუნებასა, თუმცა მოტივებისათვის ხშირად არა სცალიან.

ახალს მწერლობაში, რომლის „საბუთიანს“ გონივრობას უნდა ყოველთვის შევადარებდეთ და ვეძებდეთ უპირველესად ილ. ჭავჭავაძის ბოლონდელ ბანოვან ნაწერებში მოხსენებულ ხმა-ასოების ზედ-წინ ჰ-აეს მაგიერობას ასრულებს პირდაპირ ს-ანი, რომელიც არის მხოლოდ ჰ-აეს ნაცვალი, რადგან იგი ჰქრება ზმნების სხვა ფორმებში და კვალად სჩნდება ბუნებრივი და აგებულებრივი ისევ ჰ-აე; მაგალითად ხმოვან ა, ი, ე, ო და უოს წინამორბედობით: ს-დუმს — ი-ჰ-დუმოს, ს-ტოვებ—ი-ჰ-ტოვებ, ს-ცემ—და-ს-ძრას —დაი-ჰ-ძრას და სხვა.

აი რამდენიმე წინა-სიტყვების შემდეგ შეუჰდგეთ მოთმინებით ფონეტივ ჰ-აეს გამოკვლევასა ქართულ სიტყვიერებაში.

—

ბ-ნს ს. ხუნდაძეს სწორედ ასე დაუჰწერია: „არის ერთი ხმა, რომელიც მე(?) მეტ ბარგათ (დ?) მიმაჩნია ქართულ ენისთვის (სახელდობ ზმნებში) და რომელსაც თითქმის ყველა ჩვენი მწერალი ებდაუჭება(?!?)—ეს არის ჭ“. „გამოკვლევა“ ს. ხუნდ. 1901 წ. გვერდ. 49. *)

1. ვინ არ იცის, რომ გრამმატიკა მეცნიერებაა, როგორც მაგალითად ფიზიოლოგია, ან ქიმია, მაგრამ ყველას არ სცოდნია, რომ მეცნიერება, როგორც ბუნების მიზეზ-შედეგობის ამნუსხველი, არავას უპრიანზე არ არის არავითარად დამოკიდებული. იქნება ვისმე მართლა ებრძანებინოს მზეო, შეაჩერე შენი ცაზედ მსვლელობაო“, მაგრამ ცხადია მაინც, რომ მზე ვერა როდის შეჩერებულა, რადგან ვერავისი მნებელობა მას ვერ მისწვდება, და ჭიანია იგი ბრძანება. გრამმატიკის ბუნებრივობაც ესოდენ თავისუფალია. ეს მეცნიერებაც უნდა შეისწავლო, შეიგნო, მიჰხვდე მისს შეურყეველს ბუნებას და იყო კმაყოფილ ამა ცნებითა. და გათავდა. თორემ ბუნება რომ კაცს ემორჩილებოდეს და მის ნებას ჰყვებოდეს —მთელი სამყაროის არსებობა, რუსებისა არ იყოს, „სიდურაკედ“ გარდაიქცეოდა.

რომ ეტიმოლოგიური მარტივი „ჰ“-აე „ქართული ენისთვის“ აუცილებლობის განძია და არა „მეტხორცი“ ეს უნდა გვაჩვენოს თითონ მეცნიერებამ და არა ბ-ნმა ს. ხუნდაძემ.

მაშ შევეჰკითხოთ მას, გრამმატიკის მეცნიერებას, და ისიც დიდი საქმე იქნება, რომ გვაღირსოს პასუხი მან, სავსებით სისრულემა.

შევეჰკითხოთ—„ჰ“-აეა ხორცმეტი ქართულს ენაში, თუ ს. ხუნდაძის და ი. ნიკოლაიშვილის „ვშა და ვში“ **).

2. ამისათვის ცოტა შორს მოვუაროთ საქმესა, ამოვჰკრიბოთ მასალა ქართული ენიდან, რომ ნამდვილს პასუხს ვეჰღირსოთ.—

მეოთხე კლასის მოწაფემ უნდა იჰცოდეს, რომ ქართული სიტყვის მთავარი ცვალებადობაც ორ გვარია. პირველია ის, რომელიც გვიჭვენებს სიტყვათა შვიდნაირს ურთიერთობასა და სახელად ეწოდება კანკლედობა (La declinaison); ხოლო მეორე, პირ-

*) „ხუნდაძეს ჰკუა ჰქონია, თუ ხუნდაძეს ჰკუა ქონია?“ (ოხუნჯობა „ივერიაში“ ა. ახნაზაროვისა). მ. ყ.

**) ნახ. ამ ორივეს ორი „ქართული მოკლე გრამმატიკა“ 1912 წ. ყოველთვის და დაყინებით სწერენ ესენი: ბა-ვში, ბა-ვში-ს, ბა-ვშს, ბა-ვშმა, ბა-ვშ-ით და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველზედ დაყრდომილი, ცვალებადობა სიტ-ყვისა გვიჩვენებს ეოფა-მოქმედების ურთიერ-თობას დროში, პიროვნებაში და რიცხვში, და სახელად ეწოდება უღვლილება (La conjugaison).

ახლა მოვიყვანოთ *) შესადარებლად და მაგალითად სიტყვა ამ ორს მთავარს ცვალებადობაში:

I. კანკლედობა: ფენ-ა ფენ-ი-ს(ი), ფენ-ა-ს(ა), ფენამ(ან), ფენ-ი-თ(ა), ფენ-ა-დ(ა)—ფენა.

II. უღვლება: ჭ-ფენ-ი, ჭ-ფენ-ი-ს(ი), ჭ-ფენ-ი-ს(ა),—ჭ-ფენ-ი-თ(ა), ჭ-ფენ-ი-დ(ა), ჭ-ფინ-ო.

განა საგულისხმიერო არ არის, მკითხველო, ეს ორი ბუნებრივი ცვალებადობა ერთისა და იმავე სიტყვისა? (და ყველა ქართული სიტყვა ამგვარად იცვლება) დიახ არის, რადგან აქედან ვჰხედავთ, რასაც გვასწავლის ქართული გრამმატიკა, როგორც მეცნიერება: ა, განვიმეორებ როგორც კანკლედობრივი, ისე უღვლილებრივი ცვალებადობა სიტყვისა დამყარებულია თანაბარ მცვალებელ ელემენტებზედ,—ს(ი), ს(ა), მ(ან), თ(ა), დ(ა), ო"-ნზედ; ხოლო ბ, განსხვავდებიან მით, რომ უღვლების დროს ჰქრებიან სიტყვაში: a, ჩვენი პირველ-მწარმოებელნი მარტივნი „ა" და „ი", b, ჰქრება მოთხრობითი ფორმა კანკლედობისა, c., წოდებითი ფორმა კანკლედობისა „ფენა" იჰცვლება „ჰფინო"-დ; და d., სჩნდება უღვლილებაში ბუნებრივი მარტივი მისი, მაჩვენებელი სწორედ ეოფა-მოქმედების მოძრაობისა თუ არსებობისა—„ჭ"-აე, რომელსაც კანკლედობაში არავითარი ბუნებრივი საქმე არა აქვს. რადგან ეტიმოლოგიას არ შიუჭვია მისთვის იქ ადგილი და კისრად სდევს მას მოდგაწეობა მხოლოდ უღვლილებაში.

3. კიდევ მაგალითები.

I. სახლ-ობ-ა, სახლ-ობ-ი-ს, სახლ-ობ-ას, სახლ-ობ-ი-თ, სახლ-ობ-ა-დ(ა), სახლ-ობ-ა-ო;

II. ჰ-სახლ-ობ-ა, სახლ-ობ-ა-ს, სახლ-ობ-ო-ს, სახლ-ობ-ო-თ, სახლ-ობ-ო-დ(ა), ეჰ-სახლ-ო-ო!

I. წერა, წერ-ი-ს, წერ-ა-ს, წერ-ი-თ(ა), წერ-ა-დ(ა), წერ-ა-ო;

II. ს(=ჰ)წერ-ო-ს, სწერ-ი-ს, ს-წერ-ი-ს, ს-წერ-ი-თ, ს-წერ-ო-დ(ა), ს-წერ-ი-ო.

განა ცხადი არ არის შენთვის, მკითხველო, აშკარა და ეჭვ-გარეშედი ურთიერთობა კანკლედობასა და უღვლებას შორის? თუ მიაჰგენი და მიჰხვდი, მეცნიერებისთანა სადა და ადვილი გასაგები არა არის რა. „არ-მესმისო"-რო იჰძახო, ვინ რა უნდა გიჰშველოს, ჩემო კარგო. ეს, რასაც მოგაჰხსენებ, სრულიად ზოგადი ერთგვაროობის შემკრები ბუნებრივი კანონია ქართულ სიტყვის წარმოებისა და ამ ბუნებრივ ურთიერთობას ჯერ არავინ მიმჰხვდარიყო, როდესაც იგი გამომეჰცნაურა და გამომეჰცხადა დიდებულ სისადავითა. მაგრამ მაინც უყურადღებოდ სტოვებენ ჩემს საგანსა. ჰო-და, ჰბრძანდებოდენ „მეცნიერნი და მწიგნობარნი". მოვასწრო, დავამთავრო იგი, ჯავრად არ გამჰყვეს არარაობაში, თორემ...

4. საქმე კიდევ იმაშია, რომ მე ვამტკიცებ შემდეგსა: სიტყვის ორგვარ მთავარ ცვალებადობის, როგორც დავიჰნახეთ, საერთო მეხასიათენი არიან მეხასიათენი და დაბოლოვებანი:—ს, თ, დ და ო, ხოლო კვალადი განსხვავება კანკლედობასა და უღვლილებას შორის ის არის, რომ

*) უნდა მოგაჰხსენოთ, რომ ქართული ენა სიტყვას სცნობს ცოცხალ საგნად და ამიტომ ამბობს არა მოვიტანოთ სიტყვა ან აზრი, არამედ მოვიყვანოთ სიტყვა. აქ წინააღმდეგობა არ შეიძლება, რადგან ამას მოითხოვს ბუნება ენისა.

მ. ყ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდვლილება, უბირველესად დამუარებული კანკლედობის სახიერებაზე, თვისს კერძო სახიერებას აჭდიარებს ბირობენულ წინ წაბმულებებით, ანუ ბირობენულ ბრეფფიქსებითა: მი-ჰ-წერ, ვი-ჰ-წერ, მ-ს-წერ, მა-ჰ-წერ, მი-ჰ-წერ-ს, მა-ჰ-წერ-ს, მი-ჰ-წერ-თ, მი-ს-წერთ, მა-ჰ-წერ-ღ(ა), მი-ს-წერ-დ(ა), მე-ჰ-წერ-ოს და სხვა აუარებელი.

ჰლიარდება წინააღმდეგ ,,იქანეის'' გრამმატიკოსებისა, რომლებიც გვასწავლიან სწორედ „პარუსკობასა'': ბირობენება ქართულ ზმნებისა დაბოლოებაში სჩანსო *) დიდება ქართულ ენის მოთმინებასა, მართლა!

5. მაშ რაკი საერთო და ძირითადი ნიშნები რიგორც სიტყვის კანკლედობისა და ისე მის უდვლებისა არიან ბრუნვების მაჩვენებელნი,—ს, თ, დ და ო: ყვავილი ია, ია-ს(ი), ია-ს(ა), ია-თ(ი) ია-დ(ა), ია-ო ან წერ, წერ-ს, წერ-თ, წერ-დ(ა), წერ-ო; და განსხვავება მათ კანკლედობასა და უდვლებას შორის—სცხადდება პიროვან პრეფიქსების წინ წაბმით,—ვ-წერ, გვა-წერ-ს, მა-წერ-თ, გვა-წერ-დ(ა), აგვ-წერ-ო, და სწორედ ეს აჭსახიერებს ბუნებრივად უდვლილებრივს ცვალებადობას ყოფა-მოქმედებისას,—ამიტომ ცხადია, რომ მეოთხე კლასის ,,ბალანაც'' უნდა არ-ჩევდეს—და ეს ადვილიც არის—უდვლილებრივ სიტყვის ფორმებს კანკლედობრივ ფორმებისაგან და ერთმანეთში იგინი არ აეჰრეოდეს, და ,,უჩიტლებს'' რომ ეს დაემართოს—ღმერთმა თქვენს მტერს! მაგალითად: არის ერთი ჯიშის მცირე ძალი, რომელსაც ჰქვიან ,,ფინა'' და არის მოქმედება, რომელიც სცხადდება მით, რომ რაიმე საგანს გაჭშლიან სივრცეში თუ რაიმე ალაგზედ და ერთს მეორით ჰფარავენ—ამ მოქმედების სახელია ფენა. ორივე შემთხვევაში, რომ დავსწეროთ ,,კაცმა ფინაო',—უვიცობა იჭქნება წერის საქმეში, ორთოგრაფიაში და რომ ეს არ შეგვემთხვეს, ბუნებრივი წერა გვიჭჩენებს, რომ პირველ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც პატარა ძალზე ვჰფიქრობთ, უნდა დავწეროთ: ფინ-ა, ფინ-ი-ს, ფინ-ა-ს, ფინ-ი-თ, ფინ-ად და ფინ-ა; ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც ჩვენი ფიქრი გვაჭმხელს საგნის რაზედმე გადაშლას, მაშინ ამადარი ფორმები უნდა დავწეროთ ზემო ფორმების განმასხვავებლად: ჭ-ფინ-ა, და-ჰ-ფინ-ა, ჩამო-ჰ-ფინა, ჭ-ფინ-ო, ჰ-ფინ-ო-ს, ჰ-ფინ-ო-თ და სხვა.

განა ამ პაწია მაგალითიდან არა სჩანს, მკითხველო, რომ კანკლედობრივი ფორმები არ აიჰრევიან უდვლილებრივ ფორმებში და არც უნდა მოვეპყრათ ბუნებრივს მორფოლოგიას ბრიყვად და უნდა პატივი ვსცეთ მათს განსხვავებასა. ეს ერთი მაგალითი რა სახსენებელი იქნებოდა, რომ აუარებელ სიტყვების და ამასთან ერთად ჰაზრის სიბნელე არ მოსდევდეს ამ გვარს გაურჩევლობასა. ესე გვარი მაგალითები ჩამოვსთალოთ აქ და დავინაჭხოთ, თუ რა აზრის ,,გამოთაყვანება'' მოსდევს ამ გაურკვევლობასა. მოვიყვანოთ აქ ზედ-მიყოლებით სიტყვის კანკლედობრივი და უდვლილობრი ფორმები. განა შესაძლებელია არ ვიჭხმაროთ ქვემო მაგალითებში ბუნებრივი ელემენტი ,,ჰ''-აე ,,სწორედ ზმნების'' უდვლილებაში?!

*) „ზმნა მიმოიხრის, ე. ი. სცვლის დაბოლოებას პირებსა და დროებში" ქართ. გრამატიკა. ს. ხუნდაძის მიერ. გამ. 2-ე, ქუთაისი 1907 წ. გვერდი 15. რუსულიდან თარგმანება? დაბოლოებით ზმნის პიროვნება ქართულში არ ჰლიარდება, ძმაო ჯან! მ. ყ.

5. მართლწერადი განსხვავება კანკლედობაში და უდგლებაში.

I. კანკლედობრივი ფორმები სიტყვისა:

1. ბანი, ბანს, ბანო (კანკ. მ. ბრ.)
2. ძღვენი, ძღვენით (ფორმ. ბრ.)
3. კვნესა, კვნესით, კვნესად (კანკ.)
4. ლამი, ლამის, ლამით (კანკ.)
5. ქვიან (ალაგს), ქვიანი (მიწა) (კან.)
6. გვიან (დაყოვნებით) კან.
7. მინდა (მინდის ამღები) კან.
8. ფინა (ძაღლი) კან
9. ფარა (ცხვრისა) კან.
10. მემინდე (მინდის ამღები) —
11. ყეფა, ყეფით, ყეფდა —
12. ზე, ზის, ზეით —
13. ხსნა, ხსნით, ხსნად —
14. ქონ, ქონა, ქონია (დასადრობი) —
15. ჩაყრა, ჩაყრის ჩაყრით, ჩაყრად —
16. ხრამი, ხრამ-ს, ხრამად —
17. ხამი (კაცი), ხამს —
18. ჩანი, ჩანს, ჩანდა (პორუსკი?) —
19. შთენ (დავიწყებით მტოვებელი) —
20. ქმნა, ქმნის, ქმნა, მექნად —
21. ხდა, ხდის, ხდამ, ხდად —
22. დაბნევია (კაცი მფლანგავი) —
23. ყოფნა, ყოფნის, ყოფნამ —
24. ყრა, ყრის, ყრით, —
25. ჩამოყრა, ჩამოყრის, ჩამოყრით, ჩამოყრამ —
26. მხია, მეხიო (რაო?) —
27. მამა, მამას, მამად, მამადო —
28. მოკლე, მოკლეს (არა გრძელი) —
29. გონ, გონა, გონია, გონით, გონად —
30. ცლა, ცლის, ცლით (რით?) —
31. მფენი, მფენს, მფენად —
32. დევნა (რა), დევნის, დევნით, დევნად —
33. ყრა, ყრის, ყრამ, ყრით, ყრად —
34. მონები, მონებს, მონებმა —
35. შეწვა, შეწვას, შეწვით —
36. ახლები, ახლებს, ახლებმა —

II. უდგლიდებრივი ფორმები.

1. ჰ-ბან, ჭ-ბანს, ჰ-ბანთ, ჰ-ბანდა, ჰ-ბანო (ულ.);
2. (=ჰ)-ძღვენი, ს(=ჭ)-ძღვენით (ულ.);
3. ჭ-კვნესა, ჭ-კვნესით, და-ჰ-კვნეს-და ულ.
4. ჰ-ლამი, ჰ-ლამის, ჰ-ლამით, ჰ-ლამდა (ემუქრებოდა) ულ.
5. ჭ-ქვიან (ეწოდება) —
6. ჭ-გვიან (ბრეს აჰშორებენ) —
7. მი-ჭ-ნდა (მჰსურს) —
8. ჭ-ფინა, მ-ო-ჰფინა —
. . ჭ-ფარა, და-ჰ-ფარა —
10. მემი-ჭ-ნდე (სანდოდ მსცან) —
11. ჭ-ყეფა, და-ჰ-ყეფა, ჰ-ყეფთ, ჰ-ყეფდა —
12. ჭ-ზის, ჰ-ზით (ფეხ-გაშლით ყოფნა) —
13. ა-ჭ-ხსნა, ჰ-ხნის, ჭ-ხსნით, ჰ-ხსნიდა —
14. ჭ-ქონია (პატრონად ყოფილა) —
15. ჩა-ჭ-ურის, ჩა-ჰ-ყრით —
16. ჰ-ხრამ, ჭ-ხრამს (ძვალს) —
17. ჭ-ხამს (შეჰფერის) შეაჰხამა —
18. ს(=ჭ)-ჩანს, ს(ჰ=)ჩანდა —
19. ჭ-შთენ (მოქმ. უნებ. დატ-ისა) —
20. ჭ-ქმნის შემოქმედებას იჰჩენს) —
21. ჰ-ხდი, ჭ-ხდის, ჰ-ხდით, ჰ-ხდიდა(ტან) —
22. და-ჭ-ბნევია, და-ჰ-ბნევია, დაჰბნეოდა —
23. ჭ-ყოფნის, ჰ-ყოფნით, (კმაყოფ.) —
24. ჭ-ურის, ჰ-ყრით, ჰ-ყარო —
25. ჩამო-ჭ-ურის, ჩამო-ჰ-ყრით, ჰ-ყარო —
26. მე-ჭ-ხიო (შენ მე), მე-ჰ-ხადა (მეძლია) —
27. მამა-ჭ-დო, შემომა-ჰ-დო —
28. მო-ჭ-კლეს, ჰ-კლა, და-ჰ-კალ —
29. ჰ-გონ, ჭ-გონი, ჰ-გონიათ, —
30. ს(=ჰ)ცლის, ს(=ჰ)ცლით —
31. მ-ჭ-ფენ, მ-ჰ-ფენს, მ-ჰფენდა —
32. ს(=ჰ)დევნის, ს(=ჰ)დევნით —
33. ჭ-ურის, ჰ-ყრით, ჰ-ყარო —
24. ჭ-მონებს, ჰ-მონებთ, ჰ-მონო —
35. შე-ს(=ჭ)წვას, შე-ს(=ჰ)წვით —
36. ა-ჰ-ხლებ, ა-ჭ-ხლებს, ა-ჰ-ხლო —

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. აქ ცხადია: ა) მორფოლოგიური ძირითადი ურთიერთობა კანკელდობისა და უდგილებისა; ბ) უღვლილების, როგორც ყოფა-მოქმედების მიმოხვრას, სახიერებას გვიჩვენებს მარტივი ბუნებრივი „ჰ“-აე: გ) სწორედ ეს ბუნებრივი „ჰ“-აე განასხვავებს უღვლების ფორმებს კანკელდობის ფორმებიდან; დ) ცხადზედ უცხადესია ეტიმოლოგიური ბუნებრივობა მარტივ „ჰ“-ესი, რომლის უარ-ყოფა უგუნურება და დიდა-ენის წინაშე უვიცობაა.

7. მაგრამ განვაჰგრძოთ კვალად ძიება მოთხოვნილ პასუხისა.—მე მამჰხილა ჩემმა დედა ენამა, რომ აგებულებრივი მარტივი „ჰ“-აე, „სახელდობ ზმნებში“ გამოი-ჰ-თქმის და არსებობს ოთხგვარად:

I. თვინიერ „ჰ“-აედ, როგორც სიტყვებში „ჰაერი“ ან და-ჰ-ფინა, მიმო-ჰ-ფინა ან როგორც ფრანსიულს სიტყვაში la hache (h aspiré), ან გერმანულში h-ier, Hahn.

ა) ჩვენი ქართული ჰ-აე არის სრული თანაბარი ინდო-ევროპიულ h-ისა და ფონეტივად, როგორცა ვსთქვი, პირდაპირ ამ ხმას გადმოგვცემს შემოღებულ უცხოელ ტერმინებში ან სიტყვებში. მართალია, წრფელობით ბრუნვის სახიერებაში იშვიათად შევჰხვდებით მას ქართულს სიტყვებში, მაგრამ მაინც უამისობა არ შეიძლება აქაც. მაგალითად: ჰაერი, ჰანგი, ჰაი-ჰუი, ჰოპუნა, ჰაი-ჰაი, ჰელი, ჰუნე, ჰაზრი (ჰ=ს: მოისაზრა, მოიჰაზრა, საზრისი=ჰაზრისი), ჰომეროს (და არა პარუსკად გომეროს, ჰაბიას-კორპუს (და არა: გაბიას-კორპუს), ჰარამი, ჰარმონია (და არა გარმონია) ჰიდროგენი, ჰომონიმი, ჰიპოტეზა, ჰიდროსტატიკა, ჰიპოტენუზა, ჰიგიენა, ჰუიგო, მაჰომად და მრავალი სხვა. აქ რა ჭკუა აქვს თქმასა „ხორცმეტი“-ოო „ჰ“-აეო ქართულშიო, როდესაც, როგორც შინაურ, ისე მეტადრე უცხო სახელებში უამისობა შეიძლებელია.

მრავალ-ჯერ „ჰ“-აე გამოითქმის, რომ h aspiré (ჰ-აე სუდთქმითი) შემდეგ თანხმოვანების ზედ-წინ წაბმაში და სიტყვის უდგილებაში: ბ, გ, ზ, კ, დ, ნ, ო, ს, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ხ და ჯ:

1. ჰ-ბან, ჰ-ბანს, და-ჰ-ბანთ, ჰ-ბანდა, მო-ჰ-ბანო;

2. ჰ-გმობ, ჰ-გმობს, ჰ-გმობთ, ჰ-გმობდა, და-ჰ-გმო;

3. ჰ-ზრუნავ, ჰ-ზრუნავს, ჰ-ზრუნავდა, ი-ჰ-ზრუნო;

4. ჰ-კრთი, ჰ-კრთის, ჰ-კრთით, ჰ-კრთოდა, შე-ჰ-კრთა;

5. ჰ-სრეს, ჰ-სრესს, ჰ-სრესთ, ჰ-სრესდა, მი-ჰ-სრისო;

6. ჰ-ფენ, ჰ-ფენს, ჰ-ფენთ, ჰ-ფენდა, ჰ-ფინო, მო-ჰ-ფინოს;

7. ჰ-ქრი, ჰ-ქრის, ჰ-ქრით, ჰ-ქრიდა, ჰ-ქარო;

8. ჰ-ღვრი, ჰ-ღვრის, ჰ-ღვრით, ჰ-ღვრიდა, და-ჰ-ღვარო;

9. ჰ-ყრი, ჰ-ყრის, ჰ-ყრით, ჰ-ყრიდა, ჩა-ჰ-ყარო;

10. ჰ-შლი (და არა шли), ჰ-შლის, ჰ-შლით, ჰ-შლიდა, წა-ჰ-შალო!

11. ჰ-ხრი, ჰ-ხრის, ჰ-ხრით, ჰ-ხრიდა, და-ჰ-ხარო და სხვა.

ბ) აქ ზმნების ძირებს ზედ-წინ აებმის „ჰ“-აე სულთქმითი და თითონ უღვლილებრივს ცვალებადობას ასახიერებს, იგია ყოფა-მოქმედების აუცილებელი, აგებულებრივი და ეტიმოლოგიური მარტივი: „ჰ-ფინა“ (და არა „ფინა ძალი“) ნიჰშნავს მოქმედებას, რომლითაც რომელიმე საგანი ფართოდ გადაიშლება რაზედმე ან საზოგადოდ სივრცეში—ბიწაზედ თუ ჰაერში; ჩვენ დიალექტოსნებს რომ დავუჰჯეროთ და მართლა უარვჰყოთ აქ ელემენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი „ჰ“-აე, ჩვენს მშვენიერს ენას დაეკარგებოდა სიდარბაისლე, ღრმა საჰაზროვნო სამზადისი და მოვჰყვებით ზეტიტინა „აქანეი-მაქანეის“, იქნება იადონებრივ საამო სტვენას გამოვსცემდით, მაგრამ ფიქრის, ჰაზრის, გონების სიდინჯე, შესვენებული მოსაზრება და ამასობაში გულისხმიერება მისი, რაც სათქმელად არის ღირსეული,—„გაგვიშპებოდა“ გამოთქმიდან. ეს ჩვენ თვითონ დაგვემართება ჩვენივე კუდაბზიკობით, თორემ თითონ ქართველი ძირითადი ენა დიდად-დიდი ხანია ჩვენდა სადღეგრძელოდ შენახული აქვს ჩვენს წმიდათა-წმინდას ქართულს სალიტერატურო ენასა.

5. ერთად ერთს ჩვენს სალიტერატურო ენაში შემოტანა ხალხში გაბნეულ აუარებელ დიალექტებისა ყოვლად სამწუხაროა და გონების ამრევი. თითონ ხალხში მრავალ-ფერადობა ერთისა და იმავე ერისა, როგორიც. არის მთლად ქართველთა ტომი, შნოს აჰდებს, აჰფერადოვნებს და მუდამ ფხიზელ ყურადღებას იჰწვევს, მამა-შვილურ სიყვარულს ასძრავს თქვენს გონებაში, მაგრამ ამ ჭინჭლიანი დიალექტების გაბატონება საერთადო სალიტერატურო ენაში საზღვარ და თავგასული სიბრიყვეა და დიდი დანაშაულობაა უნიტარობის წინაშე.

ამგვარი მრავალფერადობა ჩვენს სალიტერატურო ენაში დიდად სავალალო ფაქტია დღეს, თუმც გარდამავალია. ჩვენს ეტნოგრაფიულ მიდამოებიდან ჩვენივე მრავალფერობის შემოტანა ერთს ენაში გვასუსტებს და არ გვაძლიერებს. უნიტარული სალიტერატურო ენა ჩვენი ეროვნული დროშაა და უნდა იყოს. მე ამითი სრულებით არ ვაჰმბობ, აუცილებლად საჭირო არ იყოს დიალექტური თქმების შეკრება, შეგროვება და შემუშავება, არამედ დარწმუნებული ვარ, და დიდ განძად მიმაჩნია, რომ ყოველი სიტყვა ყოველ ხალხურ გადმოცემისა ჩაიჰწეროს სრულებით, შეუცვლელად, სიტყვა-სიტყვად, ხმა-ხმად ისე, როგორც თემი ამბობს, ისე სწორედ, როგორც პიროვნება გამოსთქვამს, იმ კილოთი, იმავე წვრიმანებით, როგორც მისს გონებამდის მოჰსულა და იქ დაჰშთენილა. ამაზე ვინ რა უნდა სთქვას, მაგრამ როცა ვინმე დიალექტოსანი ენას უსწორებს *) გრიგოლ ორბელიანს, ილია ჭავჭავაძეს და თითონ შ. რუსთაველსაც, და თითონ მხოლოდ წრიპინა უვიცია ენისა, მაშინ რა უნდა ვუჰწოდოთ ასეთს ჭინჭრაქაობასა და დაუდევარ ღობემძვრალობასა? როცა ქუდი ოუფხლეკიათ და ამბობენ ჩემს მოძულებულ „ჰ“-ეს ტყუილად „ებღაუჭებიანო“, როდესაც იგი მე (იმე, იმე!) მეტ-ხორცათ(დ?) მიმაჰჩნიაო?—ის, რომ უბადრუკნი «არ უწყიან, რას იქმიან“. მაგრამ ესეც არაფერია,—რა მნიშვნელობა აქვს უგზო უკვლო შენიშვნებსა. ბალა ის არის, რომ ხუმრობა გაშვებით, სცდილობენ ახალი უსამოსელო ქართული ენა შეჰქმნან და იგი გაჰხადონ სალიტერატურო იარაღად და არ ჰხედვენ თავის-თავის ამაოდ „ბღაუჭობასა“. ამისთანა ადამიანებს ვერაფერს დაარწმუნებ, რაც უნდა დაუმტკიცო, უარჰყოფენ, რადგან თითონ საბუთიანი მტკიცება „ამაჭახელებს“ მათ. ბრძანდებოდნენ.

სალიტერატურო ენა სამეცნიერო მოსაზრეა და იმ თავით დამყარებულია ერთად ერთს ქართველზე, სადაც უნდა ყოფილიყო და არის იგი ჩვენ ყველას მშობელი, რომლის ღვიძლი შვილები ვართ

*) ამ მსწორებლებზედ მერე მოვილაპარაკოთ, თუ მოვი-ჰ-ცალეთ. მ. ყ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ყველანი, ასე ვსთქვათ ,,ქართლოსიანები''. ამ ენამ უნდა მოგვიყაროს თავი და თავმოყრით ერთმანერთ შეგვაძლიეროს ჩვენ ყველანი. აქ არის ჩემი გონება, აქ არის ხანგრძლივი და დაუშრეტელი რწმენა ჩვენი.

„ჰ"-აეს აუცილებლობაზედ, სხვათა შორის, ვიჰტყვი: იყო, არის და იქნება იდეა ჭეშმარიტი, რომელიც, რუსთაველისა და ბარათაშვილისა არ იყოს, თავის დიადი გონებით, მეტადრე უკანასკნელ შედუეევრების ქმნის დროს, ღრმად სწვდებოდა ქართულ ენის ეტიმოლოგიურ ბუნებასა: სწორედ „ჰ"-ეს ხმარებასაც განავითარებდა და მოიყვანა იგი ყველაზედ უმეტესად ცნობიერებაში. მისი კანონიერი წერვა ჭ-აესი და სწორედ უდვილებაში, რასაც განსაკუთრებით ,,განდეგილში'' ვჭეზედავთ, უნდა მოედოს ყველა ზირგანდელს მის ნახელოვნებისა. ილიას ღვაწლი ამადარიც მოეჭლის ღირსეულს დაფასებასა. ხოლო საბოლოოდ ამ საქმის დამყარებისათვის, რასაკვირველია, ჩვენი საკუთარი ერთგნული სკოლა გვსჭირია, ეს ჩვენი ერთი მთავართაგანი საარსებო ბუნებრივი უფლება და მიზანია ჩვენის ბუნებრივად ფეხმოკიდებულ მომავლისა.

6. მარტივი „ჭ"-აე ხშირად გამოითქმის მკრთალად, თითქმის მუნჯად, გვემულად, როგორც ფრანსიული h muet იმავე ზმნების უფვლილებაში და ამასთანავე მისი არსებობა მით ჭდიარდება, რომ თვისდა წინამორბედს ხმოვან მარტივებს ა, ე, ი, ო და უ-ს აგრძელებს გამოთქმაში ანუ *) იგინი გამოითქმიან შესვენებით, როგორც მაგალითად გერმანულში h, რომელიც აგრძელებს a, i, e, o და u'l: nahn, ihm, Steht, Ohr და Uhr **)

*) ნახე ქართული ზმნის ძირითადები 1911 წ. მ. ყიფიანისა.

**) ერთი საყურადღებო შენიშვნა. ჩვენი ენის სალოგიკო სახსარია ის, რომ ორს ჩვენს უნის მაგალითები და სამაგალითოთ ილია ჭავჭავაძის ,,განდეგილში'' ვჰნახოთ აქ ჰ-აეს წინ დასმული ხმოვანები ა, ე, ი, ო, უ— გაგრძელებით გამოსთქვით თითონ ,,ჰ''-აე მუნჯად.

ა: გა-ჰ-თქმულა, ა-ჰ-ყვავებულა, და-მა-ჰ-რხულა, ჩა-ჰ-სახებულა, დაა-ჰ-ყრდენდა, მივა-ჰ-რდა, შეა-ჰ-ჩერდა;

ე: შე-ჰ-ხებია, მოე-ჰ-ვლინება, ჩაე-ჰ-შვებოდა, მოე-ჰ-სმა, ე-ჰ-ნდობიო, გე-ჰ-ძახდა, ე-ჰ-ცა, ე-ჰ-ძებს; კიდევ: ე-ჰ-ფერებოდა, ე-ჰ-ღობებოდა, ე-ჰ-ჩრებით, ე-ჰ-მუდარება, ე-ჰ-პოტინებიან და სხვა.

ი: ,,ი-ჰ-სმოდა, შეი-ჰ-მოწმებდა, გაი-ჰ-შალა''; კიდევ: მოი-ჰ-ცილა, ი-ჰ-დინა, ჩაი-ჰ-წვინა, მოი-ჰ-ფურა, მოი-ჰ-ღუნა, მოი-ჰ-ბუდვნა, ი-ჰ-ლოცა, ი-ჰ-ტვირთა, განი-ჰ-დევნა და სხვა.

ო: ,,ეო-ჰ-ცა, ამო-ჰ-გიტან, ჩამო-ჰ-ბნელდა''; კიდევ: მო-ჰ-რთო, გამო-ჰ(=ს)-თქვა, გამო-ჰ-ფხიზლდა, ჩამო-ჰ-ყურებდა, გამო-ჰ-ხედა, მო-ჰ-რბოდა; მო-ჰ(=ს)-დუნდა და სხვა.

უ: გამოუ-ჰ-ქვაბავთ, უ-ჰ-წოდებს, გაუ-ჰ-ქმებულია, აუ-ჰ-ქცევს, წარმოუ-ჰ-დგეს, უ-ჰ-წამებიათ, უ-ჰ-რეცია, უ-ჰ-პოვია, უ-ჰ-ძღვის, უ-ჰ-ძნელდება; კიდევ; უ-ჰ-თმენია, უ-ჰ-ძინია, უ-ჰ-ნაღვლია და სხვ.

განა შესაძლებელია ბუნების შეურყევლად გამოვაჰკლოთ ამ სიტყვებს ,,ჰ''-აე? არა, იმიტომ, რომ უმისოდ სიტყვა ჰლაყდება, ,,აქანეი-მაქანეით'' ჰხდება და სიკავშირს ანდა უნს ხ-ვა და სხვა უღელი აძევს და ეს მათი სხვა და სხვაობა ხშირად ვერ გაგვიჰრჩევია: ან მე ან შენა, მე ანუ ამის დამწერი. ან-განმაშორებელია, ხოლო -ნუ თანაბრობის მაღიარებელია. თამარ ანუ დიადი მეფე სრულიად საქართველოისა. არ შეიძლება: თამარ ან მეფე ეს სალოგიკო ცნება დიდად საყურადღებო განძია ჩვენის ენისა. მ. ყ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჯითე ყოფა-მოქმედებისა ჰფუქსავატ-
დება. სწორედ, როდესაც უღვლილებაში
ამ სიტყვებს შევაჰრჩენთ ,,ჰ''-ესა, მაშინ
იქნება სიტყვა ისე გამოთქმული ქართუ-
ლად, როგორც თითონ შნო გამოთქმი-
სა, მისი აზრის ბუნებრივი ჰანგი მოიჰთ-
ხოვს. ჩვენ ვიჰცით, ,,ქართულში სიტყვა
ისე იჰწერებაო, როგორ იჰთქმისო''. მაგ-
რამ თქმაც არის და თქმაცა. ჯერ მთქმე-
ლი სიტყვის სულის, მის ჰანგის, კვნესა-
მხნეობის გამომთქმელი უნდა იყოს თი-
თონ და შემდეგ სთქვას სიტყვა და მაშინ
ჩასწეროს ისე, როგორც სთქვა, თორემ
,,სიტყვა ფუჭად გამომთქმელი, ფუჭადვე
დაიწერების''-ო, ნათქვამია. სავსებით თქმა
სიტყვისა და ასეთად ჩაწერა მისი ყველას
არ შეუძლიან: და ამას გვასწავლის მხო-
ლოდ ლიტერატურა თვისს დიადობაში.
როგორც ჩვენი სული განიჰცდის შთა-
მომავლობითის ზე-გარდმოცემასა წინა-
პართ მიერ, ისე სიტყვაა სავსე ემოციურ
უკვდავებითა: «პირველიდან იყო სიტყვა,
და სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა, და
ღმერთი იყო სიტყვა იგი''. გამოთქმასაც
სწავლა სჭირია და ნათქვამის დაწერა-
საცა.

7. მარტივ ჰ-ესს ს-ანად გამოთქმა და
ს-ანადვე წერვა. მარტივი „ჰ"-აე ,,ს''-ანად
გამოითქმის უღვლილებაში შემდეგ თან-
ხმოვანების ზედ-წინ ზმნებს ძირებში: დ,
თ, ლ, ტ, ჩ, ც, ძ, ჭ, ჯ*), მაგალითად:

1. ს-დუმ, ს-დუმს, ს-დუმთ, ს-დუმდე,
და-ს(=ჰ)-დუმდე;

2. ს-ტოვებ, ს-ტოვებს, ს-ტოვებთ,
ს-ტოვებდა, გამო-ს-ტოვო;

3. ს-ჩმეტ, ს-ჩმეტს, ს-ჩმეტთ, ს-ჩმეტ-
და, მო-ს-ჩმიტო;

4. ს-ცემ, ს-ცემს, ს-ცემთ, ს-ცემდა,
ს-ცემო;

5. ს-ძრავ, ს-ძრავს, ს-ძრავთ, ს-ძრავდა,
და-ს-ძრა;

6. ს-წერ, ს-წერს, ს-წერთ, ს-წერდა,
ს-წერო;

7. ს-ჭრი, ს-ჭრის, ს-ჭრით, ს-ჭრიდა,
და-ს-ჭრა;

8. ს-ჯღანავ, ს-ჯღანავს, ს ჯღანავთ,
ს-ჯღა-ნავდა, წა-ს-ჯღანო;

აქ „ჰ"-ეს მაგიერობის გამოთქმა ს-ანითა,
რომელიც არის მხოლო ფონეტიკი ბგერით
ჰ-ესს გაძლიერება, და სხვა არავითარი ეტი-
მოლოგიკი მნიშვნელობა არა აქვს «ს»-ნსა,
რომელიც მხოლოდ ჰ-აეს ეტიმოლოგიკი
მაგიერია და მისს ულელს ეწევა, რო-
გორც ბგერის გაძლიერება და მკაფიოდ
გამომთქმელი, მეტადრე სალიტერატურო
ენაში, ხოლო ქართული დიალექტი უმე-
ტესად ჰხმარობს მკრთალ (muet) ჰ-აესა
და საზოგადოდ არ საჭიროებს მისს ს-ანად
გამოთქმასა, ამბობს: ჰ-ტოვებ, ჰ-ჩრი,
ჰ-ცლით, და-ჰ-ძრა, ჰ-წერდა, ჰ-ჭრიდეს,
ჰ-ჯღანავდა, ჰ-ლოკავდა, და ამითი ამარ-
თლებს სწორედ ,,ჰ''-ეს ბუნებრივობასა
ულვლებაში; მაგრამ როცა ძალა და სი-
ბეჯითე უნდა დაატანოს ყოფა-მოქმედე-
ბის გამოთქმასა, მაშინ თავის მუნჯა ჰ-აეს
ჰაშკარავებს და ს-ანადვე გამოსთქვამს,—
შე-ს-ჩარე, და-ს-დუმდი, და-ს-ცალე,
და-ს-ძარ, და-ს-ჯდა, და-ს-ცინა და სხვა.

8. ძველს მწერლობაში მეტადრე და
მისს გავლენით ზოგჯერ მეორმოცე წლე-
ბის მწერლობაში და აქა-იქ ახალ ნაწე-
რებშიც შევჰხვდებით ულვლილების და-
მახასიათებელადვე და მის ფორმების მკა-
ფიოდ გამომთქმელად ერთსა და იმავე
სიტყვის ფორმაში ჰ-აესა და ს-ანს ერთად,
რაიცა ამართლებსვე პირველის მეორედ
ფონეტივს გარდაქცევასა: ა, სახარებაში
(რომლის ტექსტი დაბეჭდა კომისიამ ნ.
ლოლობერიძის ხელმძღვანელობით მგონი

*) „გამოკვლევა" ს. ხუნდაძე I წ გვ. 52. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

60-ცე წლებში): ჰს-ჩანს=ს-ჩანს, ჰს-წამს =ს-წამს, ჰს-ცა, ჰს-თქვა=ს-თქვა, გა-მო-ჰს-თქვა, ჰს-ცემს=ს-ცემს, ჰს-ცემდა, ჰს-დგა, მი-ჰს-დევდა, აღ-ჰ-სდგა, წარ-ჰს-წყმდეს, ჰს-ჯდა, ჰს წყუროდა, ჰს-ჭამეს, აღ-ჰს-დეგ, გან-ჰს-ცოცხლდა, ჰს-ცოდავს, ჰს-დევნიდა, ჰს-ცხოვრებდნენ, სა-ჰს-ჯელისაცა(?!), და-ჰს-ჯა(?!), ჰს-ჭამონ=ს-ჭამონ, წარ-ჰს-წყმდეს, გან-ჰს-ძეხით, ჰს-დრტვინვიდეს, მო-ჰს-წყდეს, ჰს-ცან, ჰს-დგა, ჰს-ცხო, ჰს-ტიროდეს და სხვა.

აქ სახარებაში, იმას წინად და შემდეგაც ერთად ჰ და ს უბრალო სიტყვებშიც შეჰხვდებით; მაგალითად იქვე სახარებაში ,,ჰს-ჯულსა, ჰს-ჯული'', რაიცა მგონი სულ უჰაზროა.

ბ., ჩვენი დიდებული ნ. ბარათაშვილიც ჰხმარობს უღვლილებაში ერთადვე ჰ-სა და ს-ანსა და ზოგჯერ უღვლილების გარეშე (კანკლედობრივ) სიტყვებშიც, და ჩემის მორჩილი ფიქრით, — ძველი ძლიერი ენის ზე-გავლენით: ჰს-დუმდა, მ-ჰ-სწრაფლ (სახელი ზედშესრული), ჰს-ცა=ს-ცა მო-ჰს-დევს=მო-ს-დევს, ჰს-ძღვენით, ვ-ჰს-ცან, ჰ სწორთა (კანკლ.), ჰს-თქვას, მოვ-ჰს-წყინდე, ჰს-ჩივის, ჰს ჩანს, ჰს-ჯობია, მო-ჰს-ძახიან, შე-ჰს-წევს, მო-ჰ-ცეს, ჰს-ჯეროდა, ჰს-ჯულო (კანკლ.) ვ-ჰს-ცან, ჰს-ტიროდა, შევ-ჰს-წირაკდი, დავ-ჰს-დებდი, ჰს-ტანჯვენ, ჰს-ჭრეტდენ, შენამ-ჰს-ჭვალები (სახ. ზ. შესრ.) ჰს-წორთა (სახ. ზედ შესრ.), ვ-ჰს-ცემ, ჰს-თქვი, ჰს-დგას, მო-ჰს-ჭექს, ჰს დევ ნიან, მო-ჰს-ჯექს. ეს დაწყვიდებული (ჭ=ს) ჭ-აეს ხმარება ვგონებ სრულიად გადამეტებული უნდა იყოს.

გ., თითქო ვეფხის ტყაოსანიც ჰხმარობს ასეთს უზომოდ გაძლიერებულს ფორმას: ჰს-ჯობს მაგიერ-ო ს-ჯობს ა.

დ., ჰ-აე Матеріалахъ по груз. агіологіи X в. изд. А. Хаханова 1910 ჰ-გვემდეს, გან-ჰ-ვლიდა, ჰს-ცემდა (ს-ცემდა), ჰ მსახურებდა, ჰ-რქვან, ვ-ჰ-ყოფ, შე-ჰ-ვარდე, გან-ჰ-მზადენ, ჰ-ხედაც, ჰ რქვა, ჰ-ბოვეს, და-ჰ-ხშენ, გან-ჰ-რყვენ, ჰ-ყოფ, განი-ჰ-მზადენ, შე-ჰ-რაცხეს, და-ჰ-ფლნეს, ჰ-ყოფდეს, ჰ-მოძღვრიდა და სხვა.

8. მარტივი „ჭ-აეს ხმარება ზმნების ფორმებში გიორგი მარჩულის მიერ. (951 წ.)

ა., ჭმატს დუმილი, ჭეოფდენ მეოხებასა, ჭბასრობენ სიბრძნესა, ჭრქვეს მთავართა, შეჭვედრა მღვდელობასა, დაჭბეჭდა მღვდელობითა, მოჭრიდა ბუნებათა, ჭრცხუენისმცა ქცევათაგან, ვჭმადლობ ქრისტესა, განჭმზადა ტაბლაი, ვჭმსახურობ ქრისტესა, განჭმზობ შუენიერებაი, წარჭმართენ საქმენი, ჭმსახურეს მეფობასა, ჭეოფდიან ყოველსა, წარჭვეეს ძმანიცა, აჭგრა ზარი, გამოჭკითხა მეფემან, დაჭბანდა იგინი, მოჭრიდეს საშუებელთა საწუთროისათა, დაჭბადენ ყოველნი, ჭნებავს კაცსა, ჭგიეს ქრისტეი, განდაჭმატა მას, ადჭეფხურნის სრულიად, ჭმარჯვდა ვის-მე, შეჭვედრა ქრისტესა, წარჭვდო უკეთუ, მიჭმადლებენ კურნებასა, მიჭმადლა უფალმან, ადჭეკანდა მალალთა შინა, ვჭმსახურებდ სიყრმით*), ჭეავ კეთილად, ჭრიდოდა პატივსა, განჭმნე სიტყვანი, ჭეოფდეს საქმით, ჭმუძღურით ძმანო; მიჭფინა სიყვარული, განჭკურებდა მსწრაფლ, თანა ჭეკანდა ძე, გაჭკაცენ კაცთ მოყვარეობისათვის, მოჭმკიან სრულიად, ჭკითხა დეკანოზმან, ჭმოსია სამოსელი, თანაწარგჭსნედ ყოველთა, შთამოჭურიდეს ძელსა, დაჭკრნა თითნი, ჭგეშდა ძლიერად,

*) ბ., „საქართველოს სიძველენი" II 4. სიგელი 1027 წ. ჰ-ნახონ ბრძანება, ნუ ვინ ხელ-ჰ-ყოფთ 'ზლასა; სიგელი 1266—1268 წ. ჰა ჯაი (სა-ჯაი), ჰ-ქონებოდა ნადირობაი, ჰქონდესყე ნადირობაი, ჰ-ნახოთ ბრძანებაი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭხედავ გულსა, წარჭვდიდა ვინ-მე, ჭბრძანე რაცა აქა, ჭპოებენ კურნელებასა, მიჭრქვა არამედ, ჭმძავრა წმინდასა, შეჭგვინდა ვითარ, მოჭხუედით რამეთუ, ჭნებავს სიკუდილი, ჭხედვიდეს მას, მიჭმართა მონაზონთა, ჭქონან ჟამნი, დაჭფარვიდა ჰაერსა, დაჭხსენ ძალღუნი მკლავთა, დაჭფდეს მუნ, ჭრეკოს ჟამსა, ჭბძანა ხანძთად, დაჭნერგა გულსა, დაჭვედრა მას, წარჭუვა ძმათა, მოჭნათლავს, ჭუოფდით სახსენებელსა, დაჭმარხნეთ ძმათა ჩემთა თანა, შეჭვედრა უფალსა, ჭფარვენ შემამკობელთა.

9., კიდევ მაგალითები.

შემდეგ მაგალითები. უღვლილების ფორმებში რომ ჰ-აე არ ვაჰხმაროთ ზმნების გამოთქმასა, სიტყვის აზრი ან არას გვეჰტყვის, ან სრულებით სხვას გვაჰნიშნებს, სხვასა ვიდრე სათქმელად გვსწადდა: ჭ-ფინა და არა ფინა; ჭ-ყვეს და არა ყვეს; ჭ-კრა და არა კრა; ჭ-ზის და არა ზის ანუ ზეის (ზის მადლმაო, ამბობს ქარა.ლელი); ჰკლავდი და კლავდი.

თუნდაც უარ ვჰყოთ ბუნებრივი ჩვენი მარტივი ჰ-აეა, მაინც იგი თავის არსებობას არ დაჰკარგავს გამოთქმაში. ტიმოშკინები და პურიშკევიჩები უარჰყოფენ ქართველობასა, მაგრამ ქართველობა უკვდავებაა და უტვინობის წკავ-წკავი კი მძოვრის სუნია. თითონ ჰაზრის საჭიროება მოიჰთხოვს „ჰ"-აესა სწორედ ზმნების ფორმებში, აზრისა, რომლის გამოსათქმელად არის მოგონილი და მოხსენებული თითონ წერა-კითხვა. განა სიმუნჯე არა სჯობიან უაზრო ლაპარაკსა?

აბა მოაჰშორეთ ქვემორე მოყვანილს სიტყვებს ჰ-აე, თუ რა გვარი ყვიციანი სიტყვები დაგრჩებათ, — გეგონებათ ჭალადიდის ციებას დაუავადებიაო. ჰაზრი ფაქიზი არსია, სისაღე მისი ძალაა თითქმის ყოვლად შემძლებელი და მცირედი მისი შესუსტებაც ზარალია; — ჰ-ყვეს, ჰ-კრა, ჰ-ხსნა (და არა ხსნა — სულ სხვაა), ჰ-გავდა, ჰ-გვიდა, ჰ-გრძნობდა, ჰ-კრთის, ჰ-ფენ, ჰ-ხედავ, ა-ჰ-ყვეთ, ჰ-რეკს, გა-ჰ-ყარა, გა-ჰ-ქრა, ჰ-ფარვენ, ა-ჰ-ყარეს, ჰ-კვლენ, ჰ-კადრა, ჰ-ფიქრობს, ჰ სურს, აღმო-ჰ-ხდა, მო-ჰფინა, და-ჰ-ყო, ჰ-ზრახვიდა, მო-ჰ-მადლე, ჰ-პოვებს, ვ-ჰ-პოვეთ, ჰ-ყვედრიდა, ჰ-შობს, მოვ-ჰ-კდე, გა-ჰ-კვეთე, ჰ-ფლობდა, ჰ-ზიდვენ, შე-ჰ-ხაროდა, შემო-ჰ-ბერა, შე-ჰ-ფრინვიდეს, გამო-ჰ-ყვება, ჰ-სმენია, მოვ-ჰ-კარ, და-ჰ-ბერვენ, მო-ჰ-ქრის, ჰ-ბრუნავს, ჰ-გონებს, და-ჰ-შთა, ჰ-ყავს, ჰ-ქმნა (და არა ქმნა კანკ.), ჰ-ქმნით (და არა ქმნით, მოქ. კანკ. ბრ.), და-ჰ-მართეს, მოვ-ჰ-კვდები, ჰ-ხედავ, მო-ჰ-ყვება, მომ-ჰ-ხადა, მოვ-ჰ-კარ, გამ-ჰ ხადეს, ჰ-შვენოდეს, ჰ-გრძნობდეს, შე-ჰ-კადრა.

ვისაც არ ეჰსმის ბუნებრივობა კანკლედობისა და უღვლების განსხვავებისა, ვის თვალწინ ჰბნელა გრამმატიკის არემარეში, მას ვერას შევაჰსმენთ, საბრალოსა, ხოლო სხვებისთვის ესეც საკმარისია.

10. მარტივი „ჭ"-აეს ნაცვალი ს-ანი ხმოვანების წინამორბედობით კვლავ თითონ ჭ-აედ სცხადდება — თანხმოვან დ, თ, ფ, ტ, ჩ, ც, ძ, ჯ და ჯ-ანის ზედ წინ.

ს-დუმს — ი-ჰ-დუმოს, და-ს-ტოვებ — დაი-ჰ-ტოვებ, ს-ჩმეტ — მი-ჰ-ჩმეტ (მი-ს-ჩმეტ სხვაა: მი-ს-ჩმეტს და მიანებებს თავს), ს-ცემს — ი-ჰ-ცემოს, და-ს-ძრას — დაი-ჰ-ძრას ს-წერს — ი-ჰ-წერს, ს-ჭრის — აი-ჰ-ჭრის, ს-ჯღანავს — ი-ჰ-ჯღანავს, ას-ლოკინებს — ა-ჰ-სლოკინებს, ს-ტოვებს — ი-ჰ-ტოვებს, და-ს-ტოვებთ — მია-ჰ-ტოვებთ, ჩამო-ს-ტოვებს — დაუ-ჰ-ტოვებს, გამო-ს-ტოებს — მია ჰ-ტოვებს, და სხვა აუარებელი.

11. ხშირად ზმნის ფორმაში „ჰ"-აეს მუნჯად გამოთქმით თუ მის ცხად-სულთქმით (aspiré) სცხადდება სხვა და სხვა ჰაზრი ერთისა და იმავე სიტყვისა და რომ აქ ჰ-აე სრულებით უარვყოთ, მაშინ ეს სხვა და სხვობა აჰზრისა დაგვეჰკარგება.

მუნჯად ჰ-აე (muet) და სულთქმით ჰ-აე (aspiré).

მე მი-ი-სრესს ან მი-ჰ-სრესს და მიანებებს თავს,
„ მი-ი-ფენს „ მი-ჰ-ფენს ,, ,, ,,
„ მი-ი-ქრის, მი-ი-ფრინავს ან მი-ჰ-ქრის მი-ჰ-ფრინავს,
„ მი-ი-დვრის, მი-ი-ურის ,, მი-ჰ ურის, მი-ჰ-დვრის და მიან...
„ მი-ი-შლის, მი-ი-ხრის ,, მიმო-ჰ-შლის, მი-ჰ-ხრის და. .
„ მი-ი-თოხნის ან მი-ჰ(=ს)-თოხნის და მიან ..
„ მი-ი-ბეგვავს „ მი-ჰ-ბეგვავს და მიანებებს...
„ მი-ი-ჯოხავს „ მი-ჰ(=ს)-ჯოხავს და...
„ მი-ი-გვიდა „ მი-ჰ-გვიდა და მიანებებდა...
„ მი-ი-ხვდა „ მი-ჰ-ხვდა და ,, ,,
„ მი-ი-რვდა „ მი-ჰ-რვდა და ,, ,,

განა შესაძლებელია სთქვას ქართველმა „ჰ"-აე აქ და „მეტადრე ზმნებში" ხორცმეტიაო!?. არა, იმიტომ რომ ასეთი ლაყბობა არას ეჰგვანება, ჭეშმარიტად.

12. ჰ-აეს განძიებამ სიტყვიერებიდან „შ„ქმნა"(?) ენა უფერული, ზეტიტინა, სიღრმე მოკლებული, უმი, უმადო, უმარილო, ციებიანი და სიდარბაისლეს მოკლებული დიალექტი, რომელიც ქართლში და კახეთში სამართლიან ღიმილს გამოიჰწვევს და არა პატივისცემასა. და მგონი მიზეზი ის არის, რომ „სუბუქს" ენაში დარბაისელი, ღრმად მოფიქრებული და დინჯად გამოთქმული ჰაზრი თითქო აღარა სჩანს.

ქართლელი იტყვის: კაცმა ჰაზრი ჰ-ფინაო, იმერელი—კაცმა აზრი ფინაო; პირველი სიტყვით ჰაზრი იჰფინება, ჰვრცელდება, ხოლო მეორე თქმით აზრის რა თქმული: „კაცმა აზრი ფინა ძალლი?

— რა არიო: რას ამბობს, ადამიანო?!

ეს არის მიზეზი, რომ ხშირად მუსიკალურს და „არატორულ" სიტყვას არაფერი გარკვეული ჰაზრის შესმენა არ მოაქვს და ხშირად უმნიშვნელო ენის ქაქანად ჰრჩება. ა., ბანი, ბანის, ბანს, ბანით, ბანად, ბანაო—ერთია და ბ, ჰ-ბან, ჭ-ბანს ჰ-ბანთ, ჰ-ბანდა, ჰ-ბანო—სრულებით სხვაა;

ა, მონები, მონების, მონებს, მონებით, მონებად და მონებო—ერთია და ბ., ჰმონებ, ჰ-მონებს, ჰ-მონებთ, ჰ-მონებდა, ჰ-მონო—კიდევ სრულებით სხვაა. —

ტეზისები

1. ეტიმოლოგიური მარტივი „ჰ"-აე აგებულებრივი, ბუნებრივი ფაქტორია სიტყვათა უღვლილებრივ შენობისა.

2. ფონეტიური ბგერა მარტივ ჰ-აესი სცხადდება: ა, ცხად ამოსულთქმით, როგორც სიტყვებში—მო-ჰ-ფინა, მი-ჰ-ყიდა (h aspiré). ბ., მქრალად, მუნჯად (h muet), როგორც სიტყვებში—გამოუ-ჰ-ქვაბავთ, უ-ჰ-წოდებს.

3. მარტივი ჰ-აე თავის ზედ-წინამორბედს ხმოვანებს—ა, ე, ი, ო და უ-ს გამოთქმას აგრძელებს უღვლილებრივს ფორმებში: გა-ჰ-თქმულა, მოე-ჰ-ვლინება, გაი-ჰ-შალა, ამო-ჰ-გიტან, უ-ჰ-წოდებია, როგორც გერმანულს სიტყვებში ჰგრძელდებიან გამოთქმაში ხმოვანები a, i, e, o და u: Hahn, ihm, Steht, Ohr და Uhr.

4. მარტივი ჰ-აე უღვლებრივ ფორმებში რამდენსამე თანხმოვან ხმა-ასოს ზედწინ, სახელდობ. დ, თ, ლ, ჩ, ც, ძ, ჭ და ჯ-ისა გამოიჰთქმის რთულად, სადაც ჰ-ესთან ფონეტივ შებანებით იჰსმის ს-ანიცა და ძველად ასეც იჰწერებოდა, ხოლო

ეროვნული

დღეს სწერენ მარტოდ ს-ანსა: ჰს-დუმ-და=ს-დუმდა, ჰს-ტოვებს=ს-ტოვებს, ჰს-ცემს=ს-ცემს.

ბოლოს ბოდიში უნდა მოვიჰხადო. ცხადია ჯიუტ დიალექტოსნებს ვერას შე-ვაჰსმენ, რაც უნდა ვისაბუთიანო და მკითხველის წინ კი ბოდიში მაქვს მო-სახდელი, რომ შევაჰწუხე, იქნება უალა-გო საბუთიანობითა.—

ამ მეხუთე წერილით გავაჰთავე სიტყვის მარტივების შეძლებისა და გვარად გა-მოკვლევა, ხოლო დანარჩენ წერილებს მოვანდომებ: 1, სიტყვის კანკლედობრივ წარმოებასა, 2, ბრუნვათა ზედკეცილო-ბის კანონს, 3. ურთიერთობას კანკლე-დობასა და უღვლილობას შორის, 4, სა-ხელ-ზმნების რიგიანს, თუ ურიგიანო ცვა-ლებადობას და 5, უღვლილების ძირითა დებსა.

მ. ქ. ყიფიანი.

დღის მგოსანი

(ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 75 წ. შესრ. გამო)

ᲛᲐᲦᲐᲚ სივრცის მაღალ გუმბათს სხივი მოწყდა—ტრფობის შვილი,
დღის წიაღში ჩაიქარგა დიადი ხმა, მზის სიცილი,
ამეტყველდა მთა ცხოვრების—ერს მოესმა სიმთა ჟღერა,
ქვეყნის მკერდზე აღიბეჭდა საიმედო გულის ძგერა!..
იგი იყო ფრთა შვენების—თვით ბულბული, ვარდ-სოსანი,
იგი იყო სატრფო ერის, იგი იყო დღის მგოსანი!..
ხან მთის მწვერვალს ევლებოდა ვით არწივი სალი კლდისა,
და ქვეყანას დასცქეროდა მომდურავი შავი დღისა!..
ცეცხლის ალში გახვეული, თვით ცეცხლს ჰქმნიდა ალად გაშლილს,
თვით დემონის შავი თვალი ვერ ხედვიდა მას—თავ-დახრილს!..
აღარ არის... გული კვდება, სევდის ბაღი გლოვით ვნახე,
ტანჯვის ეკალს დაუსერავს მადლიანი მგოსნის სახე!..

გელა.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიდა

(სურათები სამრევლო სკოლის მასწავლებლის ცხოვრებიდან)

I.

ბულკეთილი დედა სიხარულით ცასა სწვდა, როდესაც გაიგო ჩემი სურვილი სოფლად მასწავლებლად წასვლისა. მეორე დღესვე შეუდგა „პროტექტორების“ ძებნას. დავსწერე თხოვნა და მივიტანე „საეპარქიო საბჭოში“. საქმის მწარმოებელმა წარბები შეჭმუხნა და ყრუდ ჩაილაპარაკა: ადგილი არა გვაქვს, ამაოდ სცდილობთო. იმედით აღფრთოვანებულს გულზედ ამ სიტყვებმა ისეთი საშინლად იმოქმედეს, რომ გამოვბრუნდი თვალიდგან უნებურად ორი ობოლი ცრემლი გადმომცვივდა. რითი დავეხმარო ჩემს რუბენს, თუ იმედი გამიკრუვდა მეთქი, ვფიქრობდი და დაღონებული მივდიოდი სახლისკენ დედამ ძლიერ დამაიმედა: შენს გონზედ მოსვლას არ ვფიქრობდი, თორემ ,,საპენსიო კასიდგან'' რაც ფული მერგება, სულ დავხარჯავ და უადგილოდ არ დაგტოვებო.

უმნიშვნელო იმედიანი სიტყვაც მალამოდ ეცხება დაჩაგრულს გულს და დედის სიტყვებმა ოდნავ გამკურნეს.

არ ვიცი ჩემმა ,,პროტექტორებმა'' საბჭოს წევრებთან დალაპარაკებაში აიღეს ქრთამი, თუ მათაც გაუზიარეს, მსურდა გამომერკვია ,,საბჭოს'' გულმტკივნეულება იყო ჩემი ადგილის მომცემი, თუ ქრთამი. ვატყობდი კი საქმის მაწარმოებელი რიხიანად და შეჭმუხვით აღარ მესაუბრებოდა, არამედ რაღაც სატანიურ ღიმილით მეტყოდა: ცოტა მოითმინეთ, ქალბატონო და ადგილი მალე გამოჩნდებაო და მართლაც აღმოჩნდა ადგილი ჩემდვის სადღაც მიყრუებულს სოფელში, რომლის სახელი პირველად მესმა. დედა ძლიერ დაღონდა, ესრედ შორს ვერ გაგიშვებო, მაგრამ რა უნდა ექმნა?..

—

შემოდგომის მზის მკრთალნი სხივნი ალმაცერად დასცქერდნენ მიწას. გამხმარი, გაყვითლებული ფოთლები სცვიოდნენ ხეებიდგან, რომელთაც ნიავი უფსკრულისაკენ მიაქანებდა. ვაზის გაყვითლებულ ფოთლებში მშვენიერ სილამაზით გამოსჩანდა მწიფე მტევნები. ბუნებას რაღაც მკრთალი უსიცოცხლო ფერი ედო, როდესაც ჩემი ბარგი ბარხანით მივემგზავრებოდი სოფელ ,,მეხირა''-საკენ. რაღაც ნაღველი ჰფლობს გულს და მწუხარების ბინდი ჩრდილავს აღშფოთებულ სულს ამ გვარ დროს, მაგრამ რუსეთის უნიჭიერესი მწერალი ამ დროსაც მშვენიერ სურათს ხედავს ბუნებაში ,,მშვენიერია! შენი გამოსამშვიდობელი ფერი''-ოდა მეც მის წაბაძვით მშვენიერებას ვხედავდი ამ უსიცოცხლო ბუნებაში. ან რა არის უფერული ადამიანისთვის, როდესაც გული იმედოვნებით აღვსილი უძგერს? თვალ-წარმტაც სილამაზით მეფინებოდა ეს მიმქრალი უსიცოცხლო ბუნება მგზავრობის დროს, აღფრთოვანებული ვიქცერებოდი ,,მეხირა'-საკენ. შორიდგან კიდეც გამოჩნდა საყდრის გუმბათზედ აღმართული ჯვარი და მე უკვე წარმოვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინე ამ საყდრის გვერდში მდგომი სკოლა, მშვენიერი კოხტა დარბაზი, რომელიც თითქოს მედიდურად დასცქერის სოფლელების დახავსებულ სახლებს; მაგრამ, როდესაც სკოლა დავინახე. უსიამოვნოდ მომეკუმშა გული, ის კოხტა დარბაზს კი არა, დანგრეულ ქოხს ჰგავდა და უკანასკნელ ღატაკი გლეხის სახლიც კი მასთან შედარებით მშვენიერი დარბაზი იყო.

— დავიჯერო ის არის სკოლა?—შეეკითხე ჩემს თანამგზავრს გლეხს.

— დიახ, ქალბატონო, ის გახლავთ!—

— ამ დანგრეულ შენობაში ბავშვები როგორ გასძლებენ ზამთრის ყინვასა და სუსხში? ამოდენი მცხოვრებნი ყოფილხართ და ერთი კარგი შენობა ვერ ააგეთ? —

— სადა გვაქვს შეძლება, ქალბატონო, სხვა ვაი-ვაგლახსაც ვერ უძლებთ, კიდევ დალოცოს ღმერთმა სკოლის აშენებაზედ ძალას რომ არ გვაყენებენ—მხოლოდ ამ სიტყვების შემდეგ დავუწყე განსაკუთრებითი ყურადღებით ცქერა ჩემ თანამგზავრ გლეხის სახის გამომეტყველებას. რა უსიამოვნო შესახედავი იყო მისი უშნო სახე, მოხრილი წელში, დაკორჭილი ხელები, დაუვარცხნელი თმა-წვერი, ჭუჭყიანი დაფლეთილი ტანსაცმელი, ტალახიანი შიშველი ფეხები. მის დანაოჭებულ შუბლზედ ვერავითარ გონებრივ გამჭრიახობას ვერ შეამჩნევდი. მიბნედილს ჩაღრმავებულს თვალებში სიცოცხლის ძალა არ ბრწყინავდა.

გონებით დაბალღმებული, უსიცოცხლო მანქანას წაჰგავდა, რომელიც თვით ვერას მოიმოქმედებს, თუ არ უბრძანე. შემებრალა ეს სიცოცხლეს მოწყვეტილი არსება, რომლის გონება დაუხშვია ცხოვრების უსამართლობას და ფიცი დავსდევ —არა თუ იმ ქოხში, რომელიც სკოლის სახელს ატარებდა, ხის ქვეშაც—უთავშეა საფროდ აღვასრულებდი, აღვასრულებდი ჩემს მოვალეობას, ოღონდ პატარა გლეხნი, ეს ბურჯნი და მასაზრდოებელნი თვისი შრომით მთელ კაცობრიობისა, სიცოცხლესთან დამემეგობარებინა და ადამიანური გრძნობანი, უმაღლესი მისწრაფებანი ჩამექსოვა მათ ნორჩსა და უმანკო გულში.

მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ ეს სულის მისწრაფება დაჩლუნგებულ იარაღად გარდმექმნებოდა და რწმენა—იმედი უღვთოდ უფსკრულში დაიმარხოდა??

—

ფეხ დამსხვრეული სკამები ბავშვთათვის, ჭუჭყისაგან გაშავებული მაგიდა, ერთი ფეხებ დაზიანებული სკამი და დაფა, რომელსაც რაღაც მანქანებით შავი ლაქა გადასცლოდა, შეადგენდა ჩემი სკოლის ავეჯეულობას.

კედლებსა და ჭერზე გაკრულ შპალიერის ნაგლეჯზე ობობას ქსელი იყო გაბმული და იალქანებივით ფრიალებდნენ. ორი ფანჯარა, რომელიც აღმოსავლეთის მხრივ ჰქონდა, საკმაო ნათელს ვერ იძლეოდა; სამ დამსხვრეულ მინის ნაცვლად ჭუჭყიანი სქელი ქაღალდები გაეკრათ, სახურავი ისე დაძველებული და დაფლეთილი ჰქონდა, რომ ბევრგან სინათლე ჩამოდიოდა.

— აი ჩვენი სკოლა, ვინძლო თქვენი ენერგიულ შრომით გააუმჯობესოთ ამის პირობები! —

— ეგ თქენზედ არის დამოკიდებული მამაო! სკოლის მმართველი თქვენა ბრძანდებით!—

— ეგეთ რამეებისათვის თავს არ ვიწუხებ—

თავს ზარი დამცა მმართველის ამ გვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა სიტყვებმა, ის იყო ახალგაზდა მღვდელი, სასულიერო სემინარიაში სწავლა დამთავრებული. პირველ დანახკით შემიყვარდა, რიგიანად მჯელობდა, გეგონებოდათ ზნეობისა და სათნოების მოყვარული, ხალხში სწავლა განათლების მსურველი მოძღვარი. გრძელი წაბლის ფერი ხუჭუჭა თმა, რომელიც თავის ქალას უფარავდა, იმ უსიამოვნებას არ გაგრძნობინებდათ, როგორადაც სხვა წითელ თმა-წვერიან მღვდლების დანახვას მოაქვს.

მისმა ქველურმა სიტყვებმა და მისმა პირველმავე დანახვამ პატივის ცემა მაგრძნობინეს მისადმი, რადგან ჩემს მფარველად ვრაცხდი და ვიმედოვნობდი. რა ვიცოდი, თუ ის საშინელი მტერი იქნებოდა ჩემი. ოქროს მოყვარული ყოფილიყო, მეკი სიმართლის მფარველად ვრაცხდი. არიან ადამიანები, რომელნიც გხიბვლენ გარეგნულ მშვენიერებით, მაგრამ, როდესაც გაიცნობთ მის სულის კვეთებას და ბოროტ ხასიათს, ზიზღით პირს იბრუნებთ, როგორც აფრიკულ მარჩობელა გველის დანახვაზედ მოიქცევით, რომელიც ათასგვარად აჭრელებულია და საუცხოვო სახილველია. ეგეთი ადამიანი იყო ჩემი სკოლის მმართველი. ბევრი საარგებლის მოტანა შემეძლო ჩემის თანამდებობით სოფელ ,,მეხირა''-ში, რომ ერთი მფარველი აღმომჩენოდა.

ეს უფლება არა მაქვს, დაწვრილებით ვუამბო ვისმეს ჩემი თავგადასავალი.

II

რა სურდათ, რად მაწამებდნენ? რად დაამცირეს ჩემი პიროვნება, რად ხმაროობდნენ ყოველ გვარ საშუალებას ჩემებრ სუსტს ქმნილებაზედ?!

რადგან დედ-აკაცი ვიყავ, მოიწადინეს ჩემი ფერხთ ქვეშ გათელვა. მთელი სოფლის ახალგაზდობა ჩემს ლანძღვა-გინების მეტს არას აკეთებდა, ჩემდამი შეურაცხოფის მოყენება გარდაიქცა მათ გმირულ საქმედ, რომელთაც მეთაურობდა ვილაც ყმაწვილი კაცი, რომელსაც ,,მასწავლებლობა'' ეთხოვა საბჭოში, მაგრამ რაღაც მიზეზებისა გამო მისი თხოვნა უყურადღებოთ დაეტოვებინათ, და ამით განრისხებული ჯავრს ჩემზე იყრიდა. ჯერ აზარად მოსვლოდა: ცოლად შევირთამ და ადგილი ორივეს გვექმნებაო. ამ მიზნით მაჭანკალი გამომიგზავნა. ერთი კვირის დაბინავებული არ ვიყავ, და ის აფთარი კაცი თვალით ნახულიც არ მყავდა. მაჭანკლის პირით მითვლიდა: სწავლული კაცი ვარ, კეთილშობილი გვარის და მდიდარი, აუცილებლად უნდა გამომყვე ცოლადო. მე გარდაწყვეტითი უარი შეუთვალე: მე აქ მოვედო მხოლოდ სკოლის სასამსახურო და მოზარდ თაობის გონების გასავითარებლად, მსურს ჩემი ქალწულება, ჩემი ძალღონე ამ დიდს საქმეს შევსწირო მეთქი. როდესაც ეს სიტყვები გადაეცა მისთვის მისსავე მოციქულს, აღელვებული ზღვასავით იწყო ღრიალი. თუ ბიჭი ვყოფილვარ მე, ვაგრძნობინებ მას ჩემს ძლიერებასო.

ხალხი მტრულის თვალით უცქერდა სკოლას, თვალის დასანახადაც კი ეჯავრებოდათ იმიტომ, რომ იშვიათად მოვლენიათ კარგი მავწავლებელი; საკუთარ ,,მე''-ს დასაკმაყოფილებლად ფეხთ ქვეშ გაუთელავთ წმიდათ-წმიდა, ცხვირ-პირ დამსხვრეული, გონება დაბნეული უბრუნდებოდათ სკოლიდგან მშობლებს თავიანთი საყვარელი შვილები, ამგვარ ცემატყეპისთვის ბავშვებს სკოლაში რად გაგზავნიდნენ, როდესაც თვით მშობლებსაც კარგად აქვთ ყოველივე ეს შესწავლილი!

ეროვნული

მეტად უკვირდათ და მადლიერნიც იყვნენ, რომ ბავშვებს ლმობიერად ვექცეოდი. მართალია, მოდიოდნენ რამდენიმე გონება დახშული მშობლები და მეუდრებოდნენ დასაჯე, გალახე ჩემი შვილი, უფრო ისწავლისო.

რამდენადაც თავდაბლად ვეპყრობოდი ბავშვებს, იმდენად ისინი უფრო ხალისიანად სწავლობდნენ, მაგრამ ეს კეთილი განწყობილება ჩემსა და მოსწავლეთ შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. წარმოიდგინეთ, სკოლაში მომავალთ აქეზებდნენ: იცელქეთ, ყურს ნუ უგდებთ მასწავლებელს და თუ რომელიმე თქვენგანი დაისაჯოს, ჩვენ გვითხარით, მის სეირს გიჩვენებთო. ამ გვარ დარიგებით როგორც შემდეგში ვავიგე სკოლის მმართველმაც ბევრჯერ მიჰმართა ბავშვებს.

ერთს მშვენიერ ღამეს ჩემმა მტრებმა სკოლას ცეცხლი წაუკიდეს და რომ ახლო მცხოვრებთ არ გადაერჩინათ, ფერფლად იქცეოდა დახავსებული ქოხი. გული მიღონდებოდა ამ გვარ საზიზღარ მოქმედებით, მაგრამ სუსტი და უიარაღო ვიყავ გამხეცებულ ბრბოს წინააღმდეგ.

ერთხელ ღამით ჩემს ბინას ქვები დაუშინეს, შიშმა ამიტანა, მთელი სხეულით ავცახცახდი; ერთმა მოზრდილმა ქვამ ფანჯარა შემოამსხვრია და კანდელიც ჩამიქრო.

ვიწყე ყვირილი, რაც ძალი და ღონე შემწევდა, შემდეგ ესეც ვეღარ შევსძელ და გონება დაკარგული იატაკზედ გავიშხლართე.....

ქვების სროლა შესწყდა, მე გონს მოვიყვანეს. თავში ანთება გამიჩნდა, საშინელი ავადმყოფი შევიქენ, ექიმი საჭირო იყო, მაგრამ ექიმის ნაცვლად ვილაც მოხუცი დედა-კაცი მოათრიეს: დაიწყო ჩლიფინი თავის უკნაურ ლოცვებისაკენ. მიშველიდა?

მეორე დღეს ავდექ ფერ მიხდილი, და ვიდრე მაკადინობას დავიწყებდი, მმართველისაკენ გავეშურე.

— თქვენც კარგად ხედავთ ყოველივეს, რად არ მეხმარებით სუსტ დედა-კაცს, რად არ ალაგმავთ თავხედთა საქციელს, როდესაც ძალ გიძსთ?..—

— მე რა ვიღონო! რა ჩემი საქმეა!—

— როგორ თუ თქვენი საქმე არ არის! თქვენ ხართ სკოლის მმართველი და თქვენ უნდა ზრუნავდეთ სკოლისათვის.—

— ჩემთვის სკოლას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს!—

— ადამიანური, ზნეობრივი მოვალეობა ნუ გავიწყდებათ?—

— თქვენც უნდა იცოდეთ თქვენი მოვალეობა: თქვენზედ უფროსს პატივის ცემა ეკუთვნის.—

— ბითხარით რით შემიძლია პატივი გცეთ?

— გამოიღეთ გასამრჯელოთ ასი ვერცხლი! და საქმეს ისე მოვჩარხავ, უბატონოთ ხმა ვერ გაგცენ.—

— ღმერთო ჩემო, ვგონებ სმენა მატყუებს! რა სთქვით მოძღვარო?—

— თუ არ გნებავთ, არ გეხვეწები! საღმრთო წერილშიც სწერია: ყოველი მუშაგი ღირს არს თავის...

— საზიზღარო! მტარვალო! უზნეო ფარისეველო, მეზვერევ!—შევყვირე მე და თვალთ დამიბნელდა. ისეთი ზიზღი, ისეთი სიძულვილი დამებადა ამ ადამიანისადმი, რომ მზათ ვიყავ ვცემოდი და ფრჩხილებით პირის სახე დამეკაწრა. სწრაფლად გამოველ მის სახლიდგან, გადავწყვიტე მარტოდ მარტო შევბრძოლებოდი, ვერაგ ბრბოს და გარყვნილ ზნე დაცემულ მათ წინამძღვარ ელემენტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფეთა შორის ნიადაგი მოიპოვა ზნე დაცემულთა მოქმედებამ, სიყვარულით და მორიდებით აღარ იქცეოდნენ ისინი, შეეჩვევნენ ლანძღვა გინებას, გაკვეთილების დროს ვეღარ ვამყარებდი სიწყნარეს, იძულებული გავხდი სასჯელი შემომეღო მათ დასამშვიდებლად. ამის გამო მმართველი შემობრძანდა ერთხელ სკოლაში და ბავშვების წინ შემომწყრა:

— თქვენ უფლება არა გაქვთ ბავშვები დასაჯოთ, თუ რომელიმე ცუდათ იქცევა, მე უნდა მითხრათ და მე დავსჯი მათ! —

— თქვენ უფლება არა გაქვთ ბავშვების წინ დამამცիროთ, თქვენ ხელს უწყობთ მათ გარყვნილებაში. —

— როგორ თუ უფლება არა მაქვს, მე მმართველი ვარ. —

— მაგრამ არ ასრულებთ თქვენ მოვალეობას! —

— თუ გსურთ მასწავლებლათ იმყოფებოდეთ, ჩემი მორჩილი უნდა იყვნეთ, თორემ მიბრძანდით აქედან! —

— გთხოვთ თქვენს თვითონ მიბრძანდეთ აქედგან, დედა-კაცი ვარ, მაგრამ ჩემს მკერდს ქვეშაც სცემს გული! მოთმინებას ნუ მიკარგავთ, უმზგავსო მოქმედებით თქვენ გარყვნით ბავშვები, თქვენ გამხადეთ იძულებული ბავშვების დასჯა დამეწყო. მეზვერევ! ვიცი რაც გამოქმედებს, მაგრამ სიცოცხლეს მსხვერპლად შევსწირავ და თქვენს სურვილებს არ დავაკმაყოფილებ, ერთ ვერცხლსაც ვერ მიიღებთ ჩემგან. —

წავიდა და დამემუქრა. მე აღვწერე ყოველივე მისი მოქმედება და საბჭოს თხოვნა გაუგზავნე ყურადღება მოექციათ. ამაოდ! ჩემი სიმართლე დაჩაგრული იქმნა, თვით მევე მცნეს დამნაშავეთ და გამორიცხვითაც დამემუქრნენ, მმართველს ცილი რად დასწამე, რა საბუთებით დამტკიცებ ქრთამი მოგთხოვაო!

—

წამება იყო ჩემი სამსახური, მაგრამ ვითმენდი რუბენის საკეთილდღეოთ, ფულს ყოველ თვიურად ვაწვდენდი და ისიც განაგრძობდა სწავლას უნივერსიტეტში. ამით ვათავებ ჩემს მასწავლებლობის თავგადასავალს, დაწვრილებით ვერ აღვწერ, რაც წამება გამოვიარე, მხოლოდ ერთსაც მოვიხსენიებ: სკოლაში ერთი ბავშვი დაიარებოდა, მეტად გულკეთილი. ერთხელ სამი დღე ერთი მეორეზედ დააკლდა გაკვეთილებს, ვფიყავთ საქრობდი უთუოდ მშობლებს ყანაში დაჰმუშავოდ მეთქი, რადგან ამისთანა მაგალითები ხშირი იყო; ვკითხავდი ბავშვს: რად არ იყავი სკოლაში მეთქი, და მიპასუხებდა: არ გამომიშვეს სახლიდგან, სამუშაოდ წამიყვანესო. როდესაც ჩემი გულკეთილ მოწაფის ამბავი ვიკითხე, მითხრეს? მეტად ავად არისო და მეც დაუყოვნებლივ გავეშურე მის ბინაზედ. საზარელი სურათი წარმოიდგა, ბავშვი გახვეული ჰყავდათ ლოგინში, პირის სახეზედ გრილ ჰაერს არ აკარებდნენ, საბანი და ბალიშები ორ ორი დაეხურათ, პირზე გადავხადე და შუბლზე ხელი დავადევი თუ არა, შევატყე საბრალოს საშინელი ანთება ჰქონდა.

— ეს რა არის, ბავშვს სიცხე აქვს და თქვენ კიდევ სიგრილეს არ აკარებთ მეთქი! დავასველე ტილო და თავზედ, გულ მკერდზედ დავაფინე, საბრალომ ერთს წუთს საღავათი იგრძნო.

— დედავ მეშველა! — ყრუდ ამოიგმინა მან.

— ნუ გეშინის, ჩემო პაწაწავ, არა გიშავსრა, სიცხე გაივლის და მორჩები, მე ეხლა ექიმთან კაცს გავაგზავნი. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვბრუნდი, ერთს სახლის წინ შეგროვილიყვნენ ახალგაზდები, დამინახეს თუ არა, უწმაწური გინება დამიწყეს. ერთმანეთს რაღაც წასჩურჩურეს. ერთი მათგანი წავიდა სადღაც, არ გაუვლია ორ წუთს და გზაში გამოვარდა ორი ვეებერთელა ძაღლი, რომელნიც ჯაჭვით ყოყოფილიყვნენ დაბმული და ამ ახალგაზდებს აეშვათ. მეტად შევშინდი. საშინელმა მხეცებმა ტანთსაცმელი სულ შამომგლიჯეს და რომ ერთი მოხუცებული მგზავრი არ მომშველებოდა, უთუოდ დამკბენდნენ. ახალგაზდები კი მომჩერებოდნენ და სატანიურად იღიმებოდნენ. ექიმთან კაცი გავგზავნე... მოვიდა, მეც მომარჩინა და ბავშვიც, ბევრი ეგეთი სურათები მაგონდება ჩემს მასწავლებლობის ცხოვრებიდგან, მაგრამ არ ძალმიძს აწერვა, მათ მოგონებით ნერვები ეხლაც მეშლება და სახე საზარლად მემანჭება.

—

დადგა ის სანატრელი დრო, რომელსაც მოუთმენლად ველოდი. საზაფხულოდ დავითხოვეთ თუ არა ბავშვები, აღფრთოვანებული გავეშურე ქალაქისაკენ, დედასთან. ვფიქრობდი ჩემს ძმასაც ვნახავ და ჩემს რუბენსაც მეთქი, მაგრამ მხიარულების ნაცვლად დედის მწუხარე ცრემლები შემომეგება.

დავიღუპეთ, დათიკო საპატიმროში მოუმწყვდევიათ!—

— ვინ გითხრა, სიცრუე იქნება!—

— რუბენმა, შვილო.—

— განა რუბენი აქ არის?—

— აქ არის! დათიკოსავით არეულობაში კი არ მიუღია მონაწილეობა. ნეტავ მის მშობლებს, ნეტავ მის დედას, ვისაც გონიერი შვილი აღეზრდება. მდიდარი ცოლი შეურთავს და თან ჩამოუყვანია.

ეს რა სთქვი?!?—

. . . . . .

— საშიში აღარ არის—ბუტბუტებდა ექიმი როდესაც გონს მოველ. . . . გაჰქრა ყოველივე, შეუბრალებლად დამემსხვრა ტაძარი სიყვარულისა. ივდითიმ გაიგო თუ არა ჩემი ძმის დაპატიმრება და ბნელს მაღაროებში სამუშაოდ გაგზავნა, რაღაც სიმჟავით თავი მოიწამლა. ბევრი ცრემლი დავაფრქვიე ჩემს მეგობრის გვამს, საკუთარის ხელით მოვრთე მისი საფლავი ყვავილებით.

ერთხელ ქუჩაში მივდიოდი. თვალი შევასწარ რუბენს თავის მეუღლით და ზიზღით გადავაფურთხე მათკენ. ისინი კი ამაყად ჩასხდნენ ეტლში და სწრაფლ გაქროლეს.

მოხუცებულმა დედამ სიკვდილი ამჯობინა იმედ დამსხვრეულს სიცოცხლეს და მწუხარების მეოხებით ბნელს სამარეს ამოეფარა.

თავი გავანებე მასწავლებლობას, რადგან არავინ თანაუგრძნო ჩემს გულის თქმას. ეხლა საკუთარი შრომით „მრეცხველობით“ ვპოულობ ლუკმას არსებობისას. მსურს დავივიწყო წარსული, რადგან ამაოა წარსულზედ გმინვა. განა ამაოდ არ სტირის ისრაელი თვის დაკარგულ სამშობლოს ბედს? რად იგონებს თვით მტერთა მძლეველს ძლიერს მეფეებს. რისთვის უსმენს იორდანის ზვირთების დუდუნს? სასიამოვნოს რას უამბობს მისი იდუმალი ხმა? ამაოდ არ დასტირის სამშობლოს მოყვარული გმირი წინაპართა საფლავს? ამაოდ არ დასტირის ძველ ციხე-კოშკების ნაშთს, ამაოდ შესტრფის ძველ წესს და ადათს. აღარ სცოცხლობს მისი წარსული, იგი მხოლოდ ისტორიის ფურცლებს დაშთენია შავ ასოებად. წარ-

სულში აღარ ღვიკის სიცოცხლის ნაპერწკალი, მან აწმყოს და მომავალს უანდერძა სული და გული: ამაოდ დასტირის სატრფოს საფლავს კდემა მოსილი მშვენიერი ასული, მის შავ ღაწვთაგან გადმონაფრქვევი ცრემლი უხაოოფოდ ასველებს ცივს სამარეს, უსიცოცხლო ჩონჩხებს ის სიცოცხლეს ვერ დაუბრუნებს, ამაოდ ნუ იგონებს თვის მიჯნურის ტკბილს ალერსს, ნაზი გრძნობებით გამოწვეულს უმწიკვლო ამბორს. ამაოდ არ შესცქერის ვარსკვლავთ მრიცხველი ცის კიდურზე განთიადის დროს მოწყვეტილს ვარსკვლავს, ის აღარ გამოჩნდება... ტყვილად ნუ ეძებს ბნელ წყვდიადის მოყვარული ჭოტი ხეთა ფუღურეოებში სიბნელეს. ყველგან მისწვდება მას მზისა სხივი.

ამაოა წარსულზე გმინვა, არც მსურს მოვიგონო ნეტარების წუთნი, დროთა ვითარებისაგან ვაებათ ცვლილნი, მხოლოდ მომავლისაკენ მიპყრია თვალნი ცრემლთა ნთხევიდგან მხედველობას მოკლებულნი.

მიხეილ ბოჭორიშვილი.

1911 წ.

გვრინვა*)

ქთაში ვიყავით
სანადიროდა
მე და ბერდია.
მე ტახმა დამჭრა
სასიკვდილოდა,
მტკივა მკერდია.
ტახი მოვკალი,
სისხლით შეღება
დიდი ფერდია.
არავინ მიჩანს
წყლულის შამხვევი,
ვგდივარ ხევშია.
მე ვერა მხედავს
ამხანაგი
თითქოს ბეკია,
რადგან მის თვალ-წინ
გაშოტილა
მკვდარი მხეკია.
მიაქვს, შინ მიაქვს,
კუდა ვირით
ტახის ლეშია.
ცოლშვილს ალაღებს,
ცეკვავს, მღერის
ყანწით ხელშია
არ ვაგონდები,
თუ დაკოდილი
სადმე ვკვნესია—
სულის მაბრძოლი,
ღონე მიხდილი,
ულრანს ტყეშია.
თითქოს ცნობაც-კი
არ გვქონდეს
ერთმანერთშია.
ჰაი, ბერდიავ,
ძმაო ბერდიავ,
ეგ რა წესია?
ჩემ ცოლ-შვილსა
ხომ უყურებ
თუ რა დღეშია?!
ნუ თუ ღმერთი
აღარ არი
კაცო შენშია?!..

ვაჟა-ფშაველა.

*) მარტოკა მუშის მდერა მკის ან თიბის დროს ფშავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგი

ამ შენობას რო დავინახამ ხოლმე, უნებლიედ მაგონდება ტანჯული მგოსნის სიტყვები:

„იქ ერთხელ ქართველთ სიცოცხლე სდუღდა,

„იქ მამულისთვის ქართვლის ხმა ჰქუხდა!“.—

სთქვა ჩემმა თანამგზავრმა, როდესაც ქალთა სასწავლებელს მიუახლოვდით.

— ეხლა?!—შევეკითხე მე.

— ეხლა! ეხლა!—სასოწარკვეთილებით წაილაპარაკა მან, და უნუგეშოდ ხელი ჩაიქნია...

— ეხლა აი რა: მანდ პატარა ქეთინო სწავლობს, ყველაფერში ნიჭიერი გოგონაა, მარა რუსული, რუსული ჰკლავს... წარსულ მაისს, როდესაც ბავშვები საზაფხულოდ დაითხოვეს, ქეთინოს რუსულში გამეორებით გამოცდა დაუნიშნეს.

გულ-ჩათუთქული ქეთინო დაბრუნდა შინ. დედამ მისმა იფიქრა ვისათვის მოემზადებინებინა გოგონა და გადასწყვიტა იმავე სასწავლებლის მასწავლებლისათვის ეთხოვა.

— მე კი ვერ მოგიმზადებთ,—სთქვა მასწავლებელმა:

— და აი ჩემი და, ამას სთხოვეთ.

ქეთინოს დედისათვის ეს—სულ ერთი იყო, ვისაც უნდა მოემზადებინა, მასწავლებელს, თუ მის დას.

მოილაპარაკეს, შეთანხმდნენ ფასზედ და ქეთინომ კვლავ დაიწყო ყოველ-დღე მეცადინეობა.

მისთვის აღარც თამაშობა იყო, აღარც ტოლ-ამხანაგი, აღარც სეირნობა:

დილით მასწავლებელთან დადიოდა, სადილ შემდეგ თავის გაკვეთილებს ჩაჰკირკიტებდა, ზაფხულის პაპანაქება, ხომ იცი რაცაა!?

იმ სიცხე პაპანაქებაში სწავლობდა ქეთინო.

აგერ მარიამობის თვის ოციც დადგა.

ამ დღეს ქეთინოს დანიშნული ჰქონდა გამოცდა.

გულის კანკალით წავიდა გოგონა სასწავლებელში, გულის კანკალითვე შეეიდა კლასში... ჰკითხეს, დაითხოვეს შინ.

ორი დღის შემდეგ სასწავლებლის დერეფანში გამოკიდებული იყო სია იმ შეგირდთა გვარებისა, რომელთაც გამოცდა დაიჭირეს და შემდეგ კლასში იქმნენ გადაყვანილნი.

ქეთინო იგივე თრთოლვა-შფოთით წავიდა თავისი ბედის გასაგებად.

თრთოლვით მიუახლოვდა სიას, შეედგა პაწაწინა ფეხების ფრჩხილებზედ და...

— ღმერთო, ღმერთო, გადავედი!

აღმოხდა გულიდგან აღმაფრენი ხმა.

მორბის ქეთინო შინ გამალებული, სრულიად დაავიწყდა მასწავლებლის დარიგება, ქუჩაში სირბილი არ შეიძლებაო.

მოხტის სიხარულით აღსავსე, მთლად ოფლში ცურავს.

გაირბინა ქალაქის ბაღი, მირბის ზემო ბაზარზედ და ბღლარძანით შეაჯახუნა თავიანთი ალაყაფის კარი.

დედა მისი აივანზედ ლოგინს ბღერტდა.

— დედილო, დედილო, გადავედი, გადავედი!

ეხვევა ქეთინო მუხლებზედ დედას, ჰკოცნის, ეალერსება.

ეროვნული

დედაც კმაყოფილებით უკოცნის ქეთინოს ლამაზ თვალებს, გულში იკრავს პირმშოს.

— ისეთი ახალი ფორმის კაბა შეგიკერო, შვილო, რომ ყველას თვალი ზედ დარჩეს. მამაშენს მავწერ, თბილისიდგან ნუკრის ტყავის ჩანთა წამოგიღოს წიგნების ჩასალაგებლად.

უხარიან ქეთინოს, სიხარულით ერთ ადგილას ვერ გაჩერებულა, დარბის, ხან ამხანაგებთან შეირბენს, ხან მეზობლებისას: ყველას უზიარებს თავის ბედნიერებას.

საღამოებით დედას სასეირნოდაც დაჰყავს ქეთინო, ხან ბაღში წაიყვანს, ხან „ნადიკვარზედ“. სცდილობს აუნაზღაუროს დანაკლისი, ზაფხულის მშვენიერ საღამოებით ფეხ-მოტეხილ კატასავით რომ ეჯდა შინ.

— შვილო, ხვალ შენ მასწავლებელს ფული წაუღე, ერთი თვისა კიდევ ერგება.

— წაუღებ, წაუღებ, დედილო!

ქეთინოს რაც კი რამ საუკეთესო აქვს, მასწავლებლისათვის ემეტება.

აგერ, ეზოში რო კომში უდგათ, ათი კომში აქვს შეთვალიერებული მასწავლებლისათვის.

დედაც ყველაფერზედ კვერს უკრავს.

— ჰო, შვილო, ვაშლებიც წაუღე, მსხალიც, ვენახს რო დავკრეფთ, ყურძენიც მიართვი, აკიდოები ააჭრევინე პართენას, ჩხებიც.

ოხ, რა თამამად მიდის ქეთინო მასწავლებელთან ფულით. რამდენჯერ მოაგონა მასწავლებელმა, მაგრამ ქეთინოს დედა გამოცდის შედეგს ელოდა. ფიქრობდა გულში:

— დაიჭერს—მივცემ, არა და ფული რიღასთვის დავკარგო, ერთი თვისაც ეყოფა, რაც მივეცი.

ორმა კვირამ საჩქაროდ გაიარა, სწავლა დაიწყო.

ამაყად მიდის ქეთინო სასწავლებელში, ყოყოჩობს: პირველი კლასის მოწაფეა. მივიდა, მიეხვივნენ ამხანაგები, ულოცავენ... მინამ ზედამხედველი აჩვენებს ყველას თავის ადგილს, მოწაფეები თვითონ ირჩევენ საუკეთესო ადგილს.

ქეთინომაც ამოირჩია.

გაისმა ზარის წკრიალი. კლასები მოწაფეებით აივსო.

— შენ აქ რადა ხარ, ქეთინო?

ეკითხება ზედამხედველი გოგონას.

— მაშ სად უნდა ვიყვე,—ფიქრობს ქეთინო, თანაც ღიმი უკრთის ლამაზ ტუჩებზედ.

— გადავედი!

უპასუხებს.

— არა, ქეთინო, აი ჩემს სიაში არა ხარ ჩაწერილი.

— როგორ არა, გადავედი.

ქეთინო კვლავ იღიმება, ჰგონია—ეხუმრებიან.

— არა, ქეთინო, მართალს გეუბნები, შენ გამოცდა ვერ დაიჭირე, დარჩი.

ქეთინო ფითრდება და სასომიხდილი დაეცემა.

— წყალი, წყალი... სუთ... ნუ ყვირით... ჩქარა, ჩქარა... წყალი...

და ზედამხედველი კაბას უხსნის ქეთინოს, ხელს უსვამს საფეთქლებზედ.

როდის როდის მძლივ მოასულიერებენ ქეთინოს და ეტლით დედას წაჰგვრიან.

—

სასწავლებლის დერეფანში მასწავლებლებს თავი მოუყრიათ და ერთი ალიაქოთი აქვთ.

— ვინ გადაწერა სია, ვინ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკითხებიან ერთმანეთს.

— მე,—ბრძანებს ქეთინოს ზაფხულის მასწავლებლის და.

— განგებ მოვათავსე გადაყვანილთა სიაში.

— როგორ, რისათვის?

ეკითხებიან.

— ასე რომ არ მოვქცეულიყავ, ჩემი და ერთი თვის ფასს ჰკარგავდა...

ოხ! საზიზღრობავ!..

ეხლა ხომ იცით,—დაათავა ჩემმა თანამგზავრმა:

— ეხლა მხოლოდ ეს ღა შემიძლია ვსთქვა: გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, მშობლებო!! თქვენი შვილები განსაცდელში არიან იქ, ასეთი პედაგოგების წყალობით უფსკრულს მისდგომიან და...

პ—ლი მ—ნი.

ბუნების ელვარებაში

ახლად ამდგარი პირს ვიბან,
ვმუშაობ გამალებული,
გარეთ კი ჰარმონიაა
ციურად შეთანხმებული.
ისეთი მშვენიერია,
რომ ველარ ვდგები ოთახში
და ხელპირ შეუშრობელი
გავრბივარ საამო ბაღში.
ბალახზე ნამი ცქრიალობს,
საამურია ბალახი!
შავად ედება ვერცხლის ზღვას
ჩემის ფეხების ნალახი.
მზე ჩამაჩერდა თვალებში,
ამოფეთქილი ცეცხლადა;
მთებს ოქროს წყალში აცურებს,
ფოთლებს აბზინებს ვერცხლადა.
ყოველგან ისმის გუგუნი,
სიცოცხლის გამოძახილი:
ბულბული ჰანგებს აჭრელებს,
ისმის ჭიკჭიკი, ძახილი...
ბუნებას ეხარებიან,
გააქვსთ ფრინველებს ჟღურტული,
ჰკოცნიან ერთი მეორეს,
დაჰქრიან, როგორც შურდული.
დაჰბერა გრილმა ნიავმა,
ბალახი შეაშრიალა,
მწყერმა მიუგო ჭუკჭუკით,
ტოროლამ შეიფრთხიალა,
და მაღლა მაღლა წავიდა
მომჯადოვებელ ტრიალით...
ვუყურებ, თვალი ზედ მრჩება,
ვუყურებ გულის ფრიალით.
ოჰ, ნეტავი მეც შემეძლოს,
შენებრ გავნასკვო ჰანგები
და ღირსეულად შევამკო,
რაც არის ქვეყნად საქები!
აქ, ძირს მდელოზე გაშლილა
ხალიჩა აჭრელებული,
აქ ბალახია, ზედ ცვარი,
იქ ჩიტი ამღერებული...
მოჭიმულია სიმები
საღმერთმსახურო ქნარისა,
წარმტაცად უკრავს ზედ სიო,
უბადლო შვილი ქარისა...
ადამიანიც წილს იდებს
საერთო ნეტარებაში
და იკლავს თავის გულის დარდს
ბუნების ელვარებაში.

ს. აბულაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთში

როცა სიო მოთამაშობს,
გულს უკოცნის მთა და ველსა,—
ტყვილათ ვხარობ! მე არ მეტყვის
ამბავს ახალს და არც ძველსა!..

როს ბუნება აღარ ჰშფოთავს
ერთად სძინავს ცხვარს და მგელსა,—
ჭოტი ჰკივის... არც ის ამბობს
ჩემთვის ახალს და არც ძველსა!..

როცა სთოვს და ქარი ღმუის,
და გრიალებს გულ საკლავად,
მგელს ცხვარი ჰყავს შეპყრობილი
შესაჭმელად და სახრავად,—

მაშინ რაღას გავიგონებ,
დამესხმება სულ მთლად რეტი!..
ეს ქვეყანა ჩემთვის ყრუა...
რაღა გითხრა ამის მეტი!..

ვარლამ იმერელი.

ნოემბერი 1912 წ.
თავისუფალი სვანეთი.

სტუდენტის ცხოვრების ნაწყვეტი

ბედმა მრავალ პატიჟთან ერთად ერთი სადარდებელი კიდევ მომიძღვნა. ეს არის საჭიროება ბინის მოძებნისა.

იქნება გავაცინოთ ჩემმა სევდამ? ვინ იცის გეგონათ მოგიყვებოდით საიდუმლო მისტერიებისას, ან ამაოებათა ორგიებისას, ან მისტიურ სიზმრებისას?

შეგიძლიან სიცილადაც არ იმყოფინოთ, ჩვენ-კი ხელ-მოკლე სტუდენტებს ბინის საკითხი დამოკლის მახვილივითა გვაქვს წინ დაჭიდული და სულ მას გვაგონებს, რომ შეიძლება უოთახოდ დავრჩეთ რუსეთის მკაცრსა და ყიამით ზამთარში; შეიძლება ისე ვფშიკოთ ფეხები, რომ ძე ხორციელმა არა გაიგოს რა.

მართლაც, ადვილი საქმე ხომ არ არის სახლის შოვნა იმისთვის, რომელიც ქირად ხუთ მანეთის მეტს ვერ გადაიხდის, მაშინ, როდესაც თხუთმეტ მანეთადაც ძლივს იშოვნი. ჰო და რა ფასითაც ვაპირებ ოთახის დაქირავებას, როგორ მაკადრებენ ქალაქში ცხოვრებას.

მეტი ილაჯი არ არის, უნდა ქალაქის განაპირებში ვეძიო. მართალია ავდრიან დღეს ქუჩები მიუვალ მორევად გადიქცევიან და ლაზარესავით მარად წვიმაწუნწუხით გაზუზვნილი ვიქნები, მაგრამ რა გაეწყობა, ხომ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: სიღარიბემ დიბის კაბა მაცვეთინაო. მეტი ჩარა არ არის. ზლაზნითა და ტაატით გავწიე „შავი ქალაქი-საკენ“.

მრავალ ადგილას შემიტყუილეს ხელ-მისაწვდომ ფასად ქირავდება ოთახიო.— მაგრამ პირ-კატა მეცემოდა ხოლმე, როგორც კი პირობებს გავეცნობოდი. სწორედ მამასისხლობაა, მამასისხლობა...

ბევრი წანწალის შემდეგ შევედი ერთ ეზოში. წინ შემეხეჩა დედა-ბერი.

— სახლს ეძებთო!—იმ ხმით შემეკითხა, თითქოს მოშლილი საათი ჟღრიალებდეს.

დასტური მივეცი და მივყევი ფეხ და ფეხ, თუმცა არაფრად მეპრიანა, რომ დავთარ დაკარგული დედაბერი მეყოლებოდა დიასახლისად. ჯოჯოხეთს ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუგუზალი აკლდა და ისიც წასჩარესო, არა, ჩემი ტიალი ბედი არ მეყოფოდა სევდის-პირულის მთქმელად, რომ ახლა ამ ბაიყუშის მზერით არ გამეწყალებინა გული?

დიდი კრუსკრუსის შემდეგ შემიყვანა ერთ კუთხეში, რომელიც კუბოს უფრო წაგავდა, ვიდრე ადამიანის სავანეს... ის „ოთახი" ისე იყო ჩამობნელებული, რომ საღამოს სამ საათს ლამპრის ანთება დამჭირდებოდა. „შპალიერი" ისე გახუნებულ-გაჭუჭყიანებული, რომ თუ ხელს არ წაუსომდით კედელს, ვერ შეამჩნევდით მის არსებობასა.

— ოთახი კარგია—ტუტუნებდა დედაბერი. ნათელი, სუფთა. ქირაც იაფი. სულ რვა მანეთიო. მოვისმინე ფასი თუ არა გესლიანად გავიცინე.—ისემც ღმერთი გაგგუდავს მეთქი—შეუკურთხე ქართულად და ის იყო კიბეებზე უნდა დავშვებულიყავი, რომ აივანზე გამოცქრიალდა ახალგაზდა ქალი... მისი მარჯნის ტუჩები სამოთხის ღიმილს გაეპო... მუნითგან კბილები ელვასავით გამოკრთოდნენ... ცისფერი თვალები მომჩერებოდნენ და საიდუმლოდ მიცინოდნენ... თბილმა გრძნობამ დამირბინა ტანში... რამდენიმე წუთს გაუნძრევლად ვიდექი. შემდეგ შევიხედე ოთახში. წარმოიდგინეთ. იგი ისე ბნელად და ვიწროდ აღარ მეჩვენა... რაღაც ჯადოსნურ ძალას გაეგანიერებინა, გაესხივოსნებინა...

ბიჭოს!.. დედაბერიც კი, რომელიც რკალსავით მოხრილიყო, წელში გაშლილად, გრაციოზიანად მოსჩანდა...

— კარგი, ძალიან კარგი ოთახია. ქირა ხომ ისე მცირედია, რომ სალაპარაკოდაც არა ღირს — განაგრძობდა დედაბერი...

თუმცა პირველ აზრში უკვე დავეთანხმე. ოთახი ლამაზი იყო (შეხეთ სასწაულს!) არც თუ ქირა მეძვირებოდა, მაგრამ რა გამახსენდა, რომ მის გადახდასაც ვერ შევძლებდი... მწარედ დავღონდი... რა ბედნიერება იქნებოდა ამ ქალის მეზობლად ცხოვრება გავიფიქრე და სევდიანად შევხედე მას.

ზოია (სახელი იმ ქალისა) მიმიხვდა დარდსა და დედაბერს უკრაინულად სთხოვა:

— Люба моя бабуню! Це дуже незаможный студент, будь ласка, віддайте йому кімнату за 5 карбованців *).

დედაბერი თუმცა პირველად დიდ გაჭირზე იდგა, მაინც დაიყოლია და დაითანხმა ჩემ მფარველ ანგელოსმა. მხოლოდ მაშინ დავრწმუნდი, რომ ქალები ლმობიერნი და გულ-ნაზუქნი არიან.

სიხარულით მივეცი ბე და იმ დღესვე გადმოვბარგდი.

ზოია ისეთი გრძნებიანი აღმოჩნდა, რომ სულის სიმშვიდე მომკვეთია. მაგრამ განა სადარდებელი იყო ესა?

გრძნობის კალმით გულის ფიცარზე დავიწერე.

„ვისცა გამარჯვების ალპარეზთა შინა საწადლის დროშისა გაშლა უნდა, მართებს დიდად გაისარჯოს და განსვენებისა და შვებისაგან ხელი აიღონ **).

სარკმელთან ვიწყე მეცადინეობა... საკმარისი იყო შემომსმოდა ოდნავი შრიალი, რომ თვალები მისკენ გამეცეცებინა.

ზოია კი მერცხალივით გაიფრთხიალებდა ხოლმე და მიმეფარებოდა თვალთაგან.

გულში ღარღლად ჩამყვა, რომ უკვე

---

*) ძვირფასო ბებია! ეს დარბი სტუდენტია, იუკვი სათნო, ხუთ მანეთად დაუთმე ოთახიო.

**) „ქიდილა და დამანადან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრე დღე სრულდებოდა და მას ფარსაგად არც კი გამოვლაპარაკებულიყავი.

თუმცა რვა საათამდის გაკვეთილის მისაცემად ვიყავი ხოლმე, მაგრამ მივატოვე და მზიურა მოველი შინა.

ამოუჯექი სარკმელს. გამოხდა ხანი. დაღამდა. ლამფა ავანთე... ნაპერწკლებმა ზედი-ზედ ტკაცანი დაიწყეს. დახეთ ბედსა! ნავთი გამოლეულიყო. მეკი ჯიბეში გროშიც არ მიჩხაოდა. რა მეშველებოდა? იმას კი არ ვჩიოდი, რომ მეცადინეობას მოვცდებოდი. არა. მას ჯანი გაჰვარდნოდა. ის მაწუხებდა, რომ რაკი ზოია ჩაბნელებულ ოთახს დაინახავდა—ახლოს არ მომეკარებოდა... არა, ამ სიღატაკეში რა მესიყვარულებოდა? უნდა ვცდილიყავი, რომ ლამფა არ ჩამქრობოდა. მაგრამ როგორ? უცბად საუცხოო ხერხი მოვისაზრე. ლამფა ჰაერში ავატოკე. შიგ მცირეოდენ ნავთმა ჭყან-ჭყარი დაიწყო. სჩანდა პატრუქი არა ჰყოფნიდა. ავდექი და წყალი ჩავასხი. ნავთი მაღლა ამოტივტივდა და შუქმაც იმატა.

ყოჩაღ, ჩემო თავო! გაჭირვების ტალკვესი ვყოფილვარ რაღა! მართალია, ბედი სამსალით მიმასპინძლდება, მაგრამ მას სიტკმოების ჭაშნიკად გადავაქცევ.

ჩემმა გულმა არა ჩვეულებრივი ძგერა იწყო. მევე მიკვირდა, რომ სიყვარული შემომეპარა ქურდულად, ძილივით... ჩემს ოცნების ბუჩქებზე კუპიდონებმა იწყეს ფრთხიალი.

შემომესმა ფეხების ბაკა-ბუკი... ზოია ანარნარდა ჩემ სარკმელთან...

— შე გიჟო, ამდენ ხანს რად მალოდინე მეთქი—უნდა მესაყვედურნა, მაგრამ გამახსენდა, რომ იმ ზომად არ ვიყავი დაახლოვებული და თავი შევიკავე.

მისი თვალები კი აბრეშუმის წამწამთა ქვეშიდან მიცინოდნენ... გაუბედავად მესროდნენ ტრფობის ისრებსა...

მისი შაქრით დატიტული ტუჩები ტიკ-ტიკებდნენ შეუსვენებლივ... თვით პირდამუწულსაც კი ააღლადებდა მისი კენარ ტანადობა...

მისი კისკისი თახთახს მაწყებინებდა. სხეულის ყოველ ნაკვთს ტეხა გაჰქონდა. თვალებში სისხლი მაწვებოდა... ვგრძნობდი ვნების გველები ყელს შემომხვეოდნენ... სულს მიხუთავდნენ...

მისი გული კი ჩემს გამოსაჯავრებლად გაიძახოდა:

— „ვერ აკოცებ, ვერ აკოცებ“.

შეხეთ ამ ეშმაკსა! ერთი ბეწო გულიც რომ მე ამხედრებია.

კარგად დავინახე, რომ გული საგულედან ამომხტარიყო, მის მკერდზე ნავარდობდა და ცელქი ბავშვივით ნიშნს მიგებდა: „ვერ აკოცებ, ჰე, ჰე! ვერ აკოცებ“-ო.

ეს კი მეტის მეტი იყო... გავხელდი... ხუმრობა ხომ არ არის თავმოყვარეობის შელახვა... ამგვარი შეურაცხყოფის მოთმენა ხომ უხამსია რაინდისათვის. სარკმლიდან ცერად გადავიხარე და მიბნედილი ხმით წავჩურჩულე: აბა იმ ვარსკვლავის კრთომას შეჰხედეთ მეთქი. მან თავი მაღლა ასწია და ატლასის ფერ ღაწვზე კი აღმოვსკვენ კოცნა.

ზოია ათრთოლდა, როგორც თრთის დილის სხივებით აციმციმებული ტბის ჭევლი და ხელიდან გამისხლტა...

ნუ თუ შემრისხა?.. არა მგონია. თვალი მოვკარი, რომ მის ღაწვს ღიმილი დასთამაშებდა...

თუმცა ოცნების წალკოტში ნავარდობა აღმესპო, იგი ღიმილი მამცნებდა, რომ შებრალების კარები მალე აღიხვებოდა...

—

... მეორე დღეს ის იყო უნივერსიტეტში წასვლას ვაპირებდი, რომ ოთახი

ეროვნული

დამიკაკუნეს... გავიხედე და... ზოია დავინახე სამგზავრო ტანისამოსში გამოწყობილი... ბიჭი ერთ დიდ გვადრუცს მიათრევდა ოთახიდანა...

კითხვითი ნიშნად გადაქცეული შევყურებდი ზოიასა და ვერ მივმხვდარიყავ, რა ამბავი იყო. დედაბერი ფუსფუსით მოსდევდა და ჩიფ-ჩიფებდა: დაგიგვიანდება—ზოია, დაგიგვიანდება სადგურზედაო. ჩემს წინ ქანდაკებასავით მდგარი ზოია შეკრთა, თვალები დარცხვენით მომაპყრო და გაუბედავად მომმართა: მშვიდობით, სოფლად მივდივარ დედასთანაო. მყას შევსწრფი... თვალების ბაიები გამიგანიერდნენ, გარნა ვერაფერს ვხედავდი...

რით უნდა ამეხსნა მისი ესდენ მოულოდნელი გამგზავრება. ნუ თუ წუხელ იცოდა ყველაფერი და არკი მაცნობა? ის საიდუმლო ღიმილი, რომლითაც წუხელ დამშორდა რას ნიშნავდა? ნუ თუ ქალი მართლა სფინქსია?

დიდხანს, დიდგანს ვიდექი გაოგნებული... ჩემი სენაკიდან მყის გაფრინდნენ სიმხიარულე-სიმალხაზის ჩიტუნეები. სამარის თალებსავით კვლავ მოპირქუშდნენ კედლები... სინესტის სუნმა შემაზრზენა...

უცბად მომაგონდა, რომ ოცი დღე, სრული ოცი დღე კიდევ უნდა მეცხოვრა იქა და უარესად შემაურვა... ხომ ვერ დავთმობდი მთელი თვის ქირასა მაშინ, როდესაც სიღატაკის კვერცხში ვწიოდი.

ღმერთო ჩემო! თუ აქამდის როგორმე ვიშვნევდი ამ ოთახში ცხოვრებას მხოლოდ იმიტომ, რომ ზოია მყავდა მეზობლად. დღეის წალმა კი, მარტოობის კვამლით შებოლვილმა ვითლა შევიშვნიო? ან ვით გაუძლო დედაბრის ლაშ-ლაშსა?

დ. თურდოსპირელი.

ᲛᲝᲯᲐ

... ცაში ისმოდა ანგელოზთაგან
ხმები:—„ოსანნა მაღალთა შინა,
იშვა მესსია, მაშვრალთა მხსნელი,—
მართალ-მსაჯული ხალხს მოევლინა!“

—„მართ ოდენ, ერნო,
თქვენ უცოდველნო
თაყვანი ეცით მესსიას მხსნელსა,
თქვენ-კი ცოდვილნო,
შურით აღვსილნო,
ძრწოდეთ... ეკრძალეთ ყოვლის მეტყ-
ველსა!“

—

... გაჩნდა ვარსკვლავი... ბუნებას ამ-
ანგელოზების ხმა ზეციური... [კობს
და მოვიდიან მოგვნი დიდებით,
მოაქვთ: „გუნდრუკი, ოქრო და მური“...

მწყემსებიც ვლიდნენ მოგვებთან ერთად
თაყვანისცემად ქრისტე-ჩჩვილისა,—
გამოქვაბულში, ფიცრის ბაგაზე,
ბრწყინვალე სხივით აღვსებულისა!...

—

... იყო დრო შვების... განთიადისა
სხივი ნათელი ხალხს მოევლინა...
ცაში ისმოდა ანგელოზთაგან
ხმები:—„ოსანნა მაღალთა შინა“!

ლადო გეგეჭკორი.

დეკემბერი 1908 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამსხვრეული ბედნიერება

(სტუდენტების ცხოვრებიდან)

ვუძღვნი დ. თურდოსპირელს

I.

ეემოდგომის სუსხიანი დღე იყო. საშინელი ქარიშხალი იყო ზღვაზე ამდგარი. მენავეები ვედარ ბედავდნენ თავისუფალ ნავარდს. ცოტა და ზამთარი თეთრ სარეცელში გაახვევდა ქალაქს.—მაგრამ ყოველივე ამისა დიდი ყრიამული იყო მოსეირნე ხალხისა. ეტლების რახა-რუხი, ტრამვაის ქშენა, და შორს ნავთსადგურში გემების წივილი, სწორეთ მომბეზრებელი გამხდარიყო მოსეირნე საზოგადოებისათვის.

საღამო ყამი იყო, და ნიკალაევის „ბულვარი“ გაჭედილი იყო მოსეირნე ქალ-ვაჟ სტუდენტებით—და მათი სიცილ-ხარხარი, უცნაურ ზიზღს იწვევდა მაყურებელთა შორის... მოამდო ადგილზე მწყობრათ უკრავდა სამხედრო მუზიკა. და იქვე ახლოს შანსანეტკები თავიანთ კეკლუც ოამაშით ხიბლავდნენ ყველას. და რასაკვირველია, სასტუმრო ბატრონსაც, რომელსაც იჯარით ჭქონდა აღებული ეს სასტუმრო, ზღვის პირას, და რომელსაც განგებ, საზოგადოების მახეში გასაბმელათ, ჭაუდა დაქირავებული ეს მოსიმღერ-მოცეკვავე ქალები, დიდი მოგება რჩებოდა: აქ ნახავდით თქვენ, ყველა ტომის ხალხს, რომელთ სახეზე მხიარულების დიმი ჭკრთოდა.

ბულვრის წინ, ზღვის პირას, ორი ახალგაზდა ქალ-ვაჟი ისხდნენ და ყურს უგდებდნენ ზღვის ტალღათა სრბოლას, მომხიბლავ, ჭაელოვან სიმღერას, და სდუმღნენ, სდუმღნენ ისე, ვით სათვალავის ლოდნი, ვითა სეინქსნი, უძრავათ მდგარნი.

ახალგაზდა ვაჟი ასე 23 წლისა თუ იქნებოდა. და ის უკვე მესამე წელიწადია რაც ადელაშია. მუდამ წუხარი და დინჯი. მისი სახე, მისი ახალად გათეურჩქნული ულვაშები, ნათლად ამტკიცებენ მის ქართველურ გამომეტეველობას.

—რათ ჩათიქრდი ასე მწარეთ. ლევან? შეეკითხა ქალი.

—არაფერი ისე... წარსულმა დამძლია, და შორს, შორს სამშობლო მხარეს გამსტეორცნა. ლია! შენ რო მნახო ჩვენი კუს გზით მავალი ქვეყანა, უნებლიერ ცრემლები წამოგივა, და მწარეთ დაჭგმობ შენ წარსულს.

—ლევან, რა სულ სამშობლოზე თქრობ. შენ ჩვენი მოამავალი ბედნიერება გაითვალისწინე. რა სიხარული მოგველის ჩვენ. შენ ხომ ორი წელიწადი გიკლია. რა ბედნიერები ვიქნებით მაშინ... ლევან, თუ შენა გსურს, მოვინათლები...

—ოჭ ჩემო ლია, ჩემო ყველავ, და ლევანმა მძლავრი, სიყვარულით სავსე კოცნა დაკრა...

—ოჭ, ჩემო... იმედო... ჩურჩულებდნენ ლევანის ბაგენი...

—მიყვარხარ შენც... ლევან... გულის სიღრმიდან ადმოხთა ლია, მიყვარხარ მთელი ჩემის არსებით... შენ შემოგწირავ ჩემ უკანასკნელ სულის კვეთებასაც... ჩემ საუკეოესო ტრფობის ხანას... შენ დაგიგებ თვინდაზად, ჩემო ლევან, ჩემს უმწიკლო, გრძნობით სავსე გულს.

—ოჭ, ჩემო დმერთავ... რომ იცოდე ლია, რა ბედნიერი ვარ ახლა... ნეტავ სულ ასე გაგრძელდეს!.

—როგორ?.., ელდა ნაკრავსავით წამოიძახა ლიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერი... ისე... ლეე გაგრძელდეს ეს ბედნიერება .. დაუსრულებელი შეიქმნეს...

და დიდხანს, დიდხანს იყვნენ ისინი კვლავ ჩუმათ... უსიტყვოდ ფეთქდა მათ გულში სიყვარულის ძარღვი...

ბულვარი დაცარიელდა. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.

— წავიდეთ, ლია. ჩასჩურჩულა ლევანმა.

ლია მხოლოდ ახლა გამოირკვა ამ ოცნების ქსელიდან... ოფონათ გატაცებისაგან...

და მას სურდა ასე გაგრძელებულიყო ეს დრო, ეს ყამი ტრფობისა.

ის წამოდგა ზანტად.

და ლევანთან ერთად ხელ გაყრილი სახლისაკენ წავიდა.

ქუჩებში შეხვდებოდნენ გალოთებულ, არეული გათოშილ „ბოსიეკა“ და მეძავ ქალებს.

— ლია, ჩასჩურჩულა კვლავ ლევანმა, ხედავ, თუ სად იძირება წმინდა უმანკოება, მოშავლის გემი იმედოვანი . . . . . .

. . . . . .

ლევანმა მიატოვა სახლამდე და წამოვიდა.

მოდიოდა და თან ფიქრები, შავი ფიქრები არ ასვენებდა. ის დარიბის ოჯახის შვილია და კარგ თბილ სამანშიც გაეხვია ახლა. მას შეეძლო ოჯველივე ხელთ ეგდო, ესწავლა ლიას ფულებით.

და მერე კი ლიას თუნდ, ჯანდაბამდისაც გზა ჭქონია!.

მას აგონდებოდა სატრფო თვისი, მშვენიერი თამრიკო, რომელიც ვინ იცის, თუ რა ადგრთოგნებული მოელოდა მას. მან თამრიში ჩამარხა ოფველივე. მას სურდა მასში განეხორციელებინა თავისი საკუთარი „მე“, მაგრამ აქ უეცრათ გაუჩნდა ლია, მფარველი, მოსიყვარულე, გრძნობის ბიდეში გაახვია იგი. და ლევანმა ამ ფიქრებით შეადო თავის ოთახის კარები.

მოაგონდა მას განვლილი სიტკბოებით წუთები. მოაგონდა გიმნაზიის დრო, ბირველი მათი შეხვედრა, უმანკო ტრფობით სავსე კოცნა.

მას ახსოვს ის ნაკადული, რომლის ბირას, მან თამრიკ, საუკუნე სიცოცხლე, ტრფობა შეუფიცა...

შეუფიცა, მის მეტი არავინ შეეყვარებინა.

— მომიტევე, მომიტევე ჩემო თამრიკო, თუ შენს გარდა, სხვა ვინმეს სიყვარული მივანიჭე. მაგრამ გახსოვდეს, რომ მე შენ მიყვარხარ ციურო დმერთავ... არ გიდალატებ. რა ვქნა, რომ აქ ლია ადარ მასვენებს.

მაგრამ ცხოვრების ბირობები, ვინ რა იცის, თუ რა გზამდის მიიყვანს, რას არ ჩაადენინებს...

და ლევანმა ამ საოცნებო იმედებით ტებილათ, ტკბილად ჩაიძინა, ვით ოცნებამ ვით ობოლმა ფიქრმა.

II

ლევანი ოჯველთვის დაიარებოდა ლიას სახლში. ლიას მამას ძლიერ სწყინდა ეს, მისი გულ უბრალოო ქალი მის ქალიშვილისადმი. მაგრამ ბირში ვერაფერს უბედავდა, დედას კი, ძლიერ უხარიდა, რომ იმათთან ახალგაზდა, ქართველი სტუდენტი დაიარებოდა, რომელიც მათი კამაბელნიერებელი იქნებოდა.

— დედაკაცო, ჩამოიშორე ის ქართველი სტუდენტი, ეუბნებოდა ოჯველ ხე თავის მეუღლეს, ჩამოიშორე, თორემ ის ხეირს არ დაგვურის. ის სასიკეთოდ არ დაიარება ჩვენსა.

— ნეტავ შენ მაგნაირი ეჭვიანი არ იყო. შენ შენს საქმეს მოუარე.

— მე კი მითქვამს-და, თუ რამ მოხდა სულ შენი ბრალი იქნება.

— წადი ერთი, რა უნდა მოხდეს, ვერა ხედავ-თუ რა ახალგაზდა, ნიჭიერი, კეთილი ემაწვილია?... გულუხვი, თავდაბალი.

— ვხედავ! ვხედავ, და ოჯველ ხემ მოიხურა ოთახის კარები და ძირს კიბეზე დაეშვა.

კიბეზე შეხვდა ლევანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯობა ბატონ ევდოხ!

— გმადლობთ! თავუფლებლივ უპასუხა ევდოხემ, და ქუჩაში გავიდა.

— ვერაფერს გახდები, გაიფიქრა ლევანმა, მაინც მივაღწევ; ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს.

ლევანმა ზარი დაწკარუნა.

მოსამსახურე გოგომ კარი გაუღო და შიიწვია. ლია სავარძელში იჯდა, და ოცნებათა ტალღებში ბანაობდა.

ლადამისი კი კარებს უცქერდა.

— ოო! სალამი არწივს, ბარად ჩამოფრენილს... სხვა როგორ-და ბრძანდებით?.

— გახლავართ ჩემო ბატონო, ეშმაკურის დიმილით უპასუხა ლევანმა.

— სულ თქვენზე ვფიქრობდით...

— ნუთუ მართლა?... გუშინაც მინდოდა თქვენსა მოსვლა, მაგრამ დრო არა მქონდა.

— არ შეგეძლოთ მაინც ბულვარში გამოსულიყავით. დაეკითხა ლია.

— საუბედუროთ არ შემეძლო. თორემ აბა სახლში რა დამკავებდა.

მოსამსახურე გოგომ მეორე ოთახში შიიწვია, სადაც უკვე გაკეთებული კაკაო მზათ იყო.

— ლია, რათა ხარ მოწყენილი?.

— მერე კაიგებ; იყო ეხუხი.

ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე.

სამთავე რაღაც ფიქრებმა გაიტაცა, და ვის შეეძლო გამოეცნო, თვითეულ მ.თგანის ფიქრის საგანი.

ბოლოს სიჩუმე ისევ ლიამ დაარღვია.

— სხვა, ლევან, კავკასიაში როდის აპირებთ გამგზავრებას?. არ დაგვპატიჟებთ?

— თუ გვიკადრებთ, მაგას რაღა სჯობია.. ეგ ხომ ერთგვარი გაბედნიერებაა!. ლია, რომ იცოდე, თუ რა უხვ ბუნებით არის დ ჯილდოვებული ჩემი სამშობლო... იქ სიცოცხლე სდუდს და გადმოდუდს...

— წამოვალ, რატომაც არა...

— მაშ, ორი წელიწადი სამშობლოში ადარ ვეოფილყარ. ეს ორი საუკუნეა ჩემთვის. .

* * *

ბინდდებოდა!...

ქალაქი ბრწყინავდა.

ლია და ლევანი აივანზე იდგნენ...

— ლია, რათ იყავი წელან ისე შწარეთ ჩაფიქრებული... მოწყენილი?.

— დიახ! ვფიქრობდი, რომ ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა გავმხდარიყავი ნამდვილი შენი საკუთრება. ლევან, დრო იფიქრო ამაზე...

— ვფიქრობ... მალე, სულ მალე მოხდება...

— უშენოთ უოფნა ლევან, ეს საუკუნო ტანჯვაა ჩემთვის?.

— ოხ! ლია... და გრძნობით საკუთ კოცნის ბადეში გაახვია... ლია, რომ იცოდე, რა კრიზისს განვიცდი ფული მეჭირვება... მცხვენიან მაგრამ...

ლია საჩქაროთ შეგიდა ოთახში, ერთი ქისა ოქროები გადასცა ლევანს, და ბრალის გულ-მკერდი ეელზე შემოახვია.

წავიდა ლევანი გახარებული. მას ამ ფულებით შეეძლო ორი წელიწადი ეცხოვრა. ადარ შეეწუხებინა დარიბი დედ-მამა... და ის ბედნიერი იყო ამ წამს... ბედნიერი...

III

— როგორ იყო კაცო, ჭა?. ეკითხებოდნენ მეორე დღეს ამხანაგები?... რა გიჭირს-რა, არშიყობა ქეიფი-და... და ფულიც ბეჭერივით მოგდის...

— მაშ, მაშ თავმოწონეთ ამბობდა ლევანი. მაშ არა და, თქვენსავით ნაცარქექია ვიქნები.

— მოიცა... სულფოვლოვის კოკა ხომ წყალს არ მოიტანს, უპასუხა მეორემ.

— კაცო, დათიკო, დაიწყო მესამემ, გაიგე, რომ ვერა მიხაილოვნამ სიყვარული გამოიცხადა?...

— როგორ კაცო, სთქვი აბა?... შეეკითხნენ იქით აქედან. .

— ჭო, დავსეირნობიდთ ჩვეულებრივათ, ნიკალაევის ბულვარზე, დაიწყო ისევ კოწიამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითხრა, ერთი რამ უნდა გითხრაო... ჩვენც რასაკვირველია მეუდრო ბინა მოგვძებნეთ.

(ით-რა, დაიწყო მან, ერთი თვეო, რაც თქვენი სიყვარული ადარ მასვენებს. თქვენმა დუმილმა ეოველივე ჩაქრო ჩემში. მე თქვენ მიყვარხართო, და ერთი ისეთი კი მაკოცა, რომ სკამიდან კინადამ თავდაყირა არ გადავედი.

— შენ რადა უყავი, შეეკითხენ ზოგიერთები...

— როგორც ეიით ჩემი ამბავი, ხეირს არც მე დავაყრიდი. მე ფულები მაქვსო და საჭირეების დროს, შეგიძლიანთ გამოამართოთ... ასე და აბ რიგათ, ერთი თვის ფული უკვე დავსახარჯე. და შენც ჩემო ლევან, ჩამოაცალე ის ფულები, ბრიშნე, კოტნე, და მერე თუ გინდა თავი ახალოს.

— ასეც უნდა, დაეთანხმნენ ზოგიერთები.

— ლევან, დაიწყო დათიკომ, ჩვენ თუ ასე არ მოგიქეცით, სიმშილით სული ამოგვხდებახომ უეურებ სახლიდან არავერს გვიგზავნიან. მათ ჭკონიათ, რომ ჩვენ აქ ლოთობაში და ხეტიალში ვატარებთ დროს, რომლის ხმის გავრცელების მიზეზი, ზოგიერთა ჩვენი ამხანაგების ბრალია. მე ვიცი, რომ შენ გეავს სატრფო, მაგრამ ჩვენ შემოხეკვით უნდა ვისარგებლოთ... თუ რამ მოხდა, შეგიძლიან სხვა ქალაქის უნივერსიტეტში გადახვიდე.

— ეჭ, დაიწყო მეორემ, მაგის თავი დავანებოთ... რომ ეს ჩვენი ახალი ლექტორი ძალან ბევრს რასმეს ლჩადის. მაგას ტოტა მუხრუჭის მოჭერა სჭირია.

— ჭო და, ისეთს ავკრავთ, რო...

— ახლა კი მშვიდობით. კიდევ გინახულებთ. და ეველანი მხიარული ეიეინით ოთახიდან გავიდნენ.

IV

გავიდა ამ ამბის შემდეგ ერთი თვე. ლევანი ჩვეულებრივ სკოლას განაგრძობდა ლიასთან. ლია ახლა უკვე შვიდი თვის ორსულია. სირცხვილით გარეთ ვედარ გამოდის.

ლევანი გულცივად ეპყრობა.

ერთი კვირაა, რაც ადარ უნახავს.

საღამო ყამი იყო, როდესაც წერილის დამტარებელმა ლევანის ოთახის ზარი დააწკარუნა და ლევანს წერილი გადასცა.

ის საჩქაროთ მივიდა მაგიდასთან. დამშარს ამოუწია და წერილის კითვა დაიწყო.

„ძვირფასო ლევან.!“ სწერდა ლია.

„რა მიზეზია, რომ ადარ დაიარები? ხშირად კი გვინახულებდი ხოლმე. ლევან ეიოდე, შენი ფიეი არ გასტეხო... გახსოვდეს ლევან, რომ შენ მომტაცე ქალწულების ბირველი ადერსი, ბირველი უმანკოება. შენ დაისაკუთრე ჩემი წმინდა სიყვარულით ადსავსე გული. მე შენ მოგანდე იალქანი ჩემი ცხოვრებისა. არ შესცდე, ზღვის ანობოქრებულ ტალღებს არ მიმცე. გავიგე ლევან, რომ სამშობლოში მიდიხარ. მეკი სად წავიდე! მეც წამიყვანე თან, წამიყვანე... ლევან, მოიგონე ბირველი ჩვენი სიყვარული... ბირველი ჩვენი გაცნობა. ზღვის ბირი... მოიგონე შემოდგომის დამე... და ნუ, ნუ დამღუპავ .. გიცდი ლევან“.

შენი ლია.“

ლევანი მწარეთ ჩაეიქრა ამ სიტყვებმა. მასში საკუთარი თავმოყვარეობა ერთხმად ჩასძახოდა: „დაეხსენი ლიას, შენ ხომ შეისრულე შენი“. მეორე ხმა კი: „შეიცოდე ლია.. შენ მას ეოველივე მოუსპე... შეიყვარე იგი“. და იგი „ეოფნა-არ ეოფნის საკითხსა სჭრიდა. მას მართალაც მოაგონდა, ლიას შეხვედრა, სიყვარული. მაგრამ იმავ წამს თვალს არა შორდებოდა მუდამ ჩაფიქრებული, მისი მომდოდინე თამრიკო.—ეჭ თამრიკო, რათა გარ დამნაშავე შენს წინაშე... მაპატიე... იცოდე მე არ გავტეხ ჩემს ფიცს... არა, რას იტყვიან, იქ სამშობლოში, როდესაც ურიის ქალს მივიყვან. არა უარი, უარი. მან ერთხელ კიდევ წაიკითხა ლიას წერილი, და მას ბასუხი მისწერა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„— ლია:

„მაპატიე, რომ ასე უდანაშაულოთ გსჯი. . ლია მიუვარხარ, მაგრამ იქ, სამშობლოში მე მყავს სატრფო, რომლის სიყვარულის მესაიდუმლე მხოლოდ მე ვიყავი. შენ მართალი ხარ ცამდინ. მე შენ მოგპარე ჩუმათ, ქურდულათ პირველი სიყვარული, პირველი უმანკოება... მე ყოველივე მოგისპე შენ, მე ავგუზგუზე შენს გულში ტრფობის კოცნა და მეგე გაფრთხილებ: გახსოვს, ძარშან შემოდგომას, მე რომ ჩავფიქრდი, მითხარი რათ ჩაფიქრდიო, მკითხე შენ. „კარგი იქნებოდა რომ ასე გაგრძელებულიყო, გიპასუხე მე. დიახ! მართლაც კარგი იქნებოდა. ლია, ჩემო ლია, მაპატიე. მე არ შემიძლიან შენი ცოლათ წაყვანა. რა ვქნა მეც ბევრი ვიტანჯე, მაგრამ გზა ხსნისა, მხოლოთ ეს არის. ბედნიერი იყავ... მშვიდობით, იქნება ოდესღაც დაგიბრუნო დაკარგული ბედნიერება“...—შენი ლევანი“.

ის წამოდგა. კარედ გამოვიდა და ლიასაკენ გაემართა... მისთვის ეს, ერთი სიკვდილი იყო. მივიდა. ზარი დაწკარუნა, და მოსამსახურე გოგოს წერილი გადასცა. თითონ კი უკანვე გაბრუნდა.

* * *

ლია გაფაციცებული კითხულობდა წერილს... თვალებს არ უჯერებდა, თუ ის სასტიკი წერილი, იმ ლევანის მოწერილიყო, რომელიც ეფიცებოდა სამუდამოდ მასთან ყოფნას; იმ ლევანის, რომელსაც მან შესწირა ყოველივე... რაც კი, რამ გააჩნდა... და ლია სტირდა წარსულს, დაკარგულ ბედნიერებას, რომლის დაბრუნება ძნელი იყო.

V

ნავთსადგური ხალხით სავსე იყო. ბარგის გადამზიდავთა მუშაობა, საშინელ აურ-ზაურს იწვევდა. თითოული მათგანი ცდილობდა თითონ შეეტანა ნივთები მგზავრთათვის გემზე. ერთ ადგილას ხალხი შექუჩებულიყო. იქ ბევრეთების კარი იყო.

ეი სტუდენტებიც მოვიდნენ...

მათ შორის ლევანიც არის.

ცოტა და ყველანი მოთავსდებიან.

გემმა მეორე გუდოკი მისცა,

ქართველმა სტუდენტებმა ერთად მოიყარეს თავი და მხიარულ ბასში გაებნენ.

— ლევან, შეეკითხა ერთი: სტოვებ იმ ურიის გოგოს?...

— მაშარა და, თან წავიყვან!.

— მაგრეც უნდა მედა ჩემმა დმერთმა, კვერი დაჭკრა მეორემ.

— კაცო, დაიწყო მესამემ, შემხვდა და მთხოვა, მესწავლებინა შენი ადრესი, მე უთხარი არ ვიცი მეთქი. მითხრა, ლევანმა მოატყუილა. მე კი ამაზე უპასუხე:

— შენ ერთმა მოგატყუილა და მეკი ეს სამოცდა ცხრამ... მაშ...

ყველამ მხიარულათ გადიხარხარეს.

გემმა მესამე გუდოკი მისცა.

სტუდენტები ცხვირსახოცების ქნევით ეთხოვებოდნენ ნაცნობებს.

ამ დროს უცებ მოისმა ქალის კივილი...

ქალმა გაარღვია ხალხის გრეხვა და მიმავალ გემს მისძახა;

— ლევან, შე მატყუარავ. რას მიშვრები?. სად მიხვალ?. ეს იყო ლია, რომელსაც გაეგო ლევანი მიდისო და თავგზა დაბნეული ნავთსადგურისაკენ გამოქცეულიყო.

ლევანმა იცნო ლია და ამხანაგებს დაანახვა.

— ლევან, ლევან, კვლავ მისძახა ლიამ, წაიწია... და ჩაეხვია ვით მშობელ დედას, მოშავო ზღვასა.

ზოგიერთებმა გაიწიეს, რათა ხელი ეტაცნათ მისთვის, მაგრამ გვიან-და იყო.

ლევანის გემი კი, ამ დროს მედიდურად მისცურავდა სანატრელ მხარესაკენ...

ს. ბაირონიშვილი.

ქიათურა.

1912 წ. 10 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სატრფო

(ვუძღვნი ეგგ. გეგეჭკორს)

ვინც ცხოვრების ყრუ მონაა,
მუნჯია და ლაჩარია,
სხვებს შეჰყურებს, თვით-კი საქმეს
შორს გაურბის, საპყარია...
ვინც ცხოვრების ძლიერ ტალღებს
არ უცხადებს მწარე ბრძოლას
და თვის ვარამს, გულის ნადებს
თან-გაატანს ქარის ქროლას...
ვინც ცხოვრების ამოცანას
ღრმად, ღრმად აღარ ჩაჰკირკიტებს
და ავ-სულთან საბრძოლველად
ფარ-ხმალს აღარ დაიკიდებს!—
ის არ არის ჩემი სატრფო,
მას არც ოდეს შევიყვარებ;
არც აღვაგზნებ-ავატოკებ,
სულ ვატირებ, არ ვახარებ!

—

ვინც დაჰკარგავს ნამდვილ სახეს
მშობლიურს და ეროვნულსა,
ენას წაკუნის, სხვისკენ გარბის,
სხვას შესწირავს გრძნობას, გულსა!
ვინც სამშობლოს მრავალ-ტანჯულს
არ გაუწევს პატრონობას,
არ აღუდგენს თავის წარსულს
უფლებებს და ბატონობას!
ვინც ცხოვრების ამოცანას
კვლავ ასე არ ჩაჰკირკიტებს
და სამშობლოს დასაცველად
ფარ-ხმალს აღარ დაიკიდებს!—
ის არ არის ჩემი სატრფო,
მას არც ოდეს შევიყვარებ,
სულსა და გულს მოვუშხამავ
და არც ოდეს გავახარებ!

—

ვინც სამშობლოს თავის სატრფოდ
აღიარებს, გაალმერთებს,
წინ სვლის საკითხს გააშუქებს,
ერს შეჯგუფავს, შეაერთებს...
და საბრძოლო ასპარეზზე
მუშის საქმეს შეეწირვის!
ან მტერს დასცემს, გაგლეჯს, გასწეწს,
ან თვით ხრამში ჩაიკირვის!
ვისაც გრძნობა არ ღალატობს,
მოყვასისთვის უცემს გული...
ლაღად დახტის, ვით კლდის ვეფხი,
ნაზად გალობს, ვით ბულბული!..
და ზეციურს ამ ქვეყნიურს
შეუერთებს, შეუთანხმებს;
მიწის კვნესას ცას მიაწვდენს,
ციდან მოჰბერს ღვთიურსა ხმებს!
ვინც ცხოვრების ამოცანას
ასე ღრმად, ღრმად ჩაჰკირკიტებს
და ქველობის, სწორ-კაცობის
ჯვარ-ხატს გულზე დაიკიდებს!—
ის გახდება ჩემი სატრფო,
მას მაშინვე შევიყვარებ,
გულს სიამით ავუძგერებ,
არ ვატირებ, გავახარებ,—
რადგან გრძნობით,
მთელის ტრფიობით,
მხოლოდ მას ერთს შევიყვარებ!

ლადო გეგეჭკორი.

1912 წ.
მაისი. ფოთი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

† არისტო ქუთათელაძე

ნოემბრის 13 დ. ხონში გარდაიცვალა ჩვენში კარგად ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე არისტო ვასილის ძე ქუთათელაძე. განსვენებულს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის, როგორც ქართული ენის, გრამატიკის და გეოგრაფიის სახელმძღვანელო წიგნების შედგენა-გამოცემაში, აგრეთვე პრაქტიკულ მუშაობით ქართველ ახალგაზრდათა სწავლა-აღზრდის საქმეში. ყველა მისი ნამოწაფარი, ნაცნობი და მეგობრები სიამოვნებით იგონებენ განსვენებულს და გულწრფელად სტირიან მის უდროოდ გარდაცვალებას. მართლაც განსვენებულმა არისტომ თავისი ხანგრძლივი მუშაობით საპედაგოგო ასპარეზზე, როგორც ქართული ენის მასწავლებელმა, დიდი ამაგი დასდო ახალგაზდობას იმით, რომ მან შეაყვარა მოწაფეებს მშობლიური ღვიძლი ენა და სამშობლოს ისტორია. განსვენებულმა კურსი დაასრულა პეტერბურგში აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე, მასწავლებლობდა ჯერ გორისა და შემდეგ ხონის საოსტატო სემინარიაში სტრელეცკისა სოკოლოვის დროს. ამ უკანასკნელში განსვენებულმა ჩინებულად დააყენა ქართული ენის, ლიტერატურისა და სიტყვიერების სწავლება. ქართული ენის პროგრამა სემინარიაში ვრცელი იყო, და ამ სემინარიიდან ქართული ენის კარგი მცოდნე მასწავლებლები გამოდიოდნენ. 1884 წელს, როცა ხონის სემინარიაში მოწაფეების აჯანყება მოხდა მაშინდელი დირექტორის სოკოლოვის რეჟიმის გამო, განსვენებული არისტო სულ დაითხოვეს სამსახურიდან. მის ადგილას გაამწესეს ხონის სემინარიაში მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი აწ განსვენებული გ. უთურგაური, რომელმაც არისტოს ვრცელი პროგრამა სემინარიაში „დედა-ენის“ და „ბუნების კარის“ სწავლებაზე ჩამოაქვეითა. ამის შემდეგ განსვენებული არისტო თბილისის ქართულ



† არისტო ქუთათელაძე

გიმნაზიაში იყო ქართული ენის მასწავლებლად; მთელი 22 წელიწადი იმასწავლებლა მან გიმნაზიაში და საუკეთესო ნაყოფიც მოუტანა თავის მოწაფეებს, რომელთა მოგონებას საყვარელ მასწავლებელზე, რაც უფრო დამახასიათებელი იქნება განსვენებულისა, შემდეგში დავსტამბავთ.

სიტყვა,

თქმული ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ს. ვ. ქუთათელაძის სულის მოსახსენებლად გადახდილის პანაშვიდის წინ 1912 წ. გიორგობისთვის 18.

> დაღათუ ბევრ მზარდულ გესხენ... არამედ არა მრავალ მამა (1 კორ. 4,15)

სწორედ ჩვენის დროისათვის უბრძანებია წმ. მოციქულს პავლეს, ვინაითგან ჩვენს დროში ხშირად და ძალიან ხშირადაც აღმზრდელობა-მასწავლებლობა მხოლოდ არსობის პურის მოსაპოებელ საშუალებად შექმნილა: მიმოიხედეთ გარეშემო და ადვილად დაინახავთ, რომ გუშინდელი მასწავლებელი დღეს მოღვაწეობს ისეთს სარბიელზედ, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მასწავლებლობა-აღმზრდელობასთან...

სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენდა ამ მხრით ახლად განსვენებული არისტობელ ვასილის ძე ქუთათელაძე. უმაღლესის სწავლით აღჭურვილი და თვალსაჩინო მოხელის ადგილის დაჭერის ადვილად შემძლებელი, იგი თავიდგანვე შეუდგა მასწავლებლობა-აღმზრდელობას და 27 წლის განმავლობაში ენით თუ კალმით განუწყვეტელად ეწეოდა ამ მძიმე ტვირთის ზიდვასა. ყოველგან სადაც კი გონებამ არგუნა მოღვაწეობა, არისტობელმა იჩინა თავი ჭეშმარიტის მამობრივის მზრუნველობით მოწაფეთადმი, რის გამოც უკანასკნელთ მიჩნეული ჰყავდათ იგი თავის მესაიდუმლედ და მზრუნველმფარველად: არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოწაფეთ დაეფაროს რაიმე თავიანთ „არისტო“-საგან და არ გაეზიარებინათ საყვარელის მასწავლებლებისათვის ყმაწვილური ჭირი და ლხინი. ამყარებდა რა ამ გვარს განწყობილებაზედ მოწაფეებთან თავის მოღვაწეობას, განსვენებული არისტობელი მთელის თავისი არსებით შეეცადა გადაეცა მათთვის, როგორც ცოდნა სამშობლო ენისა, ისტორიისა და მწერლობისა, ისე განუზომელი სიყვარული მამულისადმი, რომლითაც თვით იყო განმსჭვალული. ხოლო ვინათგან სასწავლებლის მიერ განსაზღვრული დრო ამ ცოდნისა და სიყვარულის გარდასაცემად არისტოს არა ჰყოფნიდა, ამისთვის მან გამოიგონა ახალი საშუალება გათვალისწინებულის მიზანის მისახწევად: კვირაუქმე დღეებში შეაგროვებდა ხოლმე მოწაფეებს და მათთან ერთად გაემგზავრებოდა ამა, თუ იმ ტაძრის, ანუ მონასტრისაკენ. თავდაპირველად განსვენებული მოწაფეებს წირვა-ლოცვას მოასმენინებდა, რომლის დროს ხშირად თითონ გალობდა და საეკლესიო წიგნებს კითხულობდა, ხოლო მას უკან შეუდგებოდა ძველის დროის ნაშთის აღწერა-შესწავლას. ენა-წყლიანი და ტკბილ მოუბარი, ისე გაიტაცებდა ხოლმე მსმენელებს წინამდებარე ძეგლის აღწერის დროს მამა-პაპათა თავ-გადასავალით და სამშობლოს ბედიღბლით, რომ ყურად-მღებელთ სრულებით ავიწყდებოდათ სასმელ-საჭმელი და დაღლა-მოქანცულობა...

ამ გვარის სწავლის გადაცემით, ჩვენის ქვეყნის საუცხოვო ბუნების წიაღად, ისტორიულ ნაშთთა წინაშე, არისტობელმა მოხიბლა არა მარტო თავისი მოწაფენი, არამედ მათი მშობელ-ნათესავნი და სულ გარეშე პირნიც, რის გამო ბევრისაგან ბევრმა ქართველმა ინახულა და მოილოცა არისტობულის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა ტაძარ-მონასტერი. ამ ნახვა-მოლოცვას კი შედეგად

მოჰყვა წმიდის თამარ მეფის აღგებულის ბეთანიის საუცხოვო ტაძრის დაქცევა-განადგურებისაგან გადარჩენა და განახლება, ხოლო არისტობულის პატარა ქართველთა მასწავლებლისაგან დიდრონ ქართველთა მასწავლებელ-ხელმძღვანელად გადაქცევა. ჭეშმარიტად მცირედსა ზედა დადგენილი შეიქმნა იგი მრავალსა ზედა დადგენილად (მატთ. 25, 21), და ეს მრავალნი და დიდრონნი მადლობის ნიშნად დღეს შეკრებილან ამა წმიდა ტაძარში, რათა მცირე-წლოვან მოწაფეებთან ერთად შეავედრონ ზეციერს მამას მშობელის ერისა და ეკლესიის სიყვარულით აღტყინებული სული არისტობულ ქუთათელაძისა, და შესთხოვონ, არისტობულის მიერ დათესილმა თესლძა მოსცეს ქვეყანასა ჩვენსა ნერგი კეთილი და მრავალ ნაყოფიერი. ამინ, ამინ!

დეკ. კ. ცინცაძე.

წერილი

სოფლის მასწავლებლების მიმართ

ჩვენი ხალხის განათლების საქმის უკეთესად მოწყობაში სოფლის მასწავლებლებსაც თვალსაჩინო ბრალი მიუძღვით. ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა ყველასთვის, ვისაც კი თვალყური უდევნებია ჩვენი ბედკრული სახალხო სკოლების მდგომარეობისათვის ამ უკანასკნელ წლებში. ჩვენს სახალხო სკოლებში პედაგოგიურის მოსაზრებით განმსჭვალული და რაიმე იდეური აზრების მიმდევარი მასწავლებლები ძლიერ იშვიათია, უმრავლესობა ყურმოჭრილი ყმებია და ეს ყმები თავისზე უარესს ყმებს უზრდის საზოგადოებას. მასწავლებელთა უმრავლესობას ასეთი ფრაზები აკერია პირზე: „Начальство приказываетъ, исполняй и больше ничего“, ან ასეთი მარგალიტები: „რად უნდა ვიტეხო თავი საზოგადოების საქმისთვის, თვით საზოგადოებამ იზრუნოს სკოლის რიგზე მოწყობისათვისო“. ახლა მკითხველმა წარმოიდგინოს განა ასეთი მასწავლებელი შესაშვებია სკოლაში. თვითონ ეს სიტყვები ახასიათებს იმ პირთა სულის სიღატაკეს, ვისაც საზოგადოება ანდობს ფრიად საპასუხმგებლო საქმეს, მომავალ თაობის აღზრდას. როგორი იქნებიან ამათი აღზრდილები და რა სხივს შეიტანენ ისინი, როგორც წევრნი მომავალ საზოგადოებაში, ყველასათვის ცხადი უნდა იყვეს. სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი საზოგადოება და უფრო კი სოფლის ხალხი იმდენად შეგნებული და მომზადებული არ არის, რომ ასეთს მასწავლებელს დროზე პასუხი გასცეს, ბარგი აუკრას და იქით მიაბრძანოს, საიდანაც მოვლენილა. სწორედ ხალხის ამ უვიცობით სარგებლობს შუბლ გადარეცხილი და ზნეობას მოკლებული ზოგი მასწავლებელი და სინათლის მაგიერ უფრო მეტი სიბნელე შეაქვს ხალხში და

ახალთაობასაც გადაგვარების და გათახსირების გზაზე აყენებს. განა ეს უკუღმართობა უნდა შეუნდოს ვინმემ ასეთს მასწავლებელს?! არა. სოფლის მასწავლებელი მარტო პატარა ბავშვებისა კი არა, ხალხის მასწავლებელიც არის და თუ სკოლას უკუღმართობის წყალობით ხიფათი რამ მოელის, პირველი დროშა ამ უკუღმართობის წინააღმდეგ მასწავლებელმა უნდა ააფრიალოს და ხალხიც მას გაჰყვება. დღევანდელი სახალხო მასწავლებლის უმრავლესობა სულ სხვა კერპს ემსახურება ხალხის განათლება და მისი ინტერესები მას ჩირადაც არ მიაჩნია.

ყველა შეგნებული ადამიანის მოვალეობაა—დაჭგმოს, გაჰკიცხოს და სამარცხვინო ბოძზე გააკრას ასეთი საღი განათლების მტერი მასწავლებლები. ზოგიერთ მათგანის საგმირო საქციელის ამბავი წინადაც ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს; ზოგიერთების შესახებ ახლა მოგახსენებთ: დ. სუჯუნაში ორკლასიან სკოლის ზედამხედველად ბრძანდება ვინმე ვარდამ ნოდია, ამ ვაჟბატონს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ მისდამი რწმუნებულს სოფლის სკოლაში რუსული ენა პირველ განყოფილებაში სასწავლო წლის დასაწყისიდან, 1 ენკენისთვიდან ისწავლებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ავალებს მას რუსული ენის სწავლების ცოტა გვიან დაწყებას, ეს ვაჟბატონი მედგრად იცავს ამ დუხჭირს აზრს და ახორციელებს კიდეც, უნდა თავი ისახელოს თავის უფროსის წინაშე, იგი პირველ განყოფილების მოწაფეებს ყოველსავე ბრძანებას რუსულ ენაზე აძლევს, ვინ იცის რამდენს წამებას განიცდის პატარა მოწაფე, რომ ხეპრე მასწავლებლის ბრძანება გაიგის და შეასრულოს. ამავე დაბა სუჯუნაში ორკლასიან სკოლაში მასწავლებლობს ვინმე მ. კუტუბა. ისიც აჰყოლია მისსავე მეგობარს ვარლამ ნოდიას და ლამის კიდეც გადააჭარბოს მას. სამტრედიის ორკლასიან სასწავლებელში სკოლის ზედამხვედელად არის ვინმე ნაჭყეპია. ესეც მასწავლებლების იმ ტიპს ეკუთვნის, ვისაც საღი პედაგოგიური აზრი ჭირივით ეჯავრება და მთავრობის მოხელეთა საამებლად და სამსახურში დასაწინაურებლად მზად არის მოზარდ თაობის გონება და საზოგადოების ინტერესი მსხვერპლად შესწიროს თავის კერძოდ და პირად საზიზღარ—მიზანს. ეს ვაჟბატონიც მოტრფიალეა, რომ რუსული ენა ისწავლებოდეს სკოლაში ბავშვის მიბარების დღიდანვე და ასრულებს კიდეც. ამ აზრსავე ადგას და ჰქადაგებს კულაშის ნორმალური სკოლის მასწავლებლებიც. აქ ჩვენ გვაკვირვებს ერთი გარემოება: ამ სკოლაში, სხვათა შორის, როგორც ვიცით, ასწავლიან დიდი ხნის გამოცდილი და დამსახურებული მასწავლებლები ი. ნუტუბიძე და ე. ჩხეიძე. ეს უკანასკნელი ჩვენს საზოგადოებაში უფრო ცნობილია, როგორც ფრიად ფაქიზი და პატიოსანი ადამიანი. ნუ თუ ცხოვრების შემხუთველმა პირობებმა და მღვრიე ტალღებმა ისიც გაიტაცა და ამ სიბერის დროს ისიც აჰყვა სხვების მრუდე გზას. დიდათ სამწუხაროა. კულაშს ამ მხრით არც საგვაზავო—საბოკუჩავოს სკოლა ჩამორჩა, იქაც მასწავლებლობს ვილაც ნუტუბიძე, ამას მიჰყვება გეზათის სკოლაც და ახლა ადვილი წარმოსადგენია, თუ ამ პატარა რაიონში რამდენი ყმაწვილი მახინჯდება გონებრივ და ზნეობრივ ყოველ წლივ ასეთს გადაგვარებულსა და საცოდავ მასწავლებლების ხელში.

ამ რამდენიმე თვის წინად კვათანის ქალთა სკოლის გამგედ დაუნიშნავთ ვილაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდდა ინასარიეე. ამ გადაგვარებულს ქართველ ქალს სკოლაში შესვლისთანავე განუდევნია სკოლიდან ქართული სული, ჩვენი განსვენებული პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის „Русское Слово"-ს მაგიერ რუსთა პედაგოგის გრიგორიევის წიგნები შემოუღია სახელმძღვანელოდ და ამით ხელი შეუწყვია პაწია მეგრელ ქალთა გონებით დამახინჯებისათვის.

ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა დაურიდებლად დავგმოთ ყველა ისინი, ვინც, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენი ხალხის განათლების საქმეს უკუღმართს გზაზე აყენებს და მეტის მეტს გულმოდგინეობით ყურმოჭრილ ყმობას იჩენს. „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების" და არც დავინდობთ სიავის ჩამდენთ. დროა, გამოფხიზლებისა, რომ ყველანი შეერთებულის ძალღონით ვიცავდეთ პედაგოგიურს კანონებს სკოლებში. უვიცნი და გადაბირებულნი მასწავლებელნი ზიზღის მეტს ვერაფერს მიიღებენ შთამომავლობისაგან. ვიწვევთ შეგნებულ მასწავლებელთა მცირე ჯგუფს არ დაჰყაროან თავიანთი ფარხმალი და პირდაპირ გაილაშქროან ხალხის განათლების მტრების წინააღმდეგ იმ იმედით, რომ იდეური ბრძოლა ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვებს და საზოგადო ზიზღს დაიმსახურებენ ისინი, ვინც დღეს პირადის ინტერესის გამო ღალატობენ საზოგადო საქმეს.

